ნესტან ლომაია

ფილოსოფია დამწყებთათვის

ნესტან ლომაია

ფილოსოფია დამწყებთათვის

თბილისი 2016 წელი

მოცემული ნაშრომი „ფილოსოფია დამწყებთათვის“, ეხება ფილოსოფიის ცნებების განმარტებას და მის ადგილს მეცნიერებათა სისტემაში. წიგნში მოცემულია ფილოსოფიის ჩასახვისა და განვითარების რთული გზა. მასში ქრონოლოგიურად არის დალაგებული და განხილული ფილოსოფიის განვითარების ეტაპები, დაწყებული ანტიკური ხანის ფილოსოფიიდან, დამთავრებული თანამედროვე ფილოსოფიით.

ნაშრომში, განხილულია ყველა ის უდიდესი ფილოსოფოსი, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს კაცობრიობის აზროვნების განვითარების საქმეში.

ფილოსოფიისადმი ინტერესის მომძლავრებასთან დაკავშირებით ვფიქრობთ, ნაშრომი დროული იქნება მკითხველთა ყველა კატეგორიისათვის, ასევე იმ სტუდენტებისათვის, რომლებსაც ადრე შეხება არ ჰქონიათ ფილოსოფიასთან. წიგნში, გამარტივებულად გადმოცემულ ფილოსოფოსთა კონცეფციებს (რაზედაც წიგნის სათაურიც მიუთითებს), ადვილად აიტაცებს ყველა პროფესიის ადამიანი და ფილოსოფიით დაინტერესებული პირი.

სამეცნიერო რედაქტორი: ფილოსოფიის დოქტორი
თ.ს.უ. სრული პროფესორი
აკაკი კულიჯანიშვილი

რეცენზენტი: ფილოსოფიის დოქტორი
სრული პროფესორი
კახა ქეცბაია

© ნ. ლომაია, 2016
ISBN 978-9941-22-866-7

ფილოსოფიის შესავალი

ფილოსოფია, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების სპეციფიკური ფორმა, გამოეყო მითოლოგიას, როგორც მეცნიერული ე.ი. დასაბუთებული მსოფლმხედველობის შექმნის ცდა. ადამიანი, რამდენადაც იგი ამ სახელს იმსახურებს, ყოველთვის გარკვეული მსოფლმხედველობის მიხედვით აფასებს სამყაროს და მოქმედებს მასში. განვითარების რა საფეხურზეც არ უნდა იდგეს ადამიანი, მას აქვს შეხედულება იმის თაობაზე, თუ საიდან წარმოიშვა მისი გარემომცველი სამყარო. მსოფლმხედველობა, არსებითია ადამიანისათვის. მსოფლმხედველობის შექმნით ადამიანი, თვით ქმნის თავის არსებას. ამიტომაა, რომ სხვადასხვა ეპოქა კაცობრიობის განვითარებაში მსოფლმხედველობის სხვადასხვა ტიპს წარმოშობს.

რამდენადაც არ არსებობდა ერთიანი მსოფლიო კულტურა, გადასვლა მითოლოგიიდან ფილოსოფიაზე სხვადასხვა დიდ კულტურაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, სათანადო თავისებურებებით მოხდა. საკვირველი ის არის, რომ აღნიშნული გადასვლა სხვადასხვა კულტურაში თითქმის თანადროული იყო. საბერძნეთში – თალესი (625-547), ჩინეთში – ლაოძი (609-517) და ინდოეთში – ჯაინიზმის ფუძემდებელი მაჰავირა (599-527) ერთდროულად აცნობიერებენ მსოფლმხედველობის გონების არგუმენტებზე დაფუძნების აუცილებლობას.

ფილოსოფია არ არის არც ექსპერიმენტული და არც ზუსტი მეცნიერება, მაგრამ მას პრეტენზია აქვს საერთოდ ადამიანური ცოდნისა და გამოცდილების განზოგადების, ყოფიერებისა და ცნობიერების საერთო საფუძვლების დადგენის შესახებ. საუკუნეების მანძილზე ფილოსოფიური აზრის წინსვლის მაჩვენებელი იყო ის, თუ რამდენად ახერხებდა იგი მითოლოგიური, რელიგიური, მისტიკური და საერთო ალოგიკური ინსტანციებისაგან გათავისუფლებას.

ფილოსოფიის ისტორია არის მეცნიერება, ფილოსოფიური აზროვნების ჩასახვის, წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერების შესახებ. იგი შეისწავლის

სამყაროს უზოგადესი კანონზომიერებებს. ბუნების შემეცნების და ადამიანის ცხოვრების საზრისის დაფუძნებისათვის მატერიალიზმისა და იდეალიზმის, დიალექტიკის და მეტაფიზიკის ბრძოლის ისტორიას. მიუხედავად ფილოსოფიურ სკოლათა და მიმართულებათა შეურიგებელი დაპირისპირებისა, ფილოსოფიის ისტორია ერთიანი, განვითარების შინაგანი კანონზომიერების მქონე პროცესია. ფილოსოფია, არა მხოლოდ ემორჩილება და ასახავს საზოგადოების განვითარებას, არამედ ამ ასახვის საფუძველზე დადგენილი კანონზომიერების საშუალებით უკუზემოქმედებას ახდენს მასზე.

ფილოსოფიის ისტორია საზოგადოებრივ–ეკონომიკური ფორმაციების შესაბამისად იყოფა ოთხ დიდ პერიოდად. მონათმფლობელული საზოგადოების ფილოსოფია, რომელიც გაგებული იყო, როგორც საერთოდ ცოდნა. ყოველნაირი ცოდნა ფილოსოფიად იყო მიჩნეული. მაგალითად, პლატონისათვის გეომეტრიაც ფილოსოფიას წარმოადგენდა. ამავე დროს, უფრო ზუსტად, ფილოსოფია ითვლებოდა არა თვითონ ცოდნად, სიბრძნედ, არამედ სიბრძნის სიყვარულად, რადგან ადამიანს არ შეიძლება ჰქონდეს სრული სიბრძნე, ამიტომ იგი მხოლოდ მოყვარული და მეგობარი იქნება მისიო. ფილოსოფია სიტყვა-სიტყვით სიბრძნის სიყვარულს ნიშნავს. ფილოსოფიის ქვეშ გაგებული იყო ცოდნა, რომელიც ჭეშმარიტებას კი არ ეძებს, არამედ უკვე წინასწარ მოცემულ ჭეშმარიტებათა, ადამიანთათვის ნათელყოფას ემსახურება. შუა საუკუნეებში კი ფილოსოფია გაგებული იყო, როგორც თეოლოგიის მსახური. ქრისტიანულ ფილოსოფიას უფლებაც არ ჰქონდა ეძია ჭეშმარიტება. ეჭვის ქვეშ დაეყენებინა ის ჭეშმარიტებანი, რომლებიც საღვთო წერილში იყო მოცემული. ქრისტიანულ ფილოსოფიას ევალებოდა ქრისტიანობის მოწინააღმდეგეთა განადგურება და მხოლოდ სამსახური რელიგიისა. ახალ დროში ფილოსოფიას გამოეყო სპეციალური მეცნიერებანი და მას საკვლევად თავისებური საგანი დარჩა. ესე იგი, ფილოსოფია ახლებურად იქნა გაგებული XVIII საუკუნიდან და იგი თავსდება იმ თვალსაზრისში, რომლის მიხედვითაც ფილოსოფია არ არის მეცნიერება, რომელიც სინამდვილის რომელიმე

მხარეს შეისწავლის. სინამდვილე მთლიანად დაინაწილეს სპეციალურმა მეცნიერებებმა, ფილოსოფიას კი ასახსნელად დარჩა თვითონ მეცნიერების, შემეცნების ცოდნის ფაქტი. ფილოსოფია, მეცნიერება კი არაა, არამედ მეცნიერებათა მეცნიერებაა. საერთოდ ფილოსოფია არის მეცნიერება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების უზოგადესი კანონების შესახებ.

ფილოსოფიის ისტორია ზეაღმავალი პროცესია, რომელიც გარკვეულ საფეხურებს, სწორედ, განვითარების საფეხურებს წარმოადგენს. ამ განვითარებაში ერთგვარ გართულებასთან, მარტივიდან - რთულისაკენ სვლასთან გვაქვს საქმე. ამიტომ ფილოსოფიის ისტორია, როგორც მარტივიდან რთულისაკენ სვლის პროცესი, წინააღმდეგობრივი ბუნებისაა და ხორციელდება უარყოფის საშუალებით. ერთი ფილოსოფიური სისტემა უარყოფს მეორეს და ა.შ.

ფილოსოფიის ისტორიაში არსებული აღმავალი პროცესის საფეხურები არა მექანიკური უარყოფის, არამედ დიალექტიკური უარყოფის საშუალებით წარმოიშობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი მომდევნო სისტემა, რომელიც წინა „სისტემას“ უარყოფს, არა მხოლოდ უარყოფს მას, არამედ „მოხსნილი სახით“ ინახავს კიდეც. მაგალითად, ყოველი ახალი ეპოქა, აკრიტიკებდა წინამორბედ ფილოსოფიურ შეხედულებებსა და სისტემებს, მაგრამ მის რაციონალურ მარცვალს ინახავდა და მასზე აგებდა ახალ დებულებასა და ცნებებს. მაშასადამე, ფილოსოფიის ისტორიაში დიალექტიკური პრინციპი – „მოხსნა – შენახვა“ მოქმედებს და ფილოსოფიური სისტემების განხილვაც ისტორიაში, ამ პრინციპის საფუძველზე უნდა მოხდეს.

ეს იმას ნიშნავს, რომ ფილოსოფიის ისტორია, როგორც მარტივად რთულზე ასვლა, როგორც განვითარება არა მხოლოდ ევოლუციური ხასიათისაა, ეს განვითარება ნახტომებსაც შეიცავს.

ფილოსოფიის ისტორიაში არსებული წინააღმდეგობები იდეალიზმსა და მატერიალიზმს შორის, დიალექტიკასა და მეტაფიზიკას შორის, ფილოსოფიის შინაგანი წინააღმდეგობაა და მისი განვითარების წყაროს წარმოადგენს განვითარების იმ გარკვეულ ეტაპამდე, სადამდეც სახელდობრ არ მივალთ,

მატერიალიზმის იდეალიზმზე და დიალექტიკის მეტაფიზიკაზე საბოლოო გამარჯვებამდე. დღემდე არსებული ფილოსოფიის ისტორია კი, აღნიშნული წინააღმდეგობის გზით ვითარდება და ეს განვითარება შინაგანი წინააღმდეგობის გზით, დიალექტიკური წინააღმდეგობით ხორციელდება. ამიტომ იგი განხილულ უნდა იქნეს დიალექტიკური მეთოდით. ფილოსოფიის ისტორიის პრობლემატიკის განხილვის დროს წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი უნდა იქნეს გამოყენებული. არც მხოლოდ ერთიანობა არსებობს და არც მხოლოდ დაპირისპირება. დაპირისპირებულთა ერთიანობის გზით მიდის ფილოსოფიის ისტორიის განვითარების პროცესი და ამიტომ მხოლოდ დაპირისპირებულთა ერთიანობა აგვიხსნის ფილოსოფიურ სისტემათა შინაარსს და მათი დამოკიდებულების ხასიათს. ახალი ფილოსოფიური სისტემების წარმოშობას და ძველის დაძლევას, ფილოსოფიის ისტორიაში სხვადასხვა დროს ფილოსოფიური კატეგორია აღმოაჩენდა. ამიტომ, გარკვეული აზრით, ფილოსოფიის ისტორია, კატეგორიების აღმოჩენის ისტორიაა. კატეგორიები აზროვნების განვითარების საკვანძო პუნქტებს წარმოადგენს.

ფილოსოფიის ისტორიის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სპეციალური მეცნიერებებისათვის, მათი ისტორიის გაგებისათვის, რადგან, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ანტიკურ ხანაში ფილოსოფია ყოველგვარ ცოდნას მოიცავდა: პირველი ბერძნული ფილოსოფია იგივე ფიზიკა იყო; მათემატიკური, ასტრონომიული და სხვა ცოდნა ფილოსოფიის შემადგენლობაში შედიოდა. პირველ ხანებში ფილოსოფიის განვითარება და საერთოდ ცოდნის განვითარება ერთიმეორეს უდრიდა. სპეციალური მეცნიერების ისტორიის გასაგებად აუცილებელია ფილოსოფიის ისტორიის ცოდნა. ფილოსოფიიდან, სპეციალური მეცნიერებების რეალურად გამოყოფა ახალ დროში დაიწყო. ამის შემდეგ, სპეციალურ მეცნიერებებს არ შეუძლიათ ფილოსოფიის გარეშე არსებობა, რადგან ფილოსოფია სპეციალურ მეცნიერებათა მეთოდოლოგიას წარმოადგენს.

ძველი ბერძნული ფილოსოფია

ფილოსოფია, ძველ საბერძნეთში მონათმფლობელური წყობის განვითარების მაღალ საფეხურზე წარმოიშვა. მონათმფლობელური წყობილებისათვის დამახასიათებელია ის, რომ სამუშაო ძალა წარმოების საშუალებებთან არის გათანაბრებული. მონები უუფლებო და მხოლოდ სამუშაო ძალად არის მიჩნეული მონათმფლობელების ხელში. მიუხედავად ამისა, იგი პროგრესული საზოგადოებრივი წყობაა, პირველყოფილ თემურ წყობილებასთან მიმართებაში. საბერძნეთში, მონათმფლობელობა ვითარდებოდა მატრიარქალური წყობის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც თავისთავად შემდგომში აისახა მეცნიერულ ფილოსოფიურ აზროვნებაში.

მონათმფლობელობის განვითარება ხდებოდა მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებასთან ერთად. ამ დროს ჩამოყალიბდა და განვითარდა ქალაქ–სახელმწიფოები. საბერძნეთში მიწის სიმწირის გამო, ბერძნები იძულებულნი იყვნენ ეწარმოებინათ ვაჭრობა. ვაჭრობის განვითარებასთან ერთად, განვითარდა და გაფართოვდა კოლონიზაციის პროცესი. ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის სანაპიროები ბერძენთა კოლონიებით გაივსო.

საბერძნეთში პირველი ფილოსოფიური და მეცნიერული აზრის წარმოშობა დაკავშირებულია მცირე აზიაში არსებულ კოლონიებთან, სადაც ბერძნებს გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდათ დამყარებული ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებთან, საიდანაც არა მარტო მოხმარების საგნები შემოდიოდა, არამედ კულტურაც. საბერძნეთმა სწორედ აქ, სახელდობრ, იონიაში გაავრცელა ძველი აღმოსავლეთის მეცნიერული და ფილოსოფიური შეხედულებები და მათ საფუძველზე შექმნა და განავითარა თავისი საკუთარი კულტურა, მეცნიერება, ფილოსოფია.

ფ. ენგელსის აზრით, კაცობრიობის აზროვნებამ სამი საფეხური გაიარა: გულუბრყვილო დიალექტიკური, მეტაფიზიკური და მეცნიერულ დიალექტიკური. პირველი საფეხური კაცობრიობის აზროვნების განვითარებისა, კლასიკური ფორმით

იყო სწორედ ბერძნული აზროვნება ანუ ფილოსოფია ძველ საბერძნეთში. ამ საფეხურისათვის სინამდვილე, როგორც შემეცნების საგანი, შორიდან მოჩანდა. მეცნიერება და ფილოსოფია საბერძნეთში ერთ დღეს დაიბადა. ასე, რომ აქ, არა ორი რაიმეს დაბადებას ჰქონდა ადგილი, არამედ მხოლოდ ერთის – განუყოფელ მეცნიერულ–ფილოსოფიური ცოდნის დაბადებას ჰქონდა ადგილი.

ბერძნულმა ფილოსოფიამ, თავისი განვითარების საინტერესო გზა განვლო. ჯერ ჩამოყალიბდა სტიქიური მატერიალიზმი და გულუბრყვილო დიალექტიკა. მონათმფლობელური წყობის განვითარებისა და კლასობრივი ბრძოლის გარკვეულ ეტაპზე შეიქმნა ძლიერი ფილოსოფიური სისტემები: ერთი მხრივ, დემოკრიტეს მატერიალიზმი და მეორე მხრივ, სოკრატე-პლატონის იდეალიზმი. უმაღლესი მწვერვალი ბერძნული ფილოსოფიის განვითარებისა კი, იყო არისტოტელეს ფილოსოფია, რომლის შემდეგაც, მონათმფლობელური წყობის დაშლის ნიადაგზე ჩამოყალიბდა სხვადასხვა ფილოსოფიური სკოლები.

მილეთის სკოლა

თალესი (624-547წ.წ. ძვ. წ.)

თალესი, პირველი ბერძენი ფილოსოფოსი და მეცნიერია. ბერძნული ფილოსოფია თალესის ფილოსოფიით იწყება, რადაგნ პირველმა მან ჩაუყარა საფუძველი ბერძნულ მეცნიერებასა და ფილოსოფიას. თალესი ფიქრობდა, რომ ბუნებაში მრავალფეროვანი მოვლენებია და საჭიროა ამ მრავალფეროვნების ახსნა. საფუძველი, საიდანაც ეს მრავალფეროვანი მოვლენები წარმოიშობა, უნდა იყოს ერთი. ასეთი ამხსნელი ერთი - არის მოვლენათა საწყისი. რა არის მრავალფეროვანი მოვლენების საწყისი? აი პირველი საკითხი, რომლის წამოჭრითაც დაიწყო ფილოსოფია და მეცნიერება, საერთოდ მეცნიერული ცოდნა და ეს კითხვა პირველად თალემსა დასვა.

თალესი ფიქრობდა, რომ თუ მრავალ მოვლენაზე მრავალი ცოდნა გვაქვს, თუ არ არსებობს რაიმე საერთო ამ მოვლენებში და ჩვენ არ ვიცით ეს საერთო ე.ი. თუ არ ვიცით ერთი - მრავალში, მაშინ ჩვენ არა გვაქვს ნამდვილი ცოდნა. ცოდნა არის, არა მხოლოდ მრავლის ცოდნა, არამედ მრავალში არსებული ერთის ცოდნა, სახელდობრ, იმ ერთისა, რომელიც მრავლის ბუნებას წარმოადგენს, რომლიდანაც მრავალი მოვლენა წარმოიშობა და რომელშიც მრავალი მოვლენა მდგომარეობს. თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ბუნება სისტემას უნდა წარმოადგენდეს და მის შესახებ ცოდნაც, ასეთივე უნდა იყოს. ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ მრავალ მოვლენაში აღმოვაჩენთ ერთს, როგორც მათ საწყისს. სწორედ ასეთი საწყისის შესახებ დაისვა საკითხი პირველად თალესთან. თალესის პრობლემა, ბუნების მოვლენათა საწყისის პრობლემაა.

თალესი ცდილობდა მოენახა ის, რაც არსებითია ყოველ მოვლენაში, რომელიც კი ბუნებაში არსებობს. იგი ეძიებდა ბუნებაში არსებული ყველა მოვლენის არსებას; ყველა მოვლენის რეალურ საფუძველს; იმ ზოგადს, რომელიც ყველა მოვლენაში არსებითია და ამ მოვლენებს აგვიხსნის. რა არის ბუნების მრავალფეროვან მოვლენებში არსება, საფუძველი ზოგადი? თალესი ეძებს ბუნების მოვლენათა რეალურ, მატერიალურ საფუძველს ე.ი. იმას, რაც იქვე მდებარეობს ყველა მოვლენაში და რაც ამ მოვლენებს აგვიხსნის.

პირველი ბერძენი ფილოსოფოსები ბუნების მოვლენათა არსებას, მის რეალურ საფუძველს - ზოგადს, თავისებურად წარმოიდგენდნენ და უწოდებდნენ „არხეს“, რომელიც ყველა მოვლენის ძირს ანუ საფუძველს წარმოადგენდა.

თალესმა, ბუნების მოვლენების ახსნას მატერიალური საფუძველი დაუდო, რითაც დასაბამი მისცა ჭეშმარიტი მეცნიერული აზრის განვითარებას ძველ საბერძნეთში. თალესის აზრით, ბუნების მოვლენების ამხსნელი, თვითონ ბუნებაში და ბუნებრივი უნდა იყოს და არა რაღაც ზებუნებრივი. მეორე მხრივ, თალესის პრობლემა ფილოსოფიურ პრობლემას წარმოადგენს, რადგან ყველა ბუნებრივ მოვლენათა საწყისის - არხეს მონახვა იმას ნიშნავს, რომ შემუშავდეს ერთი

გარკვეული შეხედულება ბუნებაში არსებულ მოვლენებზე, შემუშავდეს ერთი გარკვეული შეხედულება მსოფლიოზე, ე.ი. შემუშავდეს მსოფლმხედველობა. ფილოსოფია მსოფლმხედველობაა და რადგან ბუნების მოვლენათა ამხსნელი ძირი, თალესის აზრით, მატერიალური უნდა იყოს, ამიტომ ეს მსოფლმხედველობა უსათუოდ მატერიალისტური იქნება. თალესით იწყება ბერძნული მატერიალიზმი ე.წ. სტიქიური მატერიალიზმი.

თალესის კითხვაა: რა უნდა იყოს ის, რაც ყველა ფიზიკურ მოვლენას უდევს საფუძვლად, რაც ყველა ფიზიკური მოვლენის ძირს წარმოადგენს? რა არის ფიზიკური მოვლენები არსებითად და რა ბუნებისაა ისინი? ფიზიკური მოვლენები მრავალფეროვანია, მათგან ზოგი მაგარია, ზოგი „ჰაეროვანი“. მოვლენების საწყისი, მათი საერთო ბუნება იქნება ისეთი რამ, რომელსაც შეუძლია მაგარიც იყოს, თხევადიცა და ჰაერგვარიც. ასეთი არის **წყალი** ამბობდა თალესი. ყველა ფიზიკური მოვლენის საწყისი, ძირი, არხე არის წყალი, აი თალესის პასუხი მის მიერ დასმულ პრობლემაზე.

საგანთა მატერიალური საწყისი მხოლოდ დასაწყისი კი არ არის, არამედ დასასრულიცაა. ყველა საგნის ბოლო არის წყალი. ის რისგანაც ყველაფერი წარმოიშობა, არის ის, რაშიაც ყველაფერი გადადის. ყველაფერი წყლისაგან წარმოიშობა და ყველაფერი წყალს უბრუნდება, მასში გადადის. ეს ასე ხდება იმიტომ, რომ ყველა საგნის ბუნება წყალია. ყველა საგნის დასაწყისი, ბოლო და ბუნება ერთი და იგივე წყალია. ეს იგივეობრივია და უცვლელია. მაშასადამე, ყველაფერი ცვალებადია. ყველა ბუნებრივი და ფიზიკური მოვლენა ცვალებადია, ისინი წყლისაგან წარმოიშობიან, არსებითად წყალს წარმოადგენენ და წყალში გადადიან. საგანთა ბუნება იცვლება, ხოლო თვითონ წყალი უცვლელია, მარადიულია.

თალესის აზრით, ერთეულ საგნებს წყლის ცვალებადობა გვაძლევს. წყალი, რომ არ მოძრაობდეს და, ამ აზრით, არ იცვლებოდეს, მაშინ მისგან სხვადასხვა საგნებს ვერ მივიღებდით. მაშასადამე, ერთეული საგნების წარმოშობა ინდივიდუალურია და მოძრაობა–ცვალებადობის გამო ხდება. რა ამოძრავებს წყალს?

თალესის აზრით, ბუნება და მოვლენები, როგორც ვნახეთ, თვითონ ბუნებისა და მასში არსებულის საფუძველზე უნდა აიხსნას. ეს იმას ნიშნავს, რომ ბუნებას, მისი მოვლენების ძირს – წყალს სხვა, გარეგანი ძალა კი არ ამოძრავებს, არამედ თვითონ მოძრაობს. ბუნება თვითმოძრავია. წყალი თვითმოძრაობა–ცვალებადობით ქმნის ერთეულ საგნებს. რა შეიძლება იყოს თვითმოძრავი? ამ კითხვაზე თალესის პასუხი ასეთია: თვითონ მოძრაობს მხოლოდ ცოცხალი, ის რაც სულიერია. ყველაფერი მოძრაობს, რადგან ყველაფერი გასულიერებულია.

მაშასადამე, თალესმა დასვა საკითხი ყველა ბუნებრივ–ფიზიკური მოვლენის საწყის–საფუძვლის შესახებ, მაგრამ ვერ მონახა იგი. ეძებდა ამ მოვლენათა ზოგადს, მაგრამ ვერ აღმოაჩინა იგი. წყალი არ არის ზოგადი ყველა ფიზიკური მოვლენის მიმართ. არამედ, ის ერთ–ერთი კერძო პირველთაგანია. თალესმა წყალს მიაწერა ყველა ფიზიკური მოვლენისათვის დამახასიათებელი ზოგადი თვისება. ეს რასაკვირველია არ იყო ჭეშმარიტება, მაგრამ თალესი გახლავთ ანტიკური ხანის პირველი ფილოსოფოსი, რამელმაც დასვა საკითხი სამყაროს საწყისის შესახებ და სცადა თვითონვე ეპასუხა კითხვაზე, რაც მეტად მნიშვნელოვანი იყო იმ ეპოქისათვის, როცა მას უხდებოდა ფილოსოფოსობა და მეცნიერებასთან დაახლოება.

ანაქსიმანდრე (610-546 წწ.ძვ. წ.)

ანაქსიმანდრე იყო თალესის მოწაფე, მან დაწერა წიგნი „ბუნების შესახებ“. იგი აკრიტიკებდა თალესის ფილოსოფიას და გამოდიოდა დებულებიდან, რომ არაფრისაგან არაფერი არ წარმოიშობა. შეუძლებელია დაუშვათ არაფრისაგან რაიმეს წარმოშობა, ასევე–რაიმეს არარაობად გადაქცევა. მაგალითად, საიდან შეიძლება წარმოიშვას რკინა? არ შეიძლება რკინის საწყისი იყოს წყალი. რკინა წარმოიშობა იქიდან, სადაც იყო რკინა, თბილი წარმოიშობა თბილისაგან და ცივი ცივისაგან.

მაშასადამე, ყველაფერი წარმოიშობა იქიდან, სადაც იყო და არის ყველაფერი. ყველაფერს თავისი რეალური საფუძველი აქვს. ყველაფრის საწყისი თავისებურია.

ყველაფრის ქვეშ ძევს ის, სადაც ის იგულისხმება და ამიტომ, იქიდან გამოდის. ყვლაფრის საწყისი, არხე, უნდა იყოს მართლაც ყველაფრის საწყისი ე.ი. ყველაფრის შემცველი. წინააღმდეგ შემთხვევაში, იქიდან ყველაფერი არ გამოვა. ყველაფრის საწყისი რომელიმე განსაზღვრული მოვლენა კი არა, არამედ – განუსაზღვრელია. განუსაზღვრელად მრავალფეროვანი მოვლენების საწყისი არ შეიძლება განსაზღვრული იყოს, რადგან ასეთ შემთხვევაში, არარაობიდან რაიმეს წარმოშობის დაშვება გვექნებოდა. განუსაზღვრელ მოვლენათა საწყისი - არხე, არის განუსაზღვრელი – „აპეირონი“.

აპეირონი უსაზღვროა თვისობრივად. ის არ შეიძლება იყოს არც მაგარი, არც თხიერი, არც ჰაერგვარი, არც თბილი. აპეირონი დროში უსაზღვროა, ის ყოველ დროში არსებულის არხეა, ამიტომ მარადიული და უცვლელია. ცვალებად საგანთა საწყისი თვითონ არ არის ცვალებადი რადგან, იგი სწორედ არხე საწყისი - „მმართველია“ ყოველი ცვალებადისა. აპეირონი არის არხე, მმართველი ყველაფრისა, რაც წარმოიშობა, რასაც დროში დასაწყისი და ბოლო აქვს. ნაწილები იცვლება, მთელი კი თვითონ უცვლელია. ყველაფრის საწყისს თვითონ არა აქვს დასაწყისი, აპეირონი არის უდასაწყისო საწყისი.

აპეირონი, თავისი თავიდან წარმოშობს ყველა საგანს. მას შეუძლია თავისი თავიდან წარმოშვას ყველა საგანი, ამიტომ ის უსაზღვროდ ძლიერია. აპეირონი უსაზღვროა ძალის მხრივაც. ის რომ ძალის მხრივ იყოს განსაზღვრული, მაშინ სუსტი იქნებოდა და განუსაზღვრელად უამრავ საგანსაც ვერ წარმოშობდა. ის მათი ძირი ვერ იქნებოდა. აპეირონი არ არის რაიმე ძალის მქონე, ის ყოველი ძალისაა, ყველა ძალა მასში გაწონასწორებულია და ამიტომ, ყოველი სიძლიერე მისგან გამოდის. თვითონ კი პირველი და განუსაზღვრელია.

აპეირონი, როგორც უსაზღვრო ძლიერების მქონე, მთლიანი, ერთიანი რამ არის. ის განუმეორებელია, ცოცხალია, ერთიანი ძალის მქონე უსაზღვრო ნივთიერებაა, რომელიც თავისი თავიდან ყველაფერს აწარმოებს.

ანაქსიმანდრესთან განუსაზღვრელისა და განსაზღვრულის დამოკიდებულების საკითხი დგას. ისევე როგორც თალესთან, აქაც არხე უნდა იყოს ის, საიდანაც ყველაფერი წარმოდგება და რაშიც ყველაფერი გადადის – ბრუნდება. ანაქსიმადრე ეძებს განსაზღვრულის ძირს და განსაზღვრულიდან მიდის განუსაზღვრელისაკენ. თვითონ განსაზღვრული საგნები განუსაზღვრელიდან გამოდის და ისევ მას უბრუნდება. აქ არის წრებრუნვა, რომელშიც ცვალებად საგნებში არსებული აუცილებლობა ჩანს. ანაქსიმანდრეს აზრით, ყველაფერი აპეირონიდან წარმოდგება და მასვე უბრუნდება.

ანაქსიმანდრემ საბოლოო ჯამში ვერ შეძლო დასმული პრობლემის გადაწყვეტა. თუ თალესმა ყველაფრის საწყისად წყალი მიიჩნია, ანაქსიმანდრემ - აპეირონი, მაგრამ აპეირონი, ისეთი განუსაზღვრელი გამოდგა, რომ მისი შინაარსის გარკვევა შეუძლებელი გახდა.

ანაქსიმენი (დაახლ. 583-528 წწ. ძვ.წ.)

ანაქსიმენი, მილეთის სკოლის მესამე წარმომადგენელია. მისი ფილოსოფიის პრობლემა იგივე პრობლემაა, რასაც თავისი წინამორბედები იკვლევდნენ. ეს არის არხესა და ინდივიდუაციის პრობლემა ე.ი. რა არის საგანთა დასაბამი, საწყისი და როგორ მიიღება მისგან ერთეული საგნები. საგანთა პირველ საწყისს არ შეიძლება ჰქონდეს საგანთა არც ერთი კონკრეტული თვისება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის პირველი საწყისი კი არა, თვითონ საგანი იქნებოდა. საგანთა დასაბამი არც განსაზღვრული უნდა იყოს და არც გარკვეული. კონკრეტული თვისებები დასაბამში, არხეში კი არ უნდა არსებობდეს, არამედ საგანთან ერთად უნდა იქმნებოდეს, მაგრამ ისე, რომ დაცული იყოს დებულება: არაფრისგან არაფერი არ წარმოიშობა. ანაქსიმენის აზრით, საგნებისა და მათი თვისებების წარმოშობა სწორედ პირველსაწყისიდან უნდა მოხდეს და არა არარაობიდან, მაგრამ ისე, რომ წარმოშობა მართლაც ახლის მიღება იყოს და არა ძველის, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში უკვე

არსებულის განმეორება გამოვიდოდა, როგორც ამას ანაქსიმანდრესთან ჰქონდა ადგილი.

ანაქსიმენი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არხე - პირველი ნივთიერება, უნდა იყოს **ჰაერი.** გათხელება – გასქელების მოქნილი უნარი, ჰაერის პირველი თვისებაა. ამიტომ, მას შეუძლია შექმნას საგანთა სხვადასხვაობა. ჰაერი ნაკლებად ეწინააღმდეგება სხვა საგნებს. ის თითქოს არც არსებობს. ყველა საგანთან შედარებით ჰაერი უსახოა და უთვისებო. ჰაერი ყველაზე უფრო ბევრია, ყველაფერი ჰაერგვარია. ჰაერი რაოდენობრივად და თვისობრივად განუსაზღვრელია. ყველაფერი არსებითად არის ჰაერი, ყველაფერი ერთიანობაშია და ეს ერთიანობა ჰაერში მდგომარეობს.

მოძრაობას არა აქვს დასაწყისი და არც ბოლო. ჰაერი სულ მოძრაობს და სულ იმოძრავებს. რა იწვევს მის მოძრაობას? მისი აზრით, ჰაერს არაფერი არ ამოძრავებს, გარდა თავისი თავისა. ჰაერი თვითმოძრავია. ის თავის თავსაც ამოძრავებს და სხვასაც. თვითმოძრავი ცოცხალია. ჰაერი ცოცხალი მატერიაა. სიცოცხლე სუნთქვაა. სუნთქვის გარეშე ცოცხალი ორგანიზმი მოკვდება, დაიშლება. მსოფლიო ცოცხალია, ის სუნთქავს. მისი აზრით, ჰაერი არის მსოფლიო სული, რომლის გარეშეც მსოფლიო დაიშლებოდა, ქაოსად გადაიქცეოდა. მსოფლიო სულის გამო მთლიანია, მწყობრად არის აგებული. ჰაერი მასალა არ არის, იგი არა მხოლოდ ნივთიერებაა, არამედ – გამაერთიანებელიც.

მილეთის სკოლის დამსახურება ფილოსოფიის წინაშე ის არის, რომ მათ პირველებმა წამოჭრეს პრობლემა სამყაროს პირველსაწყისის შესახებ და შეეცადნენ თვითონვე გაეცათ პასუხი კითხვაზე: თუ რა წარმოადგენს სამყაროს საფუძველს? ისინი სამყაროს არსებობის პრობლემას სამყაროშივე არსებულით ადასტურებდნენ. ***წყალი – ჰაერი*** - ეს საფუძველი დაედო იმ პირრველსაწყისს, რასაც იმ დროისათვის დიდი მნივშნელობა ჰქონდა, ხოლო დღევანდელი გადმოსახედიდან ეს იყო პირველი მცდელობები სამყაროს საწყისის შეცნობისა და სწორედ მან დაუდო დასაბამი ფილოსოფიის შემდგომ განვითარებას.

ჰერაკლიტე (540-480 წწ.ძვ. წ.)

ჰერაკლიტე ძველი დროის უდიდესი დიალექტიკოსია, ისეთი დიალექტიკოსი, რომლის შესახებ ჰეგელი ამბობდა: „ჰერაკლიტეს არა აქვს არც ერთი დებულება, რომელიც ჩემს ლოგიკაში არ შესულიყოსო“. ჰერაკლიტეს ფილოსოფიის ძირითადი დებულება არის: „არსი და არარსი ერთი და იგივეა, ყველაფერი არის და არ არის“, „ყველაფერი მიმდინარეობს“. ყველაფერი ისე მიმდინარეობს, როგორც მდინარე, რომელშიაც ორჯერ შესვლა არ შეიძლება (ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ).

რას ნიშნავს ჰერაკლიტესათვის ბუნების საგანთა მრავალსახიანობა? მისთვის ერთი საგანი არის ის, რაც არ არის მეორე და ა.შ. საგნები იმიტომ არსებობენ და იმიტომ არიან ისინი გარკვეულად არსებულნი, რომ ისინი ერთიმეორისაგან განსხვავებულნი არიან. განსხვავებულია საგანთა დახასიათებაც, რადგან ისინი ერთიმეორეს უპირისპირდებიან კიდეც. მაგალითად, ომი და ზავი, თბილი და ცივი, დღე და ღამე. დაპირისპირება ქმნის მათ გარკვეულობად. ერთი - სწორედ ის არის, რაც არ არის მისი საპირისპირო - მეორე.

ჰერაკლიტე თვლის, რომ ეს განსხვავება და დაპირისპირება საგნებისა მათ სრულიადაც არ სპობს. პირიქით, ისინი მჭიდროდ არიან ერთიმეორესთან დაკავშირებულნი, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ ერთ მთლიანში არსებობენ. მდინარეში მიმდინარე წყლის ნაწილები, ერთი მთლიანი მდინარის ნაწილებია. მართალია, „ერთსა და იმავე მდინარეში ჩავდივართ და არც ჩავდივართ, ვართ და არც ვართ“, „შეუძლებელია ორჯერ ერთსა და იმავე მდინარეში ჩასვლა“, მაგრამ ეს საპირისპირონი მაინც ერთსა და იმავე მდინარეში ხდება. საპირისპირონი ერთიმეორეს აძლევენ აზრს: ,,ერთი მის საპირისპიროს უარყოფს, მაგრამ ორივეს ერთიმეორით აქვს გარკვეულობა. ავადმყოფობას სასიამოვნოდ ცვლის კარგადმყოფობა, ბოროტებას - სიკეთე, დაღლილობას – დასვენება“. საპირისპირონი ერთიმეორეს აპირობებენ.

დაპირისპირება, წინააღმდეგობა, ბრძოლა განსაზღვრავს და ამ აზრით, ქმნის ყველაფერს. წინააღმდეგობა და ბრძოლა ყველაფერზე ბატონობს. წინააღმდეგობა და ბრძოლა ყველაფერს კიდევაც სპობს და კიდევაც ქმნის. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი კიდევაც არის და არც არის, სხვანაირად: ყველაფერი იცვლება და მიმდინარეობს.

,,ყოველი საგანი კიდევაც არის და არც არის“ - ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ საგანი არარაობაა. არსი და არარსი მასში ერთიმეორეს სპობს და ამიტომ საგანიც ისპობა, თითქოს საგნის შექმნა და მოსპობა ერთი და იგივე იყოს. არამედ, ეს იმას ნიშნავს, რომ საგანი არსისა და არარსის მთლიანობაა. ეს მთლიანობა კი პროცესში, ცვალებადობაში მდგომარეობს.

საწინააღმდეგოთა ბრძოლის დროს ორივე მხარეში რაღაც საერთო უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ქაოსი ან მხოლოდ არარაობა, სიკვდილი გვექნება და არა არსი და სიცოცხლე. სწორედ, ასეთი საერთო არის ის, რასაც თალესი - წყალში ეძებდა, ანაქსიმანდრე - აპეირონში და ანაქსიმენი – ჰაერში. ჰერაკლიტეს აზრით კი, ეს ძირი, არხე ყველაფრისა არის ის, რაც აგვიხსნის მოძრაობას. ყველაზე უფრო მოძრავი, მოქნილი და ცვალებადია **ცეცხლი,** ცეცხლზე გადაიცვლება ყველაფერი და ყველაფერზე კი ცეცხლი, ისე როგორც საქონელი – ოქროზე და ოქრო საქონელზე.

ყველგან არსებული უცვლელი, მაგრამ მარად ცვალებადი პირველი ნივთიერება, როგორც არხე, არის ცეცხლი. ის არის ყველასათვის საზოგადო, რომელიც სულ იცვლება, მაგრამ იგივე რჩება. მთელ სამყაროს მართავს მარადიული ცეცხლი. ცვალებადობას განიცდის ის, რაც მარადიულია, რაც არ წარმოშობილა და არც მოისპობა, რაც არაფრისგან არ შექმნილა და თვითონ ყველაფერს ქმნის, ის არის ცოცხალი და არა მკვდარი ცვალებადობა, კანონზომიერია და არა ქაოტური. სამყარო - ერთიანობა ყოველივესი, შექმნილი არ არის არც ერთი ღმერთისაგან და არც ერთი ადამიანისაგან. არამედ იყო, არის და იქნება მარად ცოცხალი ცეცხლი, რომელიც კანონზომიერად ინთება და კანონზომიერად ქრება.

ყველაფერი ცეცხლით იწყება და ცეცხლით მთავრდება. მსოფლიოს ბოლო, არის მსოფლიო ხანძარი, საიდანაც ყველაფერი შემდგომში ხელახლა დაიწყება. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი ერთიანობაშია, ყველაფერი დაპირისპირებულთა ერთიანობაა, ყველაფერი კანონზომიერად იცვლება. ჰერაკლიტესათვის კანონზომიერება წესრიგს ნიშნავს. მისი აზრით, მხოლოდ სამყაროს ახასიათებს წესიერება, გონიერება და ლოგოსი.

ჰერაკლიტეს ფილოსოფიაში დიდი ადგილი უჭირავს შემეცნების საკითხს. სინამდვილეს ჩვენ ვიმეცნებთ შეგრძნებებით, აღქმებით და გონებით. გრძნობითი შემეცნება პირველი საფეხურია, მაგრამ უფრო დაბალია, გონებითი კი – უფრო მაღალი. გრძნობითი შემეცნება შეზღუდულია. გონების მიერ მიღწეული ცოდნა კი – სრული. ეს განსხვავება შემეცნების საგნით არის განპირობებული. გრძნობითი შემეცნების საგანი შეზღუდულია, გონება კი უნივერსალური და საყოველთაოა.

არსებობს კერძო გონება, იგი ზოგადია. ასეთი უნდა იყოს სიბრძნეც. სიბრძნე არ შეიძლება ბევრი იყოს. სიბრძნე მხოლოდ ერთია, რადგან ერთი, ლოგოსი, ცეცხლი არის მხოლოდ ერთი - როგორც ბევრის, ყველას არსება, ყველასათვის ზოგადი და წარმმართველი. „არის ერთი სიბრძნე – ცოდნა იმ გონებისა, რომლის მიერ წარიმართება ყოველი. ჰერაკლიტესათვის, ყოველი ყოველით ნიშნავს - „შეიცან თავი შენი“. მისი აზრით, ცოდნას არა აქვს საზღვარი, რომ გონებას ყველაფრის შემეცნება შეუძლია. გონიერება თვითცოდნას, თვითშემეცნებას ნიშნავს ჰერაკლიტესათვის. გონება იმეცნებს თავის თავს, რადგან ის იმეცნებს ყველაფრის ზოგადს რომელიც, თვითონ გონიერებაა. ლოგოსიც ცეცხლია და გონებაც, რომელიც ნაწილობრივი ლოგოსია და ეს ლოგოსი ჩვენში არსებულია. მსოფლიო ლოგოსის შემეცნება უკვე თვითშემეცნებაა, რამდენადაც თვითშემეცნება გაგებულია, როგორც ჩვენი გონების ცეცხლი, მსოფლიო კი - ცეცხლის ნაწილია.

თვითშემეცნების პრობლემის დასმის პირველი ცდა ჰერაკლიტეს ეკუთვნის. ჰერაკლიტემ მარადიული მოძრაობა და ცვალებადობა აღიარა, შემეცნებაში კი რაციონალურისა და ემპირიულის ერთიანობა ცხადყო. ჰერაკლიტეს ფილოსოფიამ,

წინ წამოსწია მთელი რიგი საკითხები, რომელთა გადაჭრაც მან ვერ მოახერხა, მაგრამ მომავალ ფილოსოფოსებს მისცა შესაძლებლობები, მის მიერ დასმული საკითხების ღრმა ანალიზისათვის.

პითაგორეიზმი (571-497 წწ.ძვ.წ.)

პითაგორეიზმის მამამთავარი იყო პითაგორა სამოსელი, რომელმაც შექმნა მოძღვრება რიცხვების შესახებ. პითაგორასა და პითაგორელების წინაშე იდგა იგივე პრობლემა ანუ არხეს პრობლემა. რა არის საგანთა საწყისი? ამ კითხვას პითაგორელებმა უპასუხეს ასე: გრძნობად საგანთა სიმრავლის საწყისი უნდა იყოს ერთი და არა მრავალი, რადგან ასახსნელი სწორედ სიმრავლეა. რას წარმოადენს საგანთა ერთიანობა? რა არის მრავალი საგნის ერთი საწყისი? ასეთი საწყისი სწორედ ერთი უნდა იყოს. პითაგორელების თვალსაზრისით, საგანთა საწყისი არის - ერთი, თვითონ საგნები ე.ი. რაც ერთი საწყისით უნდა აიხსნას არის - სიმრავლე. ერთი - სიმრავლის საწყისია, რადგან სიმრავლე სხვა არაფერია, თუ არა ერთის განმეორება. ყველაფრის საწყისი და არსება რიცხვებია, ფიქრობდნენ პითაგორა და პითაგორელები.

ერთი - საწყისია ყველაფრისა, სიმრავლის ყოველი სიმრავლე რიცხვით გამოიხატება. ყველა რიცხვი ერთის ქვეშაა მოქცეული, ერთია მისი საწყისი. ერთი პირველია, უპირველესი სიმრავლისათვის, ის ზოგადია. პითაგორას მოძღვრების პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: ერთის გარეშე შეუძლებელია სიმრავლის განსაზღვრა, რადგან მაშინ არავითარ სიმრავლეს არა აქვს აზრი.

ერთის შემდეგი არის ორი. ორი არის განსხვავება, ანუ არის ლუწი, მაგრამ საწყისი კენტი არის - პირველი. კენტი განსაზღვრულია, ლუწი – განუსაზღვრელი. ერთი არის განსაზღვრული რაოდენობა, რიცხვი. რიცხვი არის ერთი და განსაზღვრული რაოდენობა. ორი ე.ი. საწყის კენტს დამატებული კიდევ სხვა ერთი, ეკუთვნის კენტსაც და ლუწსაც ე.ი. ლუწი არის - კენტს დავუმატოთ ერთი.

ორი არის „გაურკვეველი ორი“-ის ერთგვარი წინააღმდეგობაა. ერთი, არის თავის თავთან იგივეობა. როცა ერთი მიემატება ერთს მიიღება „გაურკვეველი ორი“.

ერთი და ორი ყველაფრის ამხსნელია, ფიქრობდნენ პითაგორელები. ერთი და ორი, როგორც პირველსაწყისები - ყველაფერს განსაზღვრავენ. ამას ის მოწმობს, რომ არსებობს უზოგადესი საპირისპირო განსაზღვრულობანი, რომლებსაც ყველა საგანი ექვემდებარება. ასეთი უზოგადესი განსაზღვრულობანი არის **ათი.** ერთი არის საზღვრული – უსაზღვრო. ორი კი, კენტი – ლუწი. სამი გახლავთ, ერთი – მრავალი, ოთხში მოიაზრება, მარჯვენა – მარცხენა, რიცხვი ხუთი ნიშნავს მამრობითი - მდედრობითი, ექვსი აღნიშნავს, უძრავი – მოძრავი, შვიდი არის სწორი – მრუდი, რვა კი სინათლე – სიბნელე, რიცხვი ცხრა, კარგი – ცუდი და ბოლოს ათი, კვადრატი – პარალელოგრამი. პითაგორელებმა, ასეთი ახსნა მოუნახეს ციფრებს, რომლის ქვეშ გულისხმობდნენ ზემოაღნიშნულ დაპირისპირებებს. ეს სწორედ ის დაპირისპირებებია, რომლებიც კიდევაც გამორიცხავენ ერთმანეთს და ამავე დროს, განსაზღვრავენ და განაპირობებენ ურთიერთს.

პითაგორელების აზრით, სხეულები – საგნები იშლება გეომეტრიულ ფიგურებად. გეომეტრიული ფიგურები კი – რიცხვებად. რიცხვები შეადგენს გეომეტრიულ ფიგურებს, ეს უკანასკნელი კი - საგნებს, სხეულებს.

ამგვარად, ბუნება რიცხვთა გამოვლინებაა. სამყარო, კოსმოსი არის ერთი. ერთის დაშლა გვაძლევს სიმრავლეს, რომელიც ერთიანობაშია ე.ი. ჰარმონიას. მსოფლიო ჰარმონიულია. მასში სრულიად გარკვეული კანონზომიერებაა, რომელიც რიცხვთა კანონზომიერებას უდრის.

ყველაფრის საწყისის შესახებ მოძღვრება მეტაფიზიკას გვაძლევს, რიცხვების შესახებ მოძღვრება – გეომეტრიას, სხეულებზე მოძღვრება კი – ფიზიკას. ეს გარკვეული საფეხურებია, რომლებიც საბოლოო ჯამში ერთ ცოდნას, სიბრძნეს, ფილოსოფიას შეადგენენ.

პითაგორეიზმმა დიდი გავლენა მოახდინა, ერთი მხრივ მათემატიკის განვითარებაზე, ხოლო მეორე მხრივ ფილოსოფიაზე. პითაგორეიზმი მონათმფლობელური არისტოკრატიის იდეოლოგიას წარმოადგენდა.

ელიატური სკოლა

ქსენოფანე კოლოფონელი (580-479 წწ. ძვ. წ)

ქსენოფანე იყო ქალაქ კოლოფონიდან (მცირე აზია), სავარაუდოდ, მისი ფსევდონიმიც აქედან წარმოსდგება. მას მოიხსენიებენ როგორც პოეტს, იუმორისტს და სატირიკოსს. მის კალამს ეკუთვნის ორი ეპიკური პოემა – კოლოფონის დაარსებაზე და იონელთა ელეაში გადასახლებაზე, აგრეთვე დიდაქტიკური პოემა – „ბუნების შესახებ“.

ქსენოფანეს აზრით, ყველაფერი თვალხილული, გრძნობადი შეადგენს ბუნებას. ბუნება არის გრძნობადი საგნები ერთად აღებული. ეს საგნები მუდმივ ცვალებადობაში იმყოფებიან. ბუნებაში მუდმივი, მტკიცე არაფერია. დროში ცვალებადი მოვლენები მხოლოდ წარმავალია, წარმოშობას ვერ ასწრებს ისე ისპობა. ერთი საგანი მეორეს არ ჰგავს, წარსული აწმყოს არ ჰგავს, აწმყო – მომავალს. ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული, თავი და ბოლო. არაფერი არ არის მყარი და უცვლელი. ბუნება ისე იცვლება, როგორც ორთქლი. იგი ნამდვილად მოჩვენებაა. არაფერი არ არის. ყველაფერი მიმდინარეობს. ბუნება ორთქლივით ირეალურია.

ქსენოფანეს აზრით, ჩვენი შეგრძნებებით, აღქმებით, წარმოდგენებით არაფრის შემეცნება არ შეიძლება, რადგან ორთქლივით ცვალებად ქვეყანაში არაფერი არ არის მყარი და გარკვეული. საგანზე წარმოდგენის შედგენასაც ვერ ვასწრებთ, რომ იგი უკვე იცვლება. ცვალებადია თვალხილული საგნებიც, ჩვენი აღქმებიც და წარმოდგენებიც. შეგრძნებები და აღქმები გვაცდენენ, გვატყუებენ. ამდენად,

ჭეშმარიტების მიღწევა, ჭეშმარიტი შემეცნება შეუძლებელია. არ არსებობს საზომი, რომლითაც ჩვენ შევძლებთ ჭეშმარიტის მცდარისაგან განსხვავებას. როგორც ბნელ ოთახში რაიმე ნივთის ნახვა შემთხვევითი, ასევეა ჭეშმარიტების აღმოჩენაც. ჭეშმარიტებას შემთხვევით აღმოვაჩენთ, მაგრამ ვერც ვიგებთ თუ როდის ვახერხებთ ამას.

ერთი არსი – ღმერთი, არ შეიძლება ნაკლოვანი იყოს. ის არის სრული, უსრულესი, ყოვლად სრული. ასეთი რამ არ შეიძლება გაჩნდეს ან მოისპოს, ის არც მოისპობა. შეუძლებელია მისი გაჩენა–მოსპობა. ის სწორედ იმის საწინააღმდეგოა, რაც წარმოიშობა და მოისპობა, რაც ცვალებადია. არ არსებობს არაფერი, რომელსაც შეეძლოს უსრულესი ერთი არსის გაჩენა და მოსპობა. ასეთ შემთხვევაში, სწორედ ასეთი მიზეზი იქნებოდა ერთი არსი.

ქსენოფანე, ერთმანეთისაგან განასხვავებდა შეხედულებასა და ჭეშმარიტ ცოდნას. მისი აზრით სამყაროს, ბუნების შესახებ შეიძლება მხოლოდ ფიქრი, სხვადასხვა შეხედულებების შემუშავება და არა ჭეშმარიტი ცოდნა. ბუნების შესახებ გვაქვს გრძნობადი ცოდნა-შეხედულებები; ფიზიკა გრძნობადი ცოდნაა, შეხედულებაა. ადამიანს ფანტაზიების საფუძველზე შექმნილი აქვს მითები. ნამდვილი აზრი, გონიერება - ღმერთს ეხება. ნამდვილი შემეცნება მხოლოდ გონებით არის შესაძლებელი. წინამორბედი ფილოსოფოსების „არხე“, რომელიც ცვალებადი მოვლენების უცვლელ ერთ საფუძველს აღიარებდა, ქსენოფანეს მიერ მეტაფიზიკად იქნა მიჩნეული, რომელიც მოწყვეტილია მოვლენებისგან და იგი წარმოდგენილ იქნა, როგორც ერთი ღმერთი.

პარმენიდე (ძვ.წ მე- 6ს. მეორე ნახევარი მე-5ს. დასაწყისი)

პარმენიდე იყო ელეელი (ქალაქ ელეადან) არისტოკრატი. იგი ცნობილია, როგორც პოლიტიკური მოღვაწე. პარმენიდე, გახლდათ ქსენოფანეს მოწაფე. მისი დაბადებისა და გარდაცვალების ზუსტი წლები უცნობია.

პარმენიდეს მთავარი ნაშრომი გახლავთ „ბუნების შესახებ“, რომელიც შედგება შესავლისა და ორი ნაწილისაგან: „ჭეშმარიტება“ და „მოჩვენებითი ცოდნა“. თავის მოსაზრებას პარმენიდე ასე გადმოქვცემს, რომ არარსი არც მოიაზრება და არც გამოითქმება. „არარაობას, ვერც შეიცნობ და ვერც გამოთქვამ“. პარმენიდეს დებულება „არსი არის და არარსი არ არის“ - ჭეშმარიტებაა, ის არის ყოველგვარი ჭეშმარიტების სათავე.

პარმენიდე იძლევა მკაცრი რაციონალიზმის დასაბუთებას. გრძნობად ქვეყანას ცვალებადობისა და ქცევადობის თვალსაზრისით აფასებს. გრძნობის ჩვენება ყოველთვის მცდარია და ამიტომ ქვეყანა სინამდვილეში არც ცვალებადია და არც ქცევადი. დიახ, ის არც მოძრაობს. მოძრაობის მოჩვენებითობას, გრძნობის სიცრუე ქმნის. ჭეშმარიტებამდე, მხოლოდ გონებას შეუძლია მიგვიყვანოს. გონების დასაყრდენი კი არის მყარი არსი, იგი უცვლელია და უძრავი, იგი არის ერთი და არის ზოგადი, საყოველთაო.

მხოლოდ გონებას შეუძლია – ამბობს პარმენიდე, გაარჩიოს ერთმანეთისაგან არსებული და არ-არსებული; არსებული, როგორც ჭეშმარიტება - დასტოვოს და არარსებული, როგორც მოჩვენებითი - გააძევოს. იგი ებრძვის იმ მოძღვრებას, რომელსაც აზრის ამოსავალ და დასაყრდენ პრინციპად მიაჩნია მოძღვრება - არსის და არ-არსის იგივეობის შესახებ. პარმენიდეს ფილოსოფიის მიზანია, ქცევადობის დიალექტიკის პრინციპების განადგურება, არსისა და არ–არსის ერთიანობის პრინციპის და მოძრაობის უნივერსალობის თეორიის მოსპობა. ამ მიზნისათვის, იგი აყალიბებს მეტაფიზიკის ძირითად არგუმენტს. ეს არგუმენტია: არსი არის არსებული და არ–არსებული არის არარაობა. „არავის შეუძლია დამაჯერებლად დაასაბუთოს,

რომ არ–არსებული არის“. რატომ? ამ კითხვას პარმენიდე წყვეტს რაციონალისტურად იმიტომ, რომ „აზროვნება და არსი ერთი და იგივეა“.

აქ გამოცხადებული იგივეობა აზრისა და არსის შესახებ, შეიძლება მიღებულ იქნას მხოლოდ აზროვნების საშუალებით, ე.ი. გონებით. ამიტომ, ეს სულაც არ არის, არც გულუბრყვილო იგივეობის თეზისი და არც ინდიფერენტობის. აქ აზრი და არსი არ ნიშნავს იმას, რასაც ეს სიტყვები დღეს ნიშნავენ: აზრი–სუბიექტს, არსი–ობიექტს. პარმენიდეს აზრით, ეს ორივე გონიერი არსებაა, ორივე ცნება გააზრების საშუალებით დგინდება, ორივე სულიერია და ამიტომ არის ერთი. აი, სად არის იგივეობის მეტაფიზიკის სათავე. არსებობა მიეკუთვნება მხოლოდ იმას, რაც აზროვნებით გაიაზრება; ამიტომ კითხვაზე არსებობს თუ არა ბუნება, არსებობს თუ არა მოძრაობა – პარმენიდე უარყოფით პასუხობს.

„აზროვნება და ის, რაც აზრის საფუძველს შეადგენს“ ერთიდაიგივეა, იმიტომ, რომ „ვერსად ნახავთ აზროვნებას იმ არსებულის გარეშე, რომელშიაც იგი გამოთქმულია“. ცხადია, რომ არსებული აქ - გონებას უდრის და ნათელია, რომ მათი იგივეობრიობა აშენებულია იმაზე, რომ აზროვნება თვითონ არის არსი. ამიტომ, იგი ამავე დროს არის ერთი. ეს ერთი - ქვეყანა არ არის. ქვეყანა ცვალებადი და გარდამავალია.

ადამიანი ბუნების ნაწილია და ამიტომ ისიც ცეცხლისა და მიწის ნარევია. ადამიანი ბუნების შემეცნებას იმით ახერხებს, რომ მასში არსებული ცეცხლით ბუნებაში არსებულ ცეცხლს შეიმეცნებს, მიწით – კი მიწას. ნათელით - ნათელი შეიმეცნება და ბნელით – ბნელი, მსგავსი - მსგავსს შეიმეცნებს. ეს პრინციპი პარმენიდეს გამოყენებული ჰქონდა არსის შესახებ მოძღვრებაშიც. ამიტომ ამბობდა იგი, რომ აზრით, მისი ბუნების მქონე, არსი შეიმეცნებაო.

ჩვენი გრძნობიერება, პარმენიდეს აზრით არსებითად მცდარია, რადგან მის მიერ დანახული სინამდივლე ცვალებადი და წარმავალია.

პარმენიდე მეტაფიზიკოსი იყო, ის ცვალებადობას უარყოფდა და რაღაც მეტაფიზიკურ არსს, განყენებულ ერთ არსს აღიარებდა.

ანაგსაგორა (500-428წწ.ძვ.წ.)

ანაგსაგორა დაიბადა ქალაქ კლაძომენში (კოლოფონის მახლობლად, მცირე აზია), ჰყავდა მდიდარი მამა, მაგრამ თავად ანაქსაგორა სიმდიდრის მოყვარული არ ყოფილა. ბედნიერება სიმდიდრეში და ძალაუფლებაში კი არ არის, არამედ „ჭვრეტაშიო“. გადმოცემით ცნობილია, რომ მის ფილოსოფიურ აზროვნებაზე დიდი გავლენა იქონია ანაქსიმენმა.

ანაგსაგორა ფიზიკოსია. ის ბუნებაში არსებული კანონზომიერების დამცველია, რომელსაც ჩვენ ჩვენი შეგრძნებები გვიჩვენებენ. ანაქსაგორა პირველ რიგში იცავს საგნის ისეთ გრძნობად თვისებებს, როგორიცაა ფერი, გემო და სუნი. გრძნობადი თვისებები, ნამდვილად არსებობს. საჭიროა მათი ახსნა და არა უარყოფა. შეგრძნებები არ გვატყუებენ. შეგრძნებების სისუსტე მხოლოდ ისაა, რომ ისინი აჩვენებენ სინამდილის მხოლოდ ნაწილს. ჩვენი შეგრძნებებით ნაჩვენები სინამდვილე, ნამდვილად არსებობს.

ანაქსაგორას აზრით, საჭიროა აიხსნას ფერი, გემო და სუნი. როგორ ჩნდება ეს თვისებები? უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ არაფრისაგან არაფერი არ ჩნდება. არარაობა არსი ვერ გახდება და პირიქით. თუ თვისებები: ფერი, გემო და სუნი გაჩნდნენ, მაშინ ისინი გაჩნდებოდნენ მხოლოდ იქიდან, სადაც ისინი იყვნენ, რადგან არარაობიდან ვერ გაჩნდებოდნენ. მსგავსი, მხოლოდ მსგავსისაგან ჩნდება. თმა შეიძლება თმისგან გაჩნდეს, ხორცი – ხორცისაგან, ვერცხლი - ვერცხლისაგან. არავითარი ნივთიერება არ ჩნდება და არ ისპობა. რაც არსებობს, მუდამ არსებობდა და მუდამ იარსებებს. გაჩენა პირდაპირი, აბსოლუტური მნიშვნელობით არ არსებობს. გაჩენა მხოლოდ შეიძლება იყოს გამოაშკარავება იმისა, რაც დამალულია. გაჩენა ფარული სახით არსებულის გამოაშკარავებაა. „რაც ჩნდება, ის არის უხილავის ხილვა“. თვისებათა რიცხვი მუდამ ერთი და იგივეა, სინამდვილე საერთო ჯამში „ერთი და იგივეა“.

ცვალებადობა, გაჩენა და მოსპობა კი არაა არამედ, უჩინარის გამოჩენა და შესამჩნევის გაუჩინარებაა. ამიტომ, არსებობს უცვლელი თვისებები და ნივთიერებები. არსებობს ცვალებადობაც, როგორც გამოჩენა–დაფარვა. ამ აზრით, უცვლელი არ გამორიცხავს და არ ეწინააღმდეგება ცვალებადს.

ანაქსაგორას აზრით, ბუნებაში ყველაფერი ყველაფერშია, მაგრამ გონებაში არაფერი არაა გარდა თვითონ გონებისა. გონება არის წმინდა. თუ ნარევი და ბუნების საგნები პასიურია, გონება - წმინდა აქტივობაა. გონება არ იცვლება, მარადიულია. გონება მართავს ყველაფერს და თავის თავსაც. ის თვითმმართველია. გონება, ამოძრავებს ყველაფერს და თვითონ არაფრისგან არ იღებს მოძრაობას.

შემეცნებას, ადამიანი აწარმოებს შეგრძნება-აღქმებისა დ გონების მეშვეობით. შეგრძნება, აღქმები - არ ცდება. ისინი სწორად გვიჩენებენ იმ ნივთიერებას მისი თვისებებით, რომელიც საგანში ჭარბობს, მაგრამ ისინი ვერ სწვდებიან არაჭარბს, მალულს - საგანში. ამდენად შეგრძნება, აღქმები - სუსტნი არიან. გონება კი ყველაფერს იმეცნებს.

ამგვარად, ანაქსაგორა დუალისტია. ის გულუბრყვილო მატერიალისტია, ფიზიკოსია და არის იდეალისტიც, მაგრამ მის ფილოსოფიაში, მაინც მეტაფიზიკა სჭარბობს.

დემოკრიტე (460-370 წწ.ძვ.წ.)

დემოკრიტე ძველი დროის უდიდესი მატერიალისტია. დემოკრიტეს თხზულებები ცოდნის თითქმის ყველა დარგს ეხებოდა. არისტოტელე, მის ფილოსოფიას ასე ახასიათებდა: დემოკრიტე იყო ფილოსოფოსი, რომელიც „აზროვნებდა ყველაფერზე“. დემოკრიტეს აზრით, ფილოსოფია ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: ფიზიკისა და ეთიკისაგან. მაგრამ არსებობს მესამე ნაწილიც – ლოგიკა.

დემოკრიტე ამტკიცებს, რომ არარობიდან არაფერი წარმოიშობა, ანუ დემოკრიტეს მოძღვრება შეგვიძლია გამოვთქვათ შემდეგი დებულებით: სამყაროს საფუძველი არის ატომი და სიცარიელე, ყოველივე გარეშე ამისა, მტკიცე საფუძველს მოკლებული შეხედულებაა... არაფერი არ წარმოსდგება არ–არსებულისაგან და არაფერი არ იქცევა არ–არსებულად.

ატომი ნიშნავს ელემენტს, მატერიალურ სუბსტრატს, რომლის გაყოფა შეუძლებელია. ატომია ის, რომლისაგანაც ხილული, გრძნობადი და რთული შედგება. ატომები ურიცხვია, რადგან არსებობს ურიცხვი საგნები. საგანთა განუწყვეტელი წარმოშობა შეუძლებელი იქნებოდა, ატომთა რიცხვი განუსაზღვრელი რომ არ იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, განსაზღვრული რიცხვი ატომებისა გამოილეოდა და საგანთა წარმოშობა შეწყდებოდა. რადგან ასე არ ხდება, ატომების რიცხვი უსასრულოდ ბევრია. ატომები ერთმანეთისაგან სიდიდითაც განსხვავდებიან, ფორმითაც განსხვავდებიან, მდგომარეობითაც განსხვავდებიან და წყობითაც. ასეთი განსხვავებები ატომებში საჭიროა, საგანთა განსხვავებების ასახსნელად.

მაშასადამე დემოკრიტეს აზრით, არსებობს ბუნების ორი საწყისი: არსი და არ-არსი, ანუ სისავსე და სიცარიელე. ერთი მხრივ, ატომი და ცარიელი სივრცე, რომელიც აბსოლუტურ სისავსეს შეადგენს და მეორე მხრივ, აბსოლუტური სიცარიელე. ერთი მხრივ აბსოლუტური დადებითობაა, მეორე მხრივ კი, აბსოლუტური უარყოფითობა. დემოკრიტეს ფილოსოფიას საფუძვლად სამი ცნება უდევს: ატომი, სიცარიელე და მოძრაობა.

ატომი, სიცარიელე, მოძრაობა - მარადიულია. მათ არა აქვთ მიზეზი. რაც მარადიულია, იმისი მიზეზი არ არსებობს. მაგრამ ყველაფერ სხვას, სრულიად გარკვეული მიზეზი აქვს და ამიტომ აუცილებლობას ექვემდებარება. რაც აუცილებლობას ექვემდებარება - მარადიულია, რადგან მარადიულია ის პირველადია, ხოლო სხვა ყველაფერი, რაც მიზეზის გარეშე არსებობს - მეორეულია.

საინტერესოა დემოკრიტეს მოძღვრება შემეცნების შესახებ: რითი უნდა დავიწყოთ შემეცნება – გონებით, თუ შეგრძნებით, აღქმით? რა არის გამოსავალი - გრძნობადი ცდა თუ გონებით მიღებული ზოგადი დებულება? დემოკრიტესათვის, ჭეშმარიტი და შეგრძნებადი ერთი და იგივეა, აზროვნება საგნის სიღრმეს სწვდება და ნამდვილ ჭეშმარიტებას აღწევს; აზროვნება იმას სწვდება, რაც არ აღიქმება. დემოკრიტეს დებულებით, ჩვენ ჭეშმარიტებას არ აღვიქვამთ, იგი მოთავსებულია „ზღვის ფსკერზე“ და მას მხოლოდ აზროვნება სწვდება. დემოკრიტეს ეკუთვნის გამოთქმა: „ჩვენ ნამდვილად არაფერზე არაფერი არ ვიცით“. მაშასადამე დასკვნა ასეთია: შეგრძნებები და აღქმები, გონებითი შემეცნების წყაროა და მათი შემმოწმებელი მხოლოდ გონებაა, რამდენადაც გონების მიზანია გრძნობადის ახსნა და მისი დასაბუთება. გრძნობადი შემეცნება ფრაგმენტია გონებითი შემეცნებისა. შემეცნება, დაბნელებული გონებაა, გონება კი განათებული შეგრძნება. ისინი საპირისპირონი არიან, მაგრამ ერთიანობაშიც იმყოფებიან. გრძნობადი აღქმა ნამდვილ რეალობას კი არ ჩრდილავს, არამედ იგი გონებას უჩვენებს გზას სწორედ ასეთი რეალობისაკენ. იგი გამოსავალიცაა და მიზანიც.

დემოკრიტეს ფილოსოფიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ეთიკურ შეხედულებებს. ინდივიდი, ესწრაფვის სხეულებრივ და სულიერ სიამოვნებათა მიღებას. სიკეთე სიამოვნების მიღებაშია, მაგრამ ეს სიამოვნება უნდა იყოს არა დროებითი არამედ ხანგრძლივი. საჭიროა ზომიერების დაცვა, აწონვა ანუ „მორალური არითმეტიკა“, რათა კერძო სიამოვნებებს გარკვეული ადგილი მიეჩინოს მთელ ბედნიერ ცხოვრებაში, რომ მივიღოთ ჰარმონია.

ამიტომ, თუ ზნეობის ძირი გრძნობიერებაშია, მწვერვალი გონება უნდა იყოს. თუ სიამოვნებას უსიამოვნება მოჰყვება, ის უნდა უკუვაგდოთ, მივიღოთ ის სიამოვნება, რომელსაც სიამოვნებავე მოჰყვება შედეგად. სიამოვნება ფასდება შედეგითა და ხანგრძლივობით, აქ ხელმძღვანელი აუცილებლად გონება უნდა იყოს.

უმაღლესი სიკეთე არის სულიერი სიმშვიდე, აუღელვებლობა. ამის მისაღწევად საჭიროა გონებამ დაიმორჩილოს ვნებათა ღელვა. გონება

ხელმძღვანელია არა მხოლოდ შემეცნებისა, არამედ ზნეობრივი ცხოვრებისა. სიამოვნების მიღებას, გონება უნდა ხელმძღვანელობდეს; იგი ხელმძღვანელი უნდა იყოს სამართლიანი ცხოვრებისა, მან უნდა გვიჩვენოს გზა, ცხოვრების მშვენივრად მოწყობისა. ზომიერების დაცვა, მხოლოდ გონებით შეიძლება. ეს იმას ნიშნავს, რომ გონება უნდა ხელმძღვანელობდეს ჩვენს სურვილებს, მისწრაფებებს. მთავარია ვნებების დამორჩილება. დემოკრიტე ბრძოლის წინააღმდეგია და სულიერი სიმშვიდის მომხრეა. მისი აზრით, უმაღლესი გამარჯვება თავის თავზე გამარჯვებაა. დემოკრიტემ, ადამიანის ყოფაქცევის ნორმების ახსნა მოინდომა გონებით, ცნობიერებით, გრძნობიერების ფაქტებით და არა ცხოვრების მატერიალური პირობებით.

მეტად მნიშვნელოვანია, დემოკრიტეს მოძღვრება საზოგადოების შესახებ. ინდივიდებიდან – ნაწილებიდან იქმნება მთელი საზოგადოება. ცალკეული ადამიანები მოქმედებენ თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოლებლად. ადამიანთა ცხოვრება, საზოგადოებაში მათი დამოკიდებულება, შეგნებული მოქმედების შედეგია.

დემოკრიტე დიდად აფასებდა მეგობრობას. დემოკრიტეს აზრით, არ ღირს იმის სიცოცხლე, ვისაც მეგობარი არა ჰყავს. მეგობრობა ურთიერთსიყვარულს ემყარება. მეგობრობას ქმნის ერთიანი აზროვნება, საერთო შეხედულებები, საერთო ინტერესები, საერთო სარგებლობა.

დემოკრიტე მდიდრებსა და ღარიბებს სოციალური სიმშვიდისაკენ მოუწოდებდა. იგი რეფორმების მომხრე იყო და ებრძოდა ომებს, რადგან ომები, მისი აზრით, სულის სიმშვიდეს არღვევს.

დემოკრიტე ძველი დროის უდიდესი მატერიალისტია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა „მატერიალუისტურ ხაზს“ ფილოსოფიაში.

სოკრატე (470-399წწ.ძვ.წ.)

სოკრატეს ნაშრომებს ჩვენამდე არ მოუღწევია, რადგან იგი ზეპირი გამონათქვამებით კმაყოფილდებოდა და პირად საუბრებში გადმოსცემდა თავის ფილოსოფიურ შეხედულებებს.

სოკრატე დაბალი წრის წარმომადგენელი გახლდათ, მამამისი მოქანდაკე ყოფილა, ხოლო დედა - ბებიაქალი. იგი თურმე ხშირად ამბობდა, რომ დედ-მამის ხელობას ერთნაირად მისდევდა, რადგან ადამიანებს, მოქანდაკესავით ადამიანურ ფორმას აძლევდა და ბებიაქალივით ცოდნას აბადებინებდა.

სოკრატეს ფილოსოფია ეთიკური მომენტის გაანალიზებით იწყება. „შეიმეცნე საკუთარი თავი“ – ეუბნება იგი ადამიანს და ცდილობს ამ შემეცნებისათვის თავისი სახელგანთქმული მეევტიკით (ბებიაქალობით) ნიადაგი მოამზადოს - დაეხმაროს მეორე ადამიანს, მის გარეთ კი არ ეძიოს ჭეშმარიტება, არამედ დაბადოს ჭეშმარიტება საკუთარი თავიდან. სოკრატეს ძირითადი ამოცანაა ადამიანური შემეცნება. მისი ფილოსოფიის მთავარი მამოძრავებელი ძალა არის ადამიანი. სოკრატეს ფილოსოფიის მრწამსი ისაა, რომ ჭეშმარიტება ადამიანის შიგნით არის მოთავსებული. ამიტომ შემეცნება არის პროცესი, ადამიანის მიერ თავისი თავის მოსაზრებისა, თავისი თავის თავისთავიდანვე განვითარებისა, „ცოდნა იმანენტურია ცოდნის საგნისა“. სოკრატე დაეძებს საყოველთაოდ სავალდებულო ჭეშმარიტებას. თანახმად მისი ფილოსოფიის შინაგანი აზრისა, ასეთი ზოგადი ჭეშმარიტება არსებობს ადამიანში, როგორც კონკრეტობა. ესე იგი, ეს არის ყველა ადამიანის, ანუ ადამიანობის, შინაგანი კავშირი. მისი აღმოჩენა შესაძლებელია მხოლოდ ცოდნით. სოკრატესათვის ყველაფერი ცოდნაა; მისთვის ცოდნა – სიკეთეა, სამართლიანობაა, სათნოებაა. უცოდინარს არ შეუძლია იყოს ფილოსოფოსი. მხოლოდ მცოდნემ იცის, რომ ის, რაც მას აქვს მარტო მისი ინდივიდუალური, კერძო საკუთრება კი არ არის, არამედ საერთოდ ადამიანური საკუთრებაა. ის ზოგადი, რომელზედაც სოკრატეს ფილოსოფია, როგორც თავის უმაღლეს მიზანზე მსჯელობს, უპირველეს ყოვლისა არის საზოგადო – ადამიანური. სწორედ ამიტომ, ამ ზოგადის სახით სოკრატეს მიერ

აღმოჩენილი ცნება, არის ადამიანის ცნობიერების შინაგანი მდგომარეობის საზოგადო და საყოველთაო რაღაც. იგი ის არის, რაც თითოეულ ადამიანს თავის სულში აქვს და რადგან ეს მომენტი მის სულში ცნობიერია, ამიტომ ზოგადობა ყოველთვის ცოდნით მოინახება.

ამგვარად, სოკრატეს ფილოსოფიის უმთავრესი მიზანი არის ცნების ანუ უმაღლესი ზოგადობის დადგენა. რადგან ეს ზოგადი ცნება მხოლოდ ადამიანის ცნობიერების შიგნით მოიძებნება, სოკრატეს ფილოსოფია - სუბიექტის ფილოსოფიაა.

სოკრატეს ეკუთვნის სახელგანთქმული გამოთქმა „მე ვიცი ის, რომ არაფერი არ ვიცი“, რაც მისივე სიტყვებით, ნიშნავს შემდეგს: მე მაქვს ცოდნა არ ცოდნისა ე.ი. მე ბევრი რამ არ ვიცი, მაგრამ ვგრძნობ, რომ არ ვიცი და მას ვიკვლევ და ვიძიებ“. სოკრატე, არც ერთი მოცემული ცოდნით არ კმაყოფილდება, რადგან ცოდნაში სრულყოფილება არასოდეს იქნება. ცოდნა, დაუსრულებელი პროცესია, იგი უსასრულოა და უკიდეგანო. ვისაც ესმის ცოდნის არსი, ის კარგად აცნობიერებს იმას, რომ რაც უფრო ღრმად შედიხარ ცოდნაში, მით უფრო ხვდები უცოდინრობას.

სოკრატეს ფილოსოფიაში, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სიკეთის ცნებას. მისი კვლევის მთავარი ობიექტია სიკეთე, რომლის საწინააღმდეგო ცნებაც ბოროტებაა. ამ ორი ცნების განსხვავების ძიებისას იგი აღმოაჩენს ჭეშმარიტებას. სოკრატეს აზრით, ჭეშმარიტება კამათში იბადება. სწორედ მან დაუდო საფუძველი კამათის ხელოვნებას, რომლის შედეგადაც აღმოაჩინა, რომ ზნეობა ცოდნაა. ზნეობის უმაღლესი იდეალი სიკეთის მიღწევაა და ამიტომ, სიკეთე და ცოდნა ერთიდაიგივეა. ცოდნით არავინ ჩაიდენს ბოროტებას. სოკრატეს ფილოსოფიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმდენად, რამდენადაც მან საფუძველი ჩაუყარა კამათისა და დიალოგის ხელოვნებას, ცოდნის უსასრულობის პროცესის გაცნობირებას და დიდი ფილოსოფოსის - პლატონის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას.

პლატონი (427-347წწ. ძვ.წ.)

პლატონი გახლდათ ობიექტური იდეალიზმის მამამთავარი, ბერძნული მონათმფლობელური არისტოკრატიის იდეოლოგი. მისი უმთავრესი დიალოგებია: „ფედონი“, „ნადიმი“, „სახელმწიფო“. პლატონის ფილოსოფია იყოფა 3 ნაწილად 1) სოკრატული პერიოდი; 2) გარდამავალი პერიოდი; 3) სიმწიფის ხანა. პლატონის მოძღვრება შეიძლება ასე დავალაგოთ: ცოდნის თეორია, იდეების თეორია, სახელმწიფოს თეორია, ხელოვნების თეორია.

იდეათა თეორია პასუხობს კითხვას იმის თაობაზე, თუ რა არის შემეცნების მიზანი და რა აძლევს ობიექტურობას ცნების შინაარს. უსხეულო, ზეგრძნობად რეალობას პლატონი იდეებს უწოდებს. იდეა ცნების საგანია. იდეის გრძნობად სინამდვილეში მოქმედების მაგალითია, სულის როლი სხეულში. იგი ისევე მარადიულია, როგორც ყოველი საგნის ფორმა. იდეა, გრძნობადი საგნის არსებაა, მაგრამ საგნისაგან დამოუკიდებელია.

სულის შესახებ მოძღვრება მოიცავს მსოფლიო სულსაც (გონი), რომელსაც დემიურგი (იხ. განმარტებით ლექსიკონში) ქმნის იდეალურისა და მატერიალურის მიხედვით.

პლატონის აზრით, ფილოსოფოსის მიზანი არ არის, მაგ. ძვირფასი ტანსაცმლის, ფეხსაცმლის თუ სხვა რამ ასეთის შეძენა; ყველაფერ იმას, რაც სხეულს ამშვენებს ფილოსოფოსი გულგრილად უცქერის. ფილოსოფოსის მოქმედება სხეულისაკენ კი არ უნდა იყოს მიმართული, არამედ სულისაკენ. ფილოსოფოსის მიზანია სულის თავისუფლება; სული უნდა გათავისუფლდეს სხეულისაგან, იგი სხეულს არ უნდა ემონებოდეს. ფილოსოფოსის მიზანია გაათავისუფლოს სული სხეულთან კავშირისაგან. ზოგიერთს სიცოცხლე სიცოცხლედ არ მიაჩნია, თუ სხეულებრივი სიტკბოებანი არ განიცადა. ასეთი ადამიანი სხეულის მონაა, ფილოსოფოსს მასთან არაფერი აქვს საერთო. თუ სიცოცხლის აზრად სხეულებრივ სიტკბოებას მივიჩნევთ მაშინ ის, ვინც მასზე არ ზრუნავს, ახლოა სიკვდილთან. ამ

აზრით, ფილოსოფოსი ესწრაფვის სიკვდილს, ფილოსოფოსის მიზანი არის სიკვდილი, სულის სხეულისგან გათავისუფლება.

რა საშუალებით უნდა გათავისუფლდეს სული? სულს, მხოლოდ ერთი საშუალება და ერთი თვისება აქვს სხეულისაგან გასათავისუფლებლად, ეს არის აზროვნების უნარი. აზროვნების დამოუკიდებლობის განვითარება, აი საშუალება, რომლითაც სული გათავისუფლდება.

პლატონის აზრით, დიალექტიკა არის ჩვენი სულის იარაღი, რომელიც წინააღმდეგობის საშუალებით ჭეშმარიტ ცოდნამდე მაღლდება, აწარმოებს დავიწყებულის მოგონებას. სული სიცოცხლის წყაროა, საწყისია. ადამიანი დაინგრეოდა, დაიშლებოდა, მასში ერთიანი სულის ძალა რომ არ მოქმედებდეს. ის ფაქტი, რომ სულს შეუძლია თავის თავში ჩაღრმავდეს, სხეულის გარეშე წარმოიდგინოს თავისი თავი, პლატონის აზრით, მის დამოუკიდებლობას მოასწავებს. სხეული რთულია და შლადი, ხრწნადი, მოკვდავი. სული კი, პირიქით, უკვდავია დამოუკიდებელი და სხეულს იმორჩილებს. სული ბატონია, სხეული – მისი მონა.

ქვეყანაში ყველაფერი მოძრაობაშია. მოძრაობის საწყისი არის მსოფლიო სული. ის არის გონებისა და ნივთიერების, იდეისა და მატერიის შუამავალი. ის მოვლენათა სიმრავლეს უპირისპირდება, მაგრამ ამასთანავე, ქვეყანას ასულიერებს. ის არის მოძრაობის წყარო და, რადგან მსოფლიო მოძრაობაში შეერთებულია ერთგვარობა და ცვალებადობა, ამიტომ სული ქვეყნის ერთიანობას ქმნის. სული, აერთიანებს რა თავის თავში იდეალურ და მატერიალურ საწყისებს, ორივეს იმეცნებს. შემეცნებაში გაერთიანებულია იგივეობა და განსხვავება. სული არის: 1) ქვეყნის მამოძრავებელი ძალა 2) ქვეყნის იდეალური ერთიანობა, 3) ქვეყნის ცნობირება, 4) მათემატიკურ დამოკიდებულებათა ერთიანობა (სული არის ჰარმონია და სული არის რიცხვი, პითაგორელების გავლენა), რომლის თანახმადაც ქვეყანა მიზნობრივად არის მოწყობილი, განსაზღვრულია მსოფლიო სხეულთა ორბიტები, 5) სული არის მატერიაში იდეათა ხორცშესხმის საწყისი.

იდეები, როგორც ვიცით, მარადიულნი, ერთიანნი და უცვლელნი არიან. გრძნობადი საგნები კი, პირიქით – ცვალებადი, მრავალი, წარმავალი. იდეები ღვთაებრივ სფეროს ეკუთვნიან, საგნები კი - მერყეობენ არსებობასა და არარსებობას შორის. მოვლენები იდეების მხოლოდ უკუფენაა. მაგრამ ეს უკუფენა წინ სწევს განსაკუთრებულ საწყისს, რადგან მოვლენებისათვის, როგორც უკუფენისათვის, აუცილებელია ის, რაშიაც იდეები უკუიფინებიან, რომელშიც ნაწევრდება მათი მარადიული სხივები. ბუნებაში არაფერი არ აიხსნება გონების გარეშე, რადგან არაფერია, რასაც არ აქვს თავისი იდეა, მიზანი. ბუნებაში - მშვენიერება, მიზნობრიობა, ჰარმონია - ყველაფერში გონება ვლინდება. მაგრამ სამყაროში აუცილებელად არის გონების საწინააღმდეგო საწყისი - იდეები, რომელიც არის არსებულის ამხსნელი ჭეშმარიტი მიზეზი.

მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ

პლატონი შეეცადა ჩამოეყალიბებინა მოძღვრება იდეალური სახელმწიფოს შესახებ. ეს მოძღვრება მას მოცემული აქვს თავის დიალოგში „სახელმწიფო“. იგი შედგება 10 წიგნისაგან. ყოველ წიგნში განხილულია ის საკითხები, რომლებიც საბოლოოდ უზრუნველყოფენ იდეალური სახელმწიფოს ფუნქციონირებას. დიალოგში მოცემულია რეკომენდაციები და ის აუცილებლად გასატარებელი ღონისძიებები, რომლებიც ძლიერი სახელმწიფოს საწინდარია. პლატონის ცნობილი გამოთქმა: ,,ფილოსოფოსები უნდა ხელმწიფობდნენ და ხელმწიფენი უნდა ფილოსოფოსობდნენ“ სწორედ ამ ნაშრომში აქვს გატარებული, რაც ნიშნავს შემდეგს: ფილოსოფოსი სიბრძნის მოყვარულია, ის ეძებს არსებას. იდეა კი არსებულ სინამდვილეს ესწრაფვის, რათა შეიმეცნოს თვითონ ჭეშმარიტება. ფილოსოფოსები მარადიული ჭეშმარიტების, მშვენიერებისა და სიკეთის საფუძველზე უნდა მართავდნენ სახელმწიფოს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში განხორციელდება

სრულყოფილი სახელმწიფოს არსებობა და ფუნქციონირება. პლატონს სახელმწიფო მმართველობის იდეალურ ფორმად ესახებოდა 1) არისტოკრატიული რესპუბლიკა და 2) არისტოკრატიული მონარქია. პლატონის აზრით, სახელმწიფო არის სამყაროში სათნოების გაბატონების ერთადერთი საშუალება. ამიტომ, სახელმწიფოს მიზანი სათნოებაა, ამასთან ერთად, მოქალაქეთა ბედნიერება. მისი მთავარი ამოცანა არის ხალხის სათნოებით აღზრდა. ჭეშმარიტი სათნოება მეცნიერულ შემეცნებას ემყარება. ფილოსოფოსთა – მმართველთა წოდებას უნდა ექვემდებარებოდეს სხვა წოდებები. ყველა წოდება მხოლოდ თავის საქმეს უნდა აკეთებდეს; აუცილებელია შრომის განაწილება. წოდებათა შორის ჰარმონია, სამართლიანობა არის ის უცილობელი პირობა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებაში გონების ბატონობას.

პლატონის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ, რომელიც მას აქვს მოცემული დიალოგ „სახელმწიფოში“ არის პირველი პროექტი სრულყოფილი სახელმწიფოს მშენებლობისა.

პლატონის ესთეტიკა ანუ ხელოვნების თეორია

პლატონის ესთეტიკური შეხედულება არის შეხედულება მშვენიერებისა და მისი ხელოვნებაში გამოვლენის შესახებ. პლატონს მშვენიერების იდეა განხილული აქვს დიალოგ „ნადიმში“. მშვენიერების უმთავრესი ნიშანი არის სისრულე. ყოველი სრული - მშვენიერია, მაგრამ მშვენიერება თავისთავად, არის სისრულე თავისთავად; ის არის სიწმინდე, ზომა და თვითონ ჰარმონიულობა.

მისწრაფება მშვენიერების, სიკეთის, უკვდავებისადმი ხორციელდება მშვენიერის, კარგისა და უკვდავების დაბადებასა და შექმნა–წარმოებაში, ფიქრობს პლატონი; პოეტი და ხელოვანი არის მშობელი მშვენიერი ნაწარმოებისა, რომელშიც განხორციელებულია თავისთავად სიყვარული მშვენიერებისადმი. პლატონი აღიარებს, რომ პოეტმა კეთილი და მშვენიერი მოქმედებები უნდა გამოხატოს. მხატვარმა უნდა გამოიკვლიოს მშვენიერების ბუნება და ისე დახატოს სურათები. ხელოვანის სული უნდა სუნთქავდეს მშვენიერების სიყვარულით და თავისუფალი

უნდა იყოს ყოველგვარი ვნებებისაგან. ხელოვნების დარგებში, მუსიკას უჭირავს საპატიო ადგილი. მასში მთავარია სიყვარული მშვენიერებისადმი. მუსიკის საშუალებით უნდა აღიზარდოს სული, რათა მან განჭვრიტოს ჭეშმარიტი, კეთილი და მშვენიერი.

პლატონი „ნადიმში“ იცავს ხელოვნებას, როგორც მშენიერების იდეის განხორციელებას, რადგან მას ხელოვნება ცოდნასთან აქვს გაიგივებული.

დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ პლატონის ფილოსოფიამ დიდი გავლენა იქონია საერთოდ ფილოსოფიის შემდგომ განვითარებაზე. პლატონის ფილოსოფიაზე დაფუძნებული აკადემიები, მრავალი საუკუნის მანძილზე არსებობდნენ, რაც იმის მანიშნებელია, რომ მისმა ფილოსოფიურმა მსოფლმხედველობამ დიდი გავლენა მოახდინა იმდროინდელ საზოგადოებრივ აზროვნებაზე. ისტორიისათვის ცნობილია ძველი აკადემია, საშუალო აკადემია და ახალი აკადემია. დროისა და გარემოების მიხედვით, პლატონიზმი მრავალგვარ გავლენას განიცდიდა და ბევრი ერთიმეორის საწინააღმდეგო ეპოქისა და კულტურის სამსახურს ლამობდა. საშუალო აკადემიაში მეტწილად სკეპტიკური და ეკლექტიკური ფილოსოფია მეფობდა; ახალ აკადემიაში, პითაგორული და ნეოპითაგორული მისტიკის გვერდით, აღმოსავლეთიდან მოსული რელიგიური მსოფლმხედველობა და ქრისტიანობის გამანაყოფიერებელი ნეოპოზიტივიზმის მისტიკა. პლატონის სახელთან უშუალოდ დაკავშირებულია ძველი აკადემია, სადაც მეფობდა თვალსაზრისი: ეგრეთწოდებული პითაგორული მისტიკა და ელეატურისდაგვარი დიალექტიკა. სწორედ ამ აკადემიაში სწავლობდა ანტიკური ხანის მეორე უდიდესი ფილოსოფოსი და პლატონის მოსწავლე არისტოტელე.

არისტოტელე (384-322 წწ. ძვ.წ.)

არისტოტელე იყო ძველი ბერძნული აზროვნების მწვერვალი. მას თითქმის ყველა მეცნიერებაში აქვს ნაშრომები კერძოდ: ფსიქოლოგიაში, ლოგიკაში, ეთიკაში, პოლიტიკაში, ესთეტიკაში, მათემატიკასა და ფიზიკაში. მისი თხზულებები ეხებოდა ცოდნის თითქმის ყველა დარგს.

1. არისტოტელეს „პირველი ფილოსოფია“ („მეტაფიზიკა“).

„პირველი ფილოსოფია“ არის არა ყოველი მიზეზის ცოდნის შემცველი, არამედ ცოდნა პირველი მიზეზების, პირველი მიზეზის შესახებ. ყველა არსებულს თავისი მიზეზი აქვს; აზრიც არსებობს, მასაც აქვს თავისის საფუძველი – მიზეზი. „პირველი ფილოსოფია“ არის მეცნიერება არსისა და აზრის, პირველი მიზეზების, უპირველესი მიზეზის შესახებ. პირველი ფილოსოფია სწავლობს ყველაფერს - მოძრავსაც და თვისებებსაც, მაგრამ არა ყოველმხრივ, არამედ როგორც არსებულს.

არისტოტელე გაარჩევს ოთხ მიზეზს ე.ი. რაიმეს სწორად არსებობის ოთხ მიზეზს. მაგალითად, ავაშენოთ სახლი აგურებისაგან. რადგან ეს აგურები გარდაიქმნა, სახელდობრ სახლად, როგორც გარკვეულობა, როგორც „აი ეს“ - არის პირველი **ფორმალური მიზეზი.** ყოველი საგნის არსებობის მიზეზი მისი გარკვეულობაა, ფორმაა.

მეორე მიზეზი რაიმეს არსებობისა არის ის, რაც ხდება, აი ამ სახლად ხდება. საიდან გავაკეთეთ ეს სახლი? პასუხი: აგურებისაგან, უფრო ზუსტად, აი ეს სახლი არსებობს ასე და არა სხვაგვარად, იმიტომაც, რომ ის აგურებისაა. მეორე მიზეზს არისტოტელე **მატერიალურ მიზეზს** უწოდებს. რა უნდა იყოს, რომ განხორციელდეს იდეა და მას მიეცეს გარკვეულობა? უნდა იყოს აგური, რომ ის იქცეს სახლად.

მესამე მიზეზი სახლის არსებობისა არის აუცილებელი, ანუ აგური არის და იქცევა სახლად, მაგრამ როგორ მოხდება მათი დაკავშირება ე.ი. არსებობს ის, რითაც მატერია „აი ამად“ იქცევა - **მოქმედი მიზეზი,** რომ აგურები სახლად იქცეს.

არისტოტელეს აზრით, მეოთხე მიზეზი არის ის, რისთვისაც ხდება და არის რაიმე – ამ რაიმეს დანიშნულებაა საბოლოო მიზანი. მეოთხე მიზეზი, არის მიზეზი,

რომელიც ბოლოსაა, ბოლოვადი მიზეზი ანუ მიზანი. სახლი გარკვეულ მიზანს ემსახურება, რადგან სახლი არ იარსებებდა, მას რომ არ ჰქონდეს რაიმე დანიშნულება. მაშასადამე, არისტოტელეს აზრით, ყოველ არსებულს, როგორც ასეთს, აქვს ოთხი მიზეზი: <u>ფორმალური, მატერიალური, მოქმედი და ბოლოვადი მიზეზი ანუ მიზანი.</u>

ეს ოთხი მიზეზი იყოფა ორად. ერთია პასიური მიზეზი – მატერია, ის რაც ხდება „აი ამად“, მეორეა დანარჩენი – აქტიური მიზეზები. ესენია რაც ამოძრავებს: მოქმედი მიზეზი, რადაც ხდება – ფორმალური მიზეზი და რისთვისაც ხდება – მიზანი.

2. არისტოტელეს „მეორე ფილოსოფია“ (,,ფიზიკა“).

არისტოტელეს „ფიზიკა“ სწავლობს ბუნებას. სიტყვა ბუნება მასთან ორი მნიშვნელობით იხმარება: 1) თვალხილული ბუნება – მოძრავ სხეულებრივ საგანთა ერთობლიობა და 2) იმ საგანთა ბუნება.

ჩვენ, ბუნებრივ საგნებთან დაკავშირებული ვართ შეგრძნებებით და აღქმებით. ჩვენთვის ნათელია და პირველი კერძო საგნები. თვითონ ბუნებისათვის კი პირველს - კერძო საგანთა საფუძველს – ზოგადი წარმოადგენს. ის რაც პირველია ბუნებისათვის, უკანასკნელია ჩვენი შემეცნებისათვის. ზოგადი ჩვენთვის უკანასკნელია, ბუნებისათვის კი – პირველი: კერძო საგნები ბუნებისათვის უკანასკნელია, ჩვენთვის კი – პირველი.

საგნის ბუნება არის მოძრაობის საწყისი. მოძრაობა შეუძლებელია ადგილისა და დროის გარეშე. ადგილი არისტოტელეს გაიგივებული აქვს სივრცესთან. მაგ. მდინარეში ყველაფერი მოძრაობს, მაგრამ მდინარე მთლიანად არ მოძრაობს. ადგილი არის გარემომცველი სხეულის უკიდურესი საზღვრები. გარემოცული საგნის პირველი უძრავი საზღვარი არის ადგილი. რაც სხვით არ მოიცვება, არ არის ადგილში, მაგ: ცა, მსოფლიო.... თვითონ ადგილი იმყოფება სადმე, მაგრამ არა ადგილში, არამედ – როგორც საზღვარი განსაზღვრულ სხეულში.

დრო არაა მოძრაობა, მაგრამ არც მოძრაობის გარეშეა. ცვალებადობის (მაგ: აზრის ცვალებადობის) გარეშე დროს ვერ წარმოვიდგენთ. „ახლა“ ყოველთვის სხვა

რომ არ იყოს, დრო არ იქნებოდა. სიდიდე განუწყვეტელია, ამიტომ ასეთია მოძრაობაც, დროც. სული არჩევს ორ „ახლას“ - წინამავალსა და შემდგომ მომავალს. აი ეს არის დრო. დრო არის მოძრაობის რიცხვი, წინ მავალი მომავლის მიმართ. დრო არის „ახლას“ გადანაცვლების რიცხვი. დრო დასათვლელი რიცხვია. „ახლა“ ზომავს დროს. დრო არის მოძრაობის ზომა - ასკვნის არისტოტელე.

3. შემეცნების პრობლემა არისტოტელეს ფილოსოფიაში.

ცოდნა, არისტოტელეს აზრით, იწყება შეგრძნების გზით. არსებობს გრძნობადი შემეცნება, რომლისაგანაც განსხვავდება გონებით შემეცნება.

გრძნობადი შემეცნება არის პასიური მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია გარეგანი საგნების ზემოქმედებით.

გონებითი შემეცნება - შეგრძნებებს გარდა შემეცნების სხვა წყაროებიც არსებობს, კერძოდ ინდუქცია და გონება. გრძნობადი შემეცნებისაგან განსხვავდება შეხედულება და ცოდნა.

შეხედულება, ცოდნასთან შედარებით, შემეცნების დაბალი საფეხურია. ის ემყარება და ეხება ცვალებად ფაქტებს, გრძნობადს. შეხედულება არის მსჯელობა, რომლის საგნობრივი შინაარსი შეიძლება შეიცვალოს, აქ ის შეცდომად ითვლება. შეხედულების საფუძველი არის დასკვნა, რომელიც მსჯელობის საფუძველზე შენდება, ამიტომ ის შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი.

შეხედულება შეიძლება იყოს მცდარი, მაგრამ ცოდნა ყოველთვის ჭეშმარიტია. თუ შეხედულება ეხება გრძნობად ცვალებად საგნებს, ცოდნა აუცილებელ საგნებს ეხება და ემყარება. მხოლოდ ასეთი აუცილებელი საგნების განსაზღვრება და დასაბუთება შეიძლება. თუ გრძნობადი ათვისების საგანი - ერთეული და შემთხვევითია, მეცნიერული ცოდნის საგანი - ზოგადი და აუცილებელია. ამიტომ, ასეთი ცოდნა ყოველთვის ჭეშმარიტია.

შეგრძნების გარეშე შეუძლებელია შემეცნება. ეს არის წინააღმდეგობა, რომელიც არისტოტელემ ორგვარი გონების დაშვებით სცადა: ერთია მოქმედი

გონება, მეორე კი – პასიური გონება. პასიური და აქტიური გონება მართლაც ორი მხარეა.

მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ

არისტოტელეს აზრით, სახელმწიფოებრივი ცხოვრების აუცილებელი წინამძღვარი არის ადამიანთა ბუნებრივი მისწრაფება, პოლიტიკური ურთიერთობა ცხოვრებისადმი. ადამიანი იბადება პოლიტიკურ ცხოველად, მას აქვს ინსტინქტური მისწრაფება „საერთო ცხოვრებისადმი.“ ადამიანი არის პოლიტიკური ცხოველი, იმდენად, რამდენადაც მისთვის დამახასიათებელია „საერთო სარგებლიანობის ცნობიერება“, „მისწრაფება მოაწყოს ცხოვრება მშვენივრად“. ადამიანის მთავარი განმასხვავებელი ცხოველისაგან, არის ინტელექტუალური ცხოვრების უნარი.

ადამიანთა ჯგუფებს არისტოტელე სიმდიდრის ნიშნის მიხედვით განასხვავებდა. არსებობს მოქალაქეთა სამი კლასი (ფენა, ჯგუფი) „ძალიან მდიდრები,“ „უკიდურესად ღარიბები“ და „საშუალონი“. არისტოტელე იცავს მესამეს, ხოლო პირველი ორი ჯგუფისადმი უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. ძალიან დიდი სიმდიდრისაკენ მისწრაფება არაბუნებრივია; ასეთი მისწრაფების მქონე ადამიანები თელავენ ტრადიციებს, ვერ იმორჩილებენ თავს, ხდებიან თავხედები და ტირანები. სიმდიდრე არ უნდა იყოს თვითმიზანი, ამას სახელმწიფო უნდა არეგულირებდეს. რადგან საზოგადოება სამი ელემენტისაგან შედგება, ამიტომ უნდა არსებობდეს სახელმწიფოებრივი წყობის რამდენიმე ფორმა. ყველა ფორმა, მდიდართა და ღარიბთა წინააღმდეგობის შედეგად, დაიყვანება ორზე – ოლიგარქიაზე და დემოკრატიაზე.

საზოგადოებრივ არეულობათა საფუძველი ქონებრივი უთანასწორობაა. ის ქმნის ფუფუნებას, ქურდობას და უბედურებას. ქონებრივი წესიერება ბედნიერების საწინდარია. სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები წესიერების დასამყარებლად. უნდა გაძლიერდეს საშუალო ელემენტი, თვალყური უნდა ვადევნოთ ოფიციაულური პირების მოქმედებას.

არისტოტელეს მიერ განხილული წყობილებებიდან, როგორებიცაა: 1. დემოკრატია – თავისუფლებისა და სიღარიბის ბატონობა 2. მონარქია ერთმმართველის ბატონობა 3. არისტოკრატია – უკეთესთა და წარჩინებულთა ბატონობა 4. ოლიგარქია – მდიდართა ბატონობა 5. ტირანია – დესპოტის მიერ დამყარებული ძალმომრეობა და 6. პოლითეა, იგი უპირატესობას ანიჭებდა უკანაკნელს, სადაც მისი აზრით ბატონობენ ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები. ამ ტიპის სახელმწიფო მმართველობა იყო არისტოტელეს იდეალი.

მოძღვრება ზნეობაზე

სახელმწიფო ყოველი ადამიანისაგან სათნოებას მოითხოვს. სათნო არის ის, ვინც სახელმწიფოს ემსახურება. სათნოება ორგვარია 1. ინტელექტუალური და 2. ეთიკური. პირველი წარმოიშობა სწავლის გზით, მეორე – ჩვეულების გზით. არისტოტელე უპირატესობას მათ შერწყმაში ხედავს. არისტოტელე ადამიანის დანიშნულებას გონიერ მოქმედებაში ხედავს და მისი აზრით, სათნოება აქვს იმას, ვინც მას გამოამჟღავნებს. სათნოება მხოლოდ მოქმედებით მიიღწევა.

არისტოტელე ფიქრობს, რომ სათნოება ადამიანს არ ეძლევა ბუნებით, თუმცა იგი არც მის გარეშეა. ბუნება იძლევა სათნოდ გახდომის შესაძლებლობას, ეს კი მოქმედებით ხორციელდება. ადამიანი, მაგ. სამართლიანი ხდება სამართლიანობის ჩადენით. ეთიკური სათნოების არსება, გულუხვობისა და ზომიერების შეთავსებაა. საჭიროა ქცევაში გამოინახოს საშუალო ხაზი. საშუალო არის სათნოების კუთვნილება. ეს საშუალო არაა ერთი ყველასათვის. ყოველ საზოგადოებრივ ჯგუფს სათნოება-ბედნიერების საკუთარი ზომა აქვს. ღარიბი, დიდებული ვერ გახდება.

არისტოტელესთან სამართლიანობა დაკავშირებულია სახელმწიფოს ცნებასთან, სამართლიანობა მხოლოდ სხვასთან კავშირშია. პოლიტიკის მთავარი ამოცანა არის მეგობრული ურთიერთობის დამყარება. სამათლიანობა არის საერთო და კერძო. პირველი (საერთო სამართლიანობა) - რაიმე საგნის (პატივი, ფული)

განაწილებასა და გადაცვლაში ვლინდება. კერძო სამართლიანობის დროს, მოაზროვნე მოითხოვს სამართლიანის საშუალოსთან დამთხვევას. თანასწორობის გარეშე არ შეიძლება ადამიანთა ურთიერთობა, რაც გაცვლაში გამოიხატება.

არისტოტელემ, დიდი წვლილი შეიტანა არა მარტო ანტიკური ფილოსოფიის სრულყოფისათვის, არამედ საერთოდ მეცნიერების თითქმის ყველა დარგის განვითარების საქმეში. შემდგომში, მის ფილოსოფიურ აზროვნებას დაეყრდნობიან: კანტი, ჰეგელი, კარლ მარქსი, ფრ. ენგელსი..... ისინი თავისებურად შეაფასებენ მის ფილოსოფიას და სხვადასხვა ეპითეტებით შეამკობენ მის მოღვანეობას. მაგ. ფრ. ენგელსი „ანტიკურობის ჰეგელს“ უწოდებდა და დიალექტიკის პირველ სისტემატიკოსად მოიხსენიებდა; ემ. კანტი კი აღნიშნავდა, რომ არისტოტელეს აზროვნებამ კაცობრიობას ლოგიკა მისცაო.

ამგვარად, არისტოტელე უდიდესი მოაზროვნეა, რომელიც მთავრდება ანტიკური ხანის ფილოსოფია და საფუძველი ეყრება სხვადასხვა სკოლებისა და მიმდინარეობების ჩამოყალიბებას.

ნეოპლატონიზმი და ქართული ფილოსოფიური აზროვნება

ნეოპლატონიზმი უკანასკნელი სკოლაა ანტიკურ ფილოსოფიაში. ნეოპლატონური სკოლის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლები არიან პლოტინი და პროკლე.

ნეოპლატონიკოსები აღარ ლაპარაკობენ ჭეშმარიტების კრიტერიუმზე, მათ შექმნეს მეტაფიზიკური სისტემები, სადაც გაბატონებულია მისტიკურ-რელიგიური იდეები, რომლებმაც მოამზადეს შემდგომში ქრისტიანობა.

ყველაფრის აბსოლუტური საფუძველი, ყველაფრის საწყისი, მიზეზი, არსება არის წმინდა არსი, წმინდა ერთი, პირველი სიკეთე. ეს არის უმაღლესი ობიექტურობა, ერთი არის საწყისი, რომელსაც არა აქვს პარალელი სხვასთან. იგი არის პირველი საწყისი და არის სიკეთე ე.ი. ის არის ის ერთადერთი, რაზეც ყველაფერია დამოკიდებული, ყველაფერი მას საჭიროებს, ხოლო – ის კი – არაფერს. ის არის უმაღლესი თვით მშვენიერებაზე, ის არის ზემშვენიერება, ზესიკეთე - ფიქრობს პლოტინი და ეს არის ღმერთი, ანუ **ღმერთი-სიკეთე არის პირველი საწყისი.**

პირველი არსის პირველი შედეგი – **პირველი ნაშობი ანუ ძე არის გონება.** ეს არის მეორე ღვთაებრივი არსება. გონება წარმოიშობა ცვლილებების გარეშე. გონების წარმოშობა არის კაშკაში. პირველი ერთი, კაშკაშებს თავის ირგვლივ როგორც მზე; გონება პირველი სიკეთის ანარეკლია, ბრწყინვაა. პირველი არსი ხედავს თავის თავს, თავის თავში მიბრუნება არის აზროვნება.

მოძრაობა გონებისაკენ და მის გარშემო არის სულის მოქმედება. გონება სულს ქმნის უშუალოდ. **სული არის მესამე საწყისი.**

მეორე დიდი ნეოპლატონიკოსი პროკლე თვლიდა, რომ ქვეყანა არის ღმერთის ემანაცია, გამოსხივება - გამოდინება. ეს არის თავისებური ორმხრივი განვითარება, რომელსაც სამი მომენტი აქვს: 1) წარმოებულის მწარმოებელში ყოფნა, 2) წარმოებულის მწარმოებლიდან გამოსვლა და 3) წარმოებულის მწარმოებელში

დაბრუნება, რაც შემდეგში მდგომარეს: არსებულის სათავეში არის ღმერთი, ერთი, ზესიკეთე, საიდანაც იწყება ემანაცია და წარმოება ყველაფრისა.

ასეთია მოკლედ ნეოპლატონიზმის იდეები, რომელსაც ეზიარებიან ქართველი მოაზროვნეები და მათი ფილოსოფიური აზროვნების ჩამოყალიბებაში დიდ როლს შეასრულებენ. ამისათვის დავუბრუნდეთ წარსულს, რომელიც საშუალებას მოგვცემს უკეთ გავერკვეთ იმდროინდელ ქართულ სააზროვნო სივრცეში.

პირველი ცნობები საქართველოში ფილოსოფიური აზროვნების წარმოშობა-განვითარების შესახებ, მიეკუთვნება ჩვენ წელთააღრიცხვით III–IV საუკუნეს. სწორედ ამ პერიოდში, დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში) უმაღლესი ტიპის ფილოსოფიურ–რიტორიკული სკოლა არსებობდა, სადაც განათლებას ქართველებთან ერთად უცხოელები, კერძოდ ბერძნები იღებდნენ.

მონაცემები, კოლხეთის რიტორიკული სკოლის შესახებ უფრო ბერძნულ წყაროებშია გადმოცემული. იგი ნიშნავდა უმაღლეს ფილოსოფიურ სკოლას და უტოლდებოდა ბერძნულ აკადემიას. იგი სპეციფიკურობით გამოირჩეოდა, რამეთუ იყო პრაქტიკული მიმართულების. აქ ამზადებდნენ ფილოსოფოსებს პოლიტიკური და იურიდიული საქმიანობისათვის. ლოგიკა და რიტორიკა კოლხეთში იკითხებოდა არისტოტელეს მეთოდით, მაგრამ საჯარო გამოსვლების ხელოვნებით, რადგან პოლიტიკური დაპირისპირება მოითხოვდა გამოცდილ ორატორებს, რომელთაც ექნებოდათ უნარი ლოგიკურად დაელაგებინათ თავიანთი აზრები და მოეგვარებინათ უცხოელებთან სადაო საკითხები იურიდიული გზით.

ქართველი მოღვაწეებიდან, რომელნიც უშუალოდ იყვნენ დაკავშირებულნი კოლხეთის რიტორიკულ სკოლასთან, პირველი ფილოსოფოსი გახლდათ **ბაკური.** მას ბერძენ ფილოსოფოსთან - დემნოსთან ჰქონდა მიმოწერა. სწორედ მასთან მიმოწერებით შეგვიძლია დავადგინოთ, რომ ის კარგად იცნობდა ნეოპლატონიზმს და ფლობდა ბერძნულ ენასაც, რომელიც იმდროინდელ საქართველოში მიღებული ყოფილა. ბაკური იდეური შეუთავსებლობის გამო იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო და საზღვარგარეთ გამგზავრებულიყო. საზღვარგარეთ ჩასვლისთანავე

ბაკური ამჟღავნებს, როგორც ფილოსოფიის, ასევე ბერძნული ენის ცოდნასაც, რომლის მიღებაც მაშინდელ საქართველოში შესაძლებელი იყო არა მარტო მის დასავლეთ ნაწილში (კოლხეთი) სადაც კარი ღია იყო ბერძნულ სამყაროსთან დასაახლოებლად, არამედ მის აღმოსავლეთ ნაწილშიც (იბერია), საიდანაც იყო წარმოშობით თავად ბაკური. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ III-IV საუკუნეებში, საქართველოში, როგორც მის აღმოსავლეთ (იბერია), ასევე დასავლეთ (კოლხეთი) ნაწილში ყველა პირობა არსებობდა ფილოსოფიის შესასწავლად. განსხვავება საქართველოს ამ ორ ნაწილს შორის აიხსებოდა იმდროინდელი კოლხეთის საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობით, სადაც უპირატესობა სავაჭრო ურთიერთობებს ენიჭებოდა. შესაბამისად, კოლხეთში უპირატესი იყო საქმიანი წრეების პრაქტიციზმი და დიდი პატივით სარგებლობდა არისტოტელეს ფილოსოფია, მისი ლოგიკურ–რიტორიკული და არა მეტაფიზიკურ– თეორლოგიური მხარე. რაც შეეხება იბერიას, აქაურმა საზოგადოებრივ–ეკონომიკურმა წყობამ განაპირობა ბაკურის დაინტერესება ნეოპლატონიზმით და აპოლოგეტიკით.

შემდგომი ბედი კოლხეთის აკადემიისა ცნობილი არ არის და საფიქრებელია, რომ იგი შეეწირა ქრისტიანობასა და ანტიკურობას შორის ბრძოლას.

ქართული ფილოსოფიური აზროვნების და ქრისტიანობის დამკვიდრების მაგალითად გვესახება სირიაში ქართველების მოღვაწეობა. IV–V საუკუნეებში მრავალ ქვეყანაში აღინიშნებოდა ტენდენცია, რომ განათლებული ადამიანები მიემგზავრებოდნენ სხვადასხვა ქვეყნებში ცოდნის გასაღრმავებლად. სირიაში ქართულ სკოლას (V) საუკუნე ხელმძღვანელობდა პეტრე იბერი.

V საუკუნეში სირია ფილოსოფიური აზროვნების ცენტრს წარმოადგენდა. სწორედ აქ მოღვაწეობდა ისეთი დიდი ფიგურა, როგორიცაა პეტრე იბერი და მისი მასწავლებელი ფილოსოფოსი იოანე ლაზი.

არეოპაგისტური ქრისტოლოგია პროკლეს იდეებს ემყარება. პირველი განსხვავება სხვა შეხედულებათაგან მდგომარეობდა სიკეთის, როგორც უმაღლესი საწყისის შესახებ მოძღვრებაში, რომლის მიმართ ბოროტება მხოლოდ

დიალექტიკურ–ნეგატიურ ინსტანციას წარმოადგენდა. პროკლეს იდეები ბოროტების სუბსტანციობის შესახებ, ფსევდო–დიონისემ გამოიყენა, როგორც საფუძველი სიკეთისა და ბოროტების ურთიერთობების გასარკვევად. პლატონის მიერ დამუშავებული სიკეთის იდეა, არ იძლეოდა საშუალებას ქვეყნის მონისტური კონცეფცია შეემუშავებინა. ხოლო, არისტოტელეს კრიტიკამ, დუალიზმისათვის ფართო გზის გაშლის მეტი ვერაფერი მოახერხა. პროკლეს მოძღვრება სუბსტანციის როგორც „ქვეყნის საწყისისა და პირველ მიზეზის“ შესახებ კი სიკეთეს ნიშნავდა.

მოძღვრება იმის შესახებ, რომ სიკეთის უარყოფა მხოლოდ მისივე განდიდების საფეხურია, იყო ერთი ძირითადი რგოლი ე.წ. ,,ნეგატიური ფილოსოფიისა“. ქვეყნის ეს საწყისი წარმოდგენილი იყო, როგორც სიკეთე და ამავე დროს ნათელი. ამიტომაც, ამ თვალსაზრისით გზა სიკეთისკენ – სინათლისკენ გზას წარმოადგენდა და ორივე მათგანს ბოროტებისაგან განსხვავებით მარადიულობა ახასიათებდა. პეტრეს წარმოდგენაში ლაპარაკია „სიკეთისაკენ პირდაპირ გზაზე“, რომელიც მისსავე წარმოდგენაში, სიკეთისავე სინათლით იყო მოცული. ე.ი. პეტრეს აზროვნების საგანი იყო სიკეთე, რაც მის ფილოსოფიას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ადგენს რა იგი, ქვეყნის აბსოლუტური სუბსტანციას სიკეთის ცნებას, ის გადადის მთელს ქვეყანაში სიკეთის მობნევის მომენტზე, რაც სინათლის მოფენის სახითაა წარმოდგენილი და ასევე ერთი ამოსავალი წყარო გააჩნია. ამავე დროს პეტრე მხოლოდ სიკეთის ცნებას ეხება და ოდნავადაც არ სურს გადავიდეს ბოროტების ანუ – არასიკეთისაკენ. „სიკეთე არ შეიძლება იყოს სიკეთე ერთის მიმართ და არასიკეთე მეორის მიმართ, ანუ იგი არ შეიძლება იყოს მხოლოდ აქ და არ იყოს იმავე დროს იქ, და ასე შემდეგ“. აშკარაა, რომ აქ მოცემული გვაქვს ერთ–ერთი სახე სიკეთისაკენ პირდაპირი გზისა ე.ი. ისეთ გზისა, როგორიც უნდა იყოს სინათლის გავრცელების გზა, რასაც სივრცე ვერასოდეს ვერ გაამრუდებს.

შალვა ნუცუბიძის (ქართველი ფილოსოფოსი) (1888-1969) კონცეფციის მიხედვით, პროკლემ დააყენა დიალექტიკური პრობლემები და შეეხო პირველ მიზეზის, უსასრულოსა და სასრულის დამოკიდებულებას. პროკლეს ფილოსოფიური

ხედვიდან ამოსულმა პეტრე იბერმა კი, დაპირისპირებულთა ცნება შემოიტანა, მას „შემკრებლობითი“ გაგება მისცა და ამგვარად აზროვნება, დიალექტიკური პრობლემების გადაწყვეტის ფართო ასპარეზზე გამოიყვანა და სამომავლოდ, ვრცელი პერსპექტივა დაუსახა.

შ. ნუცუბიძის კონცეფციაში ასახულია ერთისა და სიმრავლის და მასთან დაკავშირებული პოზიტიური და ნეგატიური თეოლოგიის ურთიერობისა და მათი პრობლემების ღირებულებათა გადაწყვეტის თავისებურებანი პროკლეს მოძღვრების მიხედვით, რომელსაც ქართველი მეცნიერი არეოპაგიტიკასთან მჭიდრო ურთიერთობაში განიხილავს და ამტკიცებს, რომ პროკლესთან მაღალ დონეზე წამოჭრილი დიალექტიკური განაზრებანი არ იყო დასრულებული, მათი დასრულება პეტრე იბერის თეოლოგიურ მოძღვრებაში უნდა ვეძებოთ.

ქართული ფილოსოფიური რენესანსის სათავე ნეოპლატონიზმია, რომელსაც საფუძვლად დაედო პროკლეს ფილოსოფია, რადგან სწორედ ქართული ფილოსოფიური აზროვნება იყო მიმართული ნეოპლატონიზმისაკენ. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში, ნეოპლატონურმა იდეებმა საქართველოში იწყო გაგრძელება, რასაც კოლხეთის რიტორიკული სკოლაც მოწმობს. ნეოპლატონიზმის გავრცელებასთან არის აგრეთვე დაკავშირებული სირიის ქართველთა სკოლა, რომელიც V საუკუნეში დაარსდა და რომლის სულის ჩამდგმელიც გახლდათ აღმოსავლეთ რომის იმპერიაში ცნობილი ნეოპლატონიკოსი პეტრე იბერი (ფსევდო–დიონისე). საქართველოში ფილოსოფიისა და ნეოპლატონიზმის იდეების განვითარებას ხელს უწყობდა ინტენსიური კულტურული კავშირები ბიზანტიასთან და ამ იმპერიაში შემავალი ქვეყნები, აგრეთვე ის მრავალრიცხოვანი ქართული მონასტრები, რომლებიც განთავსებული იყო ამ ქვეყნების ტერიტორიაზე. ფსევდო-დიონისეს სწავლებამ, გააღვიძა და გააძლიერა საქართველოში ნეოპლატონიზმის ინტერესი თავისი პირველსაწყისი ანტიკური ფორმით.

ფსევდო–დიონისეს (პეტრე იბერი) შემდეგ, შუასაუკუნეების ფილოსოფიურ სივრცეში მნიშვნელოვანი ფიგურა გახდა **იოანე პეტრიწი (XI საუკუნის მეორე ნახევარი და XII საუკუნის პირველი მეოთხედი).**

იოანე პეტრიწს იმ დროისათვის კარგი განათლება მიუღია, შეუსწავლია ფილოსოფია, ღვთისმეტყველება და ბერძნული ენა. იოანე პეტრიწის მოღვაწეობა საქართველოში ემთხვევა დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდს, რომელსაც თან სდევდა მწვავე კლასობრივი ბრძოლა. ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა სწორედ, რომ დაკავშირებული იყო სოციალურ–პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ბრძოლასთან. საქართველოს გაერთიანების პროცესი ურთულეს ამოცანას წარმოადგენდა, რასაც დავით აღმაშენებელმა ბრწყინვალედ გაართვა თავი. საქართველოში საფუძველი ეყრება გელათის აკადემიის დაარსებას, რომლის ხელმძღვანელობაც სწორედ იოანე პეტრიწს დაევალა, რომელიც დავით აღმაშენებელმა მოიწვია პეტრიწონის მონასტრიდან, სადაც მოღვაწეობდა იგი და მიიღო სახელწოდება პეტრიწი.

იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ ნააზრევში მთავარი ადგილი უჭირავს „ერთის“ ანუ „პირველის“ ფილოსოფიას. ეს საკითხი ადრეც იყო დასმული ჯერ პროკლეს და შემდეგ პეტრე იბერის მიერ, მაგრამ საქართველოს კონკრეტული ვითარებიდან ამოსულმა იოანე პეტრიწმა, იგი ორივესაგან განსხვავებულად გადაწყვიტა.

XII საუკუნის საქართველოში სახელმწიფოებრივი სისტემის სათავეში იდგა „ერთი“ პიროვნება, რომელიც იმავე დროს „პირველი“ იყო. „ერთის“ „პირველის“ გვერდით „თანამდგომნიც“ არსებობდნენ. „პირველსა“ და ,,თანამდგომს“ შორის გარკვეული მიმართება იყო. ეს მიმართება ხასიათდებოდა ერთის ანუ პირველის აბსოლუტიზაციით. ერთის გააბსოლუტიზირებით, „პირველის“ ცნებას აზრი დაეკარგებოდა. საქართველოს სინამდივლეში იგი გულისხმობდა ერთგვარ წარმომადგენლობით სისტემას, რომელიც უმაღლესი უფლების მატარებელი „ერთიდან - ხალხის საფეხურებამდე ჩამოდიოდა“.

იოანე პეტრიწის თვალსაზრისით „ერთი“, როგორც სათავეში მდგომი, უმაღლესია სხვებს შორის, მაგრამ არაა აბსოლუტური, რადგან სხვებთან არის მიმართებაში. ერთის აბსოლუტურობა სხვასთან მიმართებას და კავშირს გამორიცხავს. „ერთის“ და არააბსოლუტური „ერთის“ ცნება შედარებით ესადაგება და ეგუება „პირველის“ ცნებას. „ერთი“, როგორც სათავეში მდგომი პირველია. იგი პირველია მხოლოდ სხვებთან მიმართებაში. პეტრიწი აკრიტიკებს თავის მოწინააღმდეგეებს, რომ მათ „არა უწყეთ, რომელი პირველი შემდგომთა არს პირველი, და მათ არავის თუ უცხო ბუნებათა, არამედ ერთი და იგივე ბუნებათა, ვითარ ითქუმის კაცი კაცისა პირველად“... აქ ნათლად ჩანს, რომ ერთი მიმართებითი ცნებაა და არა თვით არსი. იგი სხვების მიმართ არის პირველი. სხვების მიმართ პირველი, ამ სხვებისაგან განსხვავებულსაც გულისხმობს. ასე რომ, როგორც პეტრიწი ამბობს, ეს განსხვავება ერთი გვარის ფარგლებში ხდება. აბსოლუტურობა წართმეული „ერთი“, არის პირველი. იგი იმდენად არის პირველი, რამდენადაც მისდაგვარნი არსებობენ. პირველი ერთი „სხვათა თანაგვარია და არა სხვადასხვა გვართა შორის იგულვების“.

შუასაუკუნეების მსოფლმხედველობრივ მიმდინარეობებში აქტუალური იყო საკითხი, სიკეთისა და ბოროტების დამოკიდებულების შესახებ. ნეოპლატონური ფილოსოფიის უდიდეს წარმომადგენელ პლოტინთან, სიკეთე აბსოლუტური პრინციპია, ხოლო ბოროტება არასუბსტანციური. მაგრამ პლოტინთან, ბოროტებას მაინც გააჩნია გარკვეული პოზიციური მნიშვნელობა და იგი დაშვებულია სიკეთის გამოსამჟღავნებლად (ჰეგელი, ცელერი). პროკლე კი, ბოროტების ყოველგვარ მნიშვნელობას აუქმებს.

ეს თვალსაზრისი უფრო გაამკვეთრა არეოპაგიტიკის ავტორმა და დაამკვიდრა იგი ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში. იოანე პეტრიწიც იზიარებს ამ თვალსაზრისს, რითაც აგრძელებს ჰუმანისტურ ტრადიციებს, ხოლო „სამყაროსადმი ასეთი მიმართების ფილოსოფიურ დაფუძნებას ხედავს ბოროტების არასუბსტანციურობასა და სიკეთის აბსოლუტურობის თეორიაში“.

პეტრიწი იხილავს შემეცნების ორ **გზას – სულის და გონების მეშვეობით.** სულის შემეცნება თანდათან მიმდინარეობს, წარმოადგენს განსჯას და შესაცნობი საგნის სხვადასხვა მხარის შედარება–განსხვავების შედეგს. ხოლო **გონება,** წინმავალია სულისა და უფრო სრულყოფილია მასთან შედარებით.

ამგვარად, ნეოპლატონური მოძღვრების დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ნეოპლატონიზმის მიერ ათვისებული ანტიკური მემკვიდრეობის „გადარგვა ქრისტიანულ საფუძველზე“, რითაც რენესანსისათვის აუცილებელი იდეები და პრინციპები იქნა შენარჩუნებული. ამ იდეათა შორის ძირითადია, ღმერთისა და სამყაროს ერთიანობის იდეა, რომელიც რენესანსის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას ამზადებს. ამ ძირითადი იდეის აუცილებელი მომენტებია: ღმერთის (პირველმიზეზიდან) არსებათა აუცილებლობით წარმოშობა, ადამიანის გაღმერთების შესაძლებლობა, ღმერთთან უშუალო შეერთების დაშვება, იერარქიის პრინციპი, სიკეთის აბსოლუტურობა და ბოროტების არასუბსტანციურობა.

დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის საქართველოში, ცხადია, ყველა ისტორიული პირობა არსებობდა იმისათვის, რომ ქართველ ხალხს იმ დროინდელ მოწინავე ხალხებთან ერთად ეაზროვნა.

მე-11 მე-12 საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზროვნებისა და კულტურის მწვერვალი არის გენიალური პოეტი შოთა რუსთაველი. მართალია რუსთაველი გახლდათ პოეტი და არა ფილოსოფოსი, მაგრამ მის შემოქმედებაში გამოხატულება ჰპოვა ქართველი ხალხის სიბრძნემ საერთოდ. რუსთაველი პირველი ჰუმანისტია, რომელიც თავისი ეპოქის მოწინავე კულტურის სიმაღლეზე იდგა, იცნობდა ქრისტიანულ ნეოპლატონიზმს და ასევე განიცდიდა არისტოტელიზმის ზეგავლენას. ამის საბუთია მკაცრი მონოთეიზმი ზეცის მიმართ და პრინციპული ნატურალიზმი მიწის მიმართ.

„ჰე, ღმერთო ერთო, შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა“, აქ მარად არსებული - ღმერთს მიეწერებოდა.

ამგვარად, ნეოპლატონური ფილოსოფიის ადგილი და როლი ფილოსოფიისა და საერთოდ ქართული კულტურის ისტორიაში ძალზედ დიდია. შ. ნუცუბიძემ კი, რომელიც ქართული ფილოსოფიის ისტორიის შემქმნელი და ფუძემდებელია, კუთვნილი ადგილი მიუჩინა ნეოპლატონიზმს ფილოსოფიის ისტორიაში.

შუა საუკუნეების ფილოსოფია

მოყოლებული VI საუკუნიდან - XV საუკუნის პირველ ნახევრამდე, იარსება შუა საუკუნეების ფილოსოფიამ. ანტიკურმა ფილოსოფიამ, რომელმაც მონათმფლობელური წყობილების ფარგლებში იარსება, ადგილი დაუთმო ფეოდალურ წყობილებას, რომელმაც ახალი იდეოლოგია და საზოგადოების ახლებური აზროვნების ხედვა წარმოადგინა. ეს იყო რელიგიური იდეოლოგია: ევროპაში - ქრისტიანობა, ხოლო აზიაში - ისლამი.

შუა საუკუნეების ფილოსოფიას – რელიგიის ფილოსოფიასაც უწოდებენ ანუ ღმერთის არსებობის დასაბუთებას. საკუთრივ რელიგიისათვის მიუღებელია არა მხოლოდ ათეიზმი, რომელიც ღმერთის არსებობას უარყოფს, არამედ ღმერთის არსეობის დასაბუთების ცდებიც. ვინაიდან უდაოდ მიჩნეულია, რომ ღმერთი არსებობს, ამიტომ მისი არსებობის დასაბუთების მცდელობა სრულიად ზედმეტია. მაშინ ასაბუთებენ რაიმეს, როცა მის არსებობაში ეჭვობენ. ღმერთის არსებობა კი უეჭველია და მისი დასაბუთებაც ფუჭი საქმეა. ასეთია რელიგიური მსოფლმხედველობის პოზიცია, ღმერთის არსებობის დასაბუთებასთან დაკავშირებით. შუა საუკუნეების ფილოსოფიის განვითარების ძირითად ეტაპებს წარმოადგენს: პატრისტიკა და სქოლასტიკა.

პატრიტიკა – (pater - მამა) ქრისტიანული ფილოსოფია: 1. ღმერთის არსებობისა და სამების პრობლემა 2. რწმენისა და ცოდნის ურთიერთმიმართება. 3. ისტორიის, როგორც მიზნის განსაზღვრა. 4. ადამიანის თავისუფლების განსაზღვრა სულის ხსნის მხრივ. 5. სამყაროში ბოროტების წარმოშობისა და არსებობის საკითხი.

სქოლასტიკა – (სწავლული – სკოლა), რომლის განვითარებაზეც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია 1054 წელს ქრისტიანული ეკლესიის კათოლიკურ და მართმადიდებლურ შტოებად დაყოფამ. ამ მოვლენამ ახლებურად დააყენა ღვთისმეტყველების პრობლემატიკა. აზრთა შორის სხვადასხვაობა მხოლოდ თეოლოგიური კამათით არ შემოიფარგლებოდა. სქოლასტიკოსებმა წინ წამოწიეს ისეთი საკითხები, როგორიცაა გონებისა და რწმენის, რელიგიისა და მეცნიერების ურთიერთობა.

სქოლასტიკის ჩარჩოებში სერიოზული კამათი იმართებოდა სამების, ღმერთის სამგვაროვნების გაგებისა და ზოგადად, ღმერთის არსებობის დადასტურების გარშემო. მაგ. ანსელმ კენტენბერიელს მიაჩნდა, რომ მხოლოდ უმაღლესი არსება შეიძლება იყოს რეალური და ვინაიდან ღმერთი უმაღლესი არსებაა, ის რეალურად არსებობს. ხოლო, რადგან არსებობს ღმერთი, შესაბამისად არსებობს უნივერსალიებიც - ზოგადი ცნებები.

შუა საუკუნეებში კამათი, უნივერსალიების (ზოგადი ცნებების) არსებობა არარსებობის შესახებ, ძირითადად სქოლასტიკურ ფილოსოფიაში არსებულ ორ მიდგომას - ნომინალიზმსა და რეალიზმს შორის მიმდინარეობდა.

<u>ნომინალიზმის</u> თანახმად არსებობს მხოლოდ ცალკეული, კერძო საგნები. ზოგადი ცნებები ამ საგნების შესახებ კი, ჩვენი გონების შექმნილია. ***<u>რეალიზმის</u>*** მიხედვით კი, უნივერსალიები რეალურად არსებობს და წინ უსწრებს ცალკეული, კერძო საგნების არსებობას.

თამაშობასა თუ თეატრალურ სანახაობაზე ახლადმოქცეულები, ცუდს ვერაფერს ხედავდნენ ბიბლიის ლექციებზე დასწრების შემდეგ, წარმართულ თამაშობებზე სიარულში. ტერტულიანე ასეთ მორწმუნეებს მოუწოდებდა შემდეგნაირად: შემზარავია, ღვთის ეკლესიიდან გამოსვლა და ეშმაკთან მისვლა. ზეციდან წასვლა და საღორეში შესვლა.

იოანე დამასკელი (680-777 წწ)

იოანე დამასკელი დაიბადა სირიაში ქ. დამასკოში, მართლმორწმუნე ქრისტიანთა ოჯახში. იოანემ პატარობიდანვე უდიდესი ნიჭი გამოავლინა ფილოსოფიაში, არითმეტიკაში, ასტრონომიაში, მუსიკაში და პოეზიაში. მან მამის გარდაცვალების შემდეგ, ხალიფის მრჩევლის პოსტი დაიკავა. მისი მთავარი ნაშრომი გახლავთ „ცოდნის წყარო“, სადაც გადმოცემულია ავტორის ფილოსოფიურ – თეოლოგიური შეხედულებები. პირველმა მან განაცხადა, რომ მეცნიერება და ფილოსოფია თეოლოგიის მოსამსახურეა, ხოლო არისტოტელეს ლოგიკაზე დაყრდნობით შეიძლება სარწმუნეოების ჭეშმარიტების დასაბუთება. მისი მტკიცებით, ფილოსოფია არის სიყვარული სიბრძნისადმი, ჭეშმარიტი სიბრძნე კი - ღმერთია. ამიტომ, სიყვარული ღმერთისადმი არის ჭეშმარიტი ფილოსოფია. ფილოსოფიაში გამოხატული ჭეშმარიტება, დაბალი სახეა საერთოდ ჭეშმარიტებისა მაშინ, როცა უმაღლესი სახე თეოლოგიური ჭეშმარიტებაა. პირველი ემსახურება მეორის დადგენას. ფილოსოფიის არსებობა აუცილებელია თეოლოგიისათვის, რათა მისივე დახმარებით დამარცხებულ იქნეს სხვა ფილოსოფია.

დამასკელი ცოდნას ხოტბას ასხამს: „არა არს რა ცოდნაზე მეტად ღირებული, ცოდნა სინათლეა, უმეცრობა კი სიბნელე“. ,,რადგან შემეცნებისაკენ სწრაფვა გონიერ არსებათ ახასიათებთ, ამიტომ ცოდნის გარეშე გონიერი მეტად იტანჯვის, უგნური არსებანი კი ნაკლებად“. შემეცნება არსების ცოდნაა. იგი ჭეშმარიტებით მიიღწევა, ჭეშმარიტება კი ქრისტეა, იგი ყოვლად სრული სიბრძნეა. დიდი სიბეჯითე და წმინდა გულია საჭირო გონების თვალმა, რომ ჭეშმარიტად უმაღლესი კარიბჭის იქეთ გაიხედოს. საღმრთო წერილია კარიბჭე, იმის იქეთ დაკარგულია აზრთა მშვენიერება და უმაღლესი ჭეშმარიტება. გულმოდგინეთ უნდა შეუდგეს გონება ცოდნის განძის აღმოჩენას, მან უნდა ეძიოს, იკვლიოს, კითხვა დასვას. დამასკელის აზრით, ფილოსოფია ისევე სჭირდება ქრისტიანულ რწმენას, როგორც მხატვარს - გაფორმებისათვის ინსტრუმენტები.

ამის შემდეგ, დამასკელი აგრძელებს ფილოსოფიის განსაზღვრებას ხელოვნებასთან მიმართებაში და ეს მსჯელობაც მთავრდება იმით, რომ ჭეშმარიტი ფილოსოფია განსაზღვრულია როგორც ღმერთისადმი სიყვარული. ამ მსჯელობას ასეთი სახე აქვს: „ფილოსოფია ხელოვნებათა ხელოვნებაა და მეცნიერებათა მეცნიერებაა, რადგან ფილოსიფია არის ყოველი ხელოვნების საწყისი, საფუძველი და საზრისი“. თუ ხელოვნება შეცდომას უშვებს, რაღაცაში სცოდავს, მეცნიერება კი არ უნდა სცოდავდეს, მაგრამ შეცდომა აქ მაინც არ არის გამორიცხული, ფილოსოფიაა მხოლოდ - ერთადერთი უცოდველი. აქ შეცდომა უნდა გამოირიცხოს, რადგან საგნის მხრივ ფილოსოფია უზენაესი სიბრძნეა. ხელოვნება ხელის საქმიანობას უკავშირდება, მეცნიერება კი გონებას. იგი ისეთი გონიერი ხელოვნებაა, როგორიცაა: გრამატიკა, რიტორიკა ... ფილოსოფია კი სიბრძნის სიყვარულია, ჭეშმარიტი სიბრძნე ღმერთია, ამიტომ ღმერთისადმი სიყვარული არის ჭეშმარიტი ფილოსოფია.

ამგვარად, იოანე დამასკელის დამსახურება შუასაუკუნეების ფილოსოფიაში ის არის, რომ მან ფილოსოფია წინ წაუმძღვარა დასასაბუთებელს, თეოლოგიურ დოგმატს და შეეცადა ლოგიკურად დასაბუთებული სახე მიეცა იმისათვის, რაც აქამდე ქრისტოლოგიის ისტორიაში დაუსაბუთებლად იყო სარწმუნო. ე.ი. დამასკელმა, როგორც სქოლასტიკის მამამთავარმა, თეოლოგია დასაბუთებით მეთოდებს დაუქვემდებარა და ამ გზით სცადა ერთიანობაში მოეყვანა სიბრძნე და ქრისტიანულ-რელიგიური დოგმები. დამასკელმა, თეოლოგიაში მეტად ღრმა ცოდნა დაინახა და სცადა ფილოსოფიისა და რწმენის სრული შეთანხმება.

თომა აქვინელი (1225-1274 წწ)

შუა საუკუნეების მოაზროვნეთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თომა აქვინელის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას, რადგან მის მიერ შექმნილი სისტემა დიდი გავლენით სარგებლობდა და დღესაც სარგებლობს კათოლიკური თეოლოგიის - ფილოსოფიის საფუძვლად გამოყენებაში. თომა აქვინელის პრობლემად იდგა რწმენისა და გონების, რელიგიისა და მეცნიერების, ეკლესიისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების საკითხები. თომა აქვინელმა ღმერთის არსებობის 5 არგუმენტი ჩამოაყალიბა. ეს 5 თეზისი დიდი პოპულარობით სარგებლობდა XIII საუკუნეში, რომაულ კათოლიკურ ეკლესიაში. **პირველი არგუმენტი: უძრავი მამოძრავებლის არგუმენტი -** პირველი და უფრო აშკარა გზა არის მოძრაობის არგუმენტი. სამყაროში ყველაფერი მოძრაობს, მას ამოძრავებს რაღაც ძალა. ის რაც სხვას ამოძრავებს და რითაც სხვა მოძრაობს, რისთვისაც ბიძგი არავის მიუცია არის მხოლოდ ღმერთი. მეორე, **პირველმიზეზის არგუმენტი** – არის მოქმედების მიზეზთა წესრიგი, რადგან ყველაფერი წესრიგით გადაადგილდება სამყაროში, რომელსაც თავისი მიზეზი აქვს. პირველმიზეზი – წარმოშობს შუალედურ და საბოლოო მიზეზს, რომელსაც ღმერთს უწოდებენ. **არგუმენტი შესაძლებლობიდან** – არის მესამე არგუმენტი. შესაძლებლობიდან და აუცილებლობიდან გამომდინარეობს ყველაფერი რაც ბუნებაში არსებობს, ისეთი რაღაცეებიც კი, რომელთა არსებობა შესაძლებელია ან არა, რადგან ისინი შექმნილები არიან. ბუნებაში ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. ამიტომ არსებობს ისეთი ცნება, რომელიც არ წარმოშობილა სხვა რამისგან, არამედ მან მისცა ბიძგი სხვა დანარჩენებს წარმოშობილიყვნენ. ეს არის **ღმერთი**. **არგუმენტი მეოთხე არის გრადაცია** (ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლა) - ცოცხალ ორგანიზმებში არის მეტად და ზოგიერთი ნაკლებად კარგი, მართალი, კეთილშობილი. მაგრამ არსებობს ვიღაც, რომელიც აღემატება ყველა არსებას და ეს არის ღმერთი. **ტელეოლოგიური არგუმენტი მეხუთე** - გამომდინარეობს სამყაროს მოწყობიდან. ჩვენ ვხედავთ, რომ

ზოგიერთი ადამიანი ინტელექტუალურია და ის მიიწევს უმაღლესისაკენ. მას ბიძგი მისცა ვიღაცამ და ეს ვიღაც არის ღმერთი.

ანსელმ კენტენბერიელი (1033-1109 წწ.)

ანსელ კენტენბერიელის უმნიშვნელოვანესი ნაშრომებია: 1) ,,მონოლოგიუმი", 2) ,,რატომ იქცა ღმერთი ადამიანად" და 3) ,,დიალოგი ჭეშმარიტების შესახებ". კენტენბერიელს მიიჩნევენ ქრისტიან მოაზროვნედ.

შუა საუკუნეების ფილოსოფიის აქტუალური პრობლემა იყო რელიგიური რწმენისა და ფილოსოფიური შემეცნების მიმართების საკითხი. ამ პერიოდის ფილოსოფიური აზროვნება მეტწილად ეყრდნობოდა თეოლოგიურ დოგმებს. ფილოსოფიას თავისუფლება აკლდა. ანსელს მიაჩნდა, რომ რწმენა ქმნის აუცილებელ საფუძველს მეცნიერული შემეცნებისთვის. იგი გამოდიოდა რა პრინციპიდან - „მწამს რათა შევიმეცნო", მიზნად დაისახა რწმენის უმთავრესი საგნის - ღმერთის რაციონალური გააზრება და დასაბუთება. იგი დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ გონების დოგმების დახასიათება და ქრისტიანული რწმენის ჭეშმარიტების კიდევ ერთი დამატებითი დასაბუთება, მისი დამაჯერებლობის გაძლიერებაა თუმცა, დასაბუთების გზით მიღებული ჭეშმარიტებათა კრიტერიუმი რწმენასთან ახლოსაა ანუ თანხმობაშია. „რწმენა წინ უსწრებს გონებას, იგი შესაძლებელს ხდის შემეცნებას". თუ რაიმე ჭეშმარიტი არსებობს, უნდა არსებობდეს თავისთავადი ჭეშმარიტება ანუ ღმერთი, რამდენადაც რაც არსებობს ღმერთისგანაა. ღმერთი არის უმაღლესი სისრულე, იგი მარადიულია. მას არა აქვს არც დასაწყისი და არც დასასრული, რადგან იგი ზედროულია და დროზე მაღლა დგას.

ანსელმ კენტენბერიელი იზიარებს ქრისტიანული რელიგიის უმთავრეს პრინციპს: სამყარო შექმნა ღმერთმა. ღმერთი ყოვლისმომცველია, ერთიანია, ამიტომ

ყოველგვარი არსებული თავის სათავეს ღმერთისაგან ღებულობს. ყველას და ყველაფრის საწყისია, ყოვლისმომცველი ღმერთი.

კენტენბერიელის აზრით, სული შექმნილია ღმერთის შემეცნებისა და ღმერთის მარადიული სიყვარულისათვის. ამიტომაცაა ადამიანის სული უკვდავი. საერთოდ, ადამიანთა საბოლოო მიზანია მარადიული ნეტარება, ხოლი გზა ამისაკენ არის საკუთარი ნების - ღმერთის ნებისადმი დაქვემდებარება ე.ი. სამართლიანობის განხორციელება. ანსელმი სამართლიანობას და სიკეთეს აერთიანებს და მათ ღმერთისაგან ბოძებულ ნებად მიიჩნევს.

ამგვარად, ანსელმ კენტენბერიელი როგორც შუასაუკუნეების მოაზროვნე, ცდილობს ქრისტიანული რელიგიის დოგმები მხოლოდ გონებიდან გამოიყვანოს და რაციონალურად დაასაბუთოს.

აღორძინების ხანის ფილოსოფია

<u>**რენესანსი**</u> – ასევე აღორძინება, ხელახლა დაბადება. იგი გაიგივებულია ევროპის ისტორიულ–კულტურულ ეპოქასთან, რომელმაც შეცვალა შუა საუკუნეები და წინ უძღოდა რეფორმაციას. ამ ეპოქის ქრონოლოგიური ჩარჩოები XIV–XVI საუკუნეებია, იგი დაიწყო იტალიაში. აღორძინების ეპოქის განმახვავებელი თვისება იყო კულტურის საერთო ხასიათი და მისი <u>**ანტროპოცენტრიზმი**</u> (ანუ ინტერესი ადამიანისა და მისი მოღვაწეობის მიმართ). რენესანსის პერიოდში ღვივდება ინტერესი ანტიკური კულტურის მიმართ, ხდება რა მისი ერთგვარი „ხელახალი დაბადება“.

იტალიური რენესანსი XV საუკუნეში წარმოადგენდა დასავლეთის კლასიკურ ანტიკურობასთან დაახლოებას, ცოდნის მობილიზაციას, ყურადღების გადატანას ბედნიერი ცხოვრების მნიშვნელოვნებაზე აწმყოში (რელიგიური საიქიოს ნაცვლად). მეცნიერული ცოდნის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი, ერთ მხრივ - მასზე საზოგადოებრივი მოთხოვნილებების სწრაფმა ზრდამ, ხოლო მეორე მხრივ - იმ

გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმდროინდელ სამყაროში, სადაც ისახებოდა ადრინდელი კაპიტალიზმი. ამ პერიოდში საკითხი ადამიანს – პიროვნებას შეეხებოდა, რომლის იდეალი უკვე ვეღარ თავსდებოდა ფეოდალურ–წოდებრივი ურთიერთობების, საეკლესიო–ასკეტური მორალის და შუა საუკუნეების ტრადიციების ჩარჩოებში. ამან გამოიწვია ღირებულებათა თავისებური გადაფასება, შეხედულებების შეცვლა აწმყოსა და წარსულზე, გააქტიურება არსებულ ურთიერთობათა შესაცვლელად. ჰუმანისტებმა დაიწყეს ბრძოლა ადამიანის მოღვაწეობისა და მისი აზრებისადმი დაწესებული საეკლესიო კონტროლის წინააღმდეგ, რაც კონკრეტულად გამოიხატა შუა საუკუნეების მორალის ისეთი საფუძვლის კრიტიკით, როგორიცაა ავტორიტეტები, ტრადიციები და დოგმები. ღირებულებათა ახალმა ანტროფოცენტრულმა (ბერძნულიდან antropos - ადამიანი) მოძღვრებამ, სამყაროს ცენტრად მიიჩნია ადამიანი, როგორც ბუნების ნაწილი და ბუნების ყველაზე სრულყოფილი ქმნილება; ასკეტული „ზეციური“ ადამიანის მისტიურ იდეალს დაუპირისპირა - მიწიერი, ბუნებრივ მოთხოვნილებებზე კანონიერი უფლების მქონე, ყოველმხრივ განვითარებადი ადამიანის კულტი. რენესანსი ახალი ისტორიული პირობების შესაბამისად ავსებდა და ასწორებდა ანტიკურ კულტურას. იგი სოციალური შინაარსით აღმავალი, პროგრესული ბურჟუაზიული მოღვაწეობის პროდუქტია. რენესანსის ეპოქა ფილოსოფიაში ცდილობს თავი დააღწიოს „ღვთისმეტყველების მსახურის“ როლს. ბიზანტიური მეცნიერების წყალობით ჰუმანისტები უფრო სრულად გაეცნენ პლატონს, არისტოტელეს და სხვა ძველი ბერძენი ფილოსოფოსების შრომებს, რამაც არსებითი როლი ითამაშა რენესანსის ეპოქის ფილოსოფიის განვითარებაში.

რენესანსის ეპოქის უდიდესი მონაპოვარია რელიგიური დოგმებისაგან თავისუფალი ბუნების ფილოსოფია, რომელიც იტალიასა და გერმანიაში განვითარდა XVI საუკუნეში.

ნიკოლოზ კუზანელი (1401-1464წწ).

ბუნების ფილოსოფიის მრავალი იდეა წამოაყენა XV საუკუნეში, კარდინალმა - ნიკოლოზ კუზანელმა. სწორედ, კუზანელი ამტკიცებდა სამყაროს უსასრულობას. ის ამბობდა, რომ ღმერთმა შექმნა ყოველი ბუნებრივი საგანი და ფორმა. ადამიანმა კი – ხელოვნური საგნები და ლოგიკა. კუზანელი მარადისობას განსაზღვრავდა როგორც - დახვეულ გრაგნილს, დროს კი როგორც - იმავე გრაგნილს, ოღონდ უკვე გაშლილს. ღმერთს, როგორც კუზანელი თვლის, ერთდროულად ყოვლისა და ერთიანის მოცვა შეუძლია, რადგან მას უსასრულო თავისუფლება და ძალა აქვს. მართალია, ადამიანის გონება ცხოველურ ბუნებასთან არის გაიგივებული, მაგრამ ცხოველური ბუნების ან სხეულის მსგავსად, ადგილითა და დროით არ არის შეზღუდული. მასაც შეუძლია ლოცვით ამაღლდეს ზეცაში, იმოგზაუროს რომში, შეაღწიოს ხეში, დაინახოს ის ხატი, რომელიც სკულპტორს უნდა ამ ხისაგან გააკეთოს. განსხვავება, შეზღუდვა ისაა, რომ ორ ან რამდენიმე საგანზე ყურადღების ერთდროულად მიპყრობა ადამიანს არ ძალუძს. ამიტომაც, თუმცა ჩვენი გონება, ადგილისა და დროისაგან განუსაზღვრელია, ის თითქოს ჰორიზონტზე იქ იმყოფება, სადაც კონკრეტული განფენა იწყება და სადაც აბსოლუტური მთავრდება.

კუზანელი განასხვავებს ღვთაებრივსა და ადამიანურ შემეცნებას. ღვთაებრივ შემეცნებას შეუძლია თავისი ობიექტის ბუნება გაიგოს, ადამიანურს კი ძალუძს პასიურად აითვისოს და გადმოხატოს. ადამიანური შემეცნება მგავსების მიხედვით მოქმედებს, მისი იდეალია - დაემსგავსოს ღვთაებრივს. ღმერთი, კუზანელის აზრით, სამ-ერთიანი საფუძველია რეალური სინამდვილისა, ხოლო ადამიანის სული - სამ-ერთიანი შემეცნების უნარით ამავე სინამდვილის ცნებითი წარმოდგენის საფუძველია.

ადამიანის შემეცნების ეს სამი ძალა არის - გრძნობა, განსჯა და გონება. სამივე ეს საფეხური ერთმანეთს განსაზღვრავენ და ერთმანეთს ავსებენ. შემეცნება ნიშნავს სამივე საფეხურის შემოვლას. გრძნობადი შემეცნება - მხოლოდ გრძნობს და ეგუება თავის ობიექტს, იგი მხოლოდ ჰყოფს, ამიტომ იგი სინათლეს მოკლებულია;

განსჯითი შემეცნება - უარყოფს და ჰყოფს. გრძნობა კი, აღვიძებს მიძინებულ განსჯას. განსჯა, უარყოფისა და ჰყოფის თანასწორუფლებიანობის აღიარებით, წინააღმდეგობის შეუძლებლობის აღმოჩენის იქეთ ვერ მიდის. განსჯა მხოლოდ წინააღმდეგობას აღმოაჩენს, მაგრამ ამ წინააღმდეგობის წინაშე უძლური ხდება. აქ, შემეცნების პროცესს გონება ამთავრებს. გრძნობა ჰყოფს, განსჯა ჰყოფს და უარყოფს, გონება კი უარყოფს და ამით შემეცნება იბადება, როგორც უარყოფის მიერ კონსტრუირებული ობიექტი.

კუზანელი თავისი მოძღვრებით ღმერთს ადამიანს უახლოებს და ადამიანურ შემეცნებას ღვთაებრივს უწოდებს. „ადამიანი არის ღმერთი, მაგრამ არა აბსოლუტი, რადგან იგი არის ადამიანი. იგი, მაშასადამე, ადამიანური ღმერთია; ადამიანი არის აგრეთვე ქვეყანაც, მაგრამ არა კონკრეტული სამყარო, რადგან იგი ადამიანია. მაშასადამე, იგი მიკროკოსმოსია ე.ი. ადამიანური ქვეყანაა“.

ნიკოლოზ კუზანელის ფილოსოფია, შეთანხმებისა და კომპრომისის ფილოსოფიაა, რომელიც შექმნილია ძველის გადასარჩენად და არა ახლის სადიდებლად. მაგრამ ისტორიული განვითარების ულმობელი მსვლელობა, უკუღმა შეატრიალებს კარდინალის ზრახვებს და მისდა უნებურად, რენესანსის ეპოქის უდიდეს ფილოსოფიურ ლიდერად გადააქცევს მას.

ნიკოლოზ კოპერნიკი (1473 -1593 წწ.)

ნიკოლოზ კოპენიკი გახლდათ გერმანელი მეცნიერი, მათემატიკოსი, და ასტრონომი. იგი მოღვაწეობდა პადუასა და რომში. მას აქვს მსოფლიო მნიშვნელობის ნაშრომი, რომელშიც მან ქრისტიანული ეკლესიის უძრავი დედამიწა - მოძრავად გამოაცხადა, გეოცენტრიული სისტემა კი, ჰელიოცენტრულით შეცვალა.

კოპერნიკი აღმოაჩენს და დაასაბუთებს, ჯერ დედამიწის ბრუნვას საკუთარი ღერძის გარშემო, შემდეგ კი დადამიწის ტრიალს მზის გარშემო. ამ ორი დაშვებით კოპერნიკმა, მშვენივრად ახსნა და მათემატიკურად აღწერა მთელი რიგი ასტრონომიული მოვლენები, რომლებიც აქამდე აუხსნელი იყო. მან მთლიანად უარყო დედამიწის ცენტრალური მნიშვნელობა სამყაროში და სამყაროს ცენტრად მზე გამოაცხადა, ამიტომ ეწოდება მის სისტემას ჰელიოცენტრული სისტემა. ამით კოპერნიკმა, შუა საუკუნეების ანტროპოცენტრიზმს ნიადაგი გამოაცალა და ადამიანი ბუნებრივ კანონზომიერებას დაუქვემდებარა. მისი მოძღვრების მიღების შემდეგ, უარყოფილ იქნა ე. წ. ნატურფილოსოფიური დუალიზმი, რომელიც დედამიწის განსაკუთრებულ და უპირატესობის მქონე მდგომარეობაზე იყო აგებული, რადგან აღმოჩნდა, რომ დედამიწა იყო მზის სისტემის რიგითი პლანეტა და პლანეტათა წყობაში განთავსებული გახლდათ მესამე ადგილზე.

მართალია, კოპერნიკმა სამყაროს უსასრულობის სურათი მთლიანად ვერ წარმოაჩინა, მაგრამ მან დაანგრია მითი - საკუთარ ცენტრში ჩაკეტილი დასრულებული სივრცისა და გზა გახსნა გალილეის გენიისათვის, რომელმაც საბოლოოდ დაასაბუთა სამყაროს უსასრულობა და კოპერნიკის აღმოჩენა ლოგიკურ დასკვნამდე მიიყვანა.

გალილეო გალილეი (1564-1642 წწ.)

გალილეო გალილეი დაიბადა ქალაქ პიზაში. მას ძალიან იტაცებდა მათემატიკა და ასტრონომია და ამ მიმართულებით ცდილობდა ცოდნის გაღრმავებას. იგი, აგრეთვე, გაეცნო ნიკოლოზ კოპერნიკის შრომებს, რომელიც ამტკიცებდა, რომ დედამიწა და სხვა პლანეტები არა მარტო საკუთარი ღერძის, არამედ მზის გარშემოც ბრუნავდნენ. ამ მოსაზრებამ გალილეო დააფიქრა. მან დაუღალავი შრომის შედეგად გამოიგონა ჰიდროსტატიკური სასწორი, რომლითაც

შესაძლებელი იყო სხეულის წონის განსაზღვრა. გალილეო მოგვიანებით, სხეულის ვარდნის ექსპერიმენტმა გაიტაცა. ამ ცდის ჩასატარებლად იგი პიზის კოშკზე ავიდა და იქიდან ერთნაირი ფორმისა და მოცულობის, მაგრამ განსახვავებული წონის ბურთები გადმოყარა. მოხდა საოცრება, ორივე ბურთი მიწაზე ერთდროულად დავარდა. გალილეო თავადაც ვერ ხვდეობდა, რომ საფუძველს უყრიდა მექანიკისა და ფიზიკის სფეროს, რომელიც ამტკიცებს, რომ ბუნების მოვლენები მათემატიკურ წესებს ემორჩილება. ერთ–ერთი დაკვირვების დროს, როდესაც იგი ტელესკოპით ცას შეჰყურებდა წამოიძახა: კოპერნიკი მართალს ამბობდა, დედამიწა და პლანეტები მზის გარშემო ბრუნავენ, მზეა სამყაროს ცენტრი. სამწუხაროდ, მისი ნაშრომები ინკვიზიციას ჩაუვარდა ხელში და მას მწვალებლობაში დასდეს ბრალი. მოხუცი მეცნიერი კოცონზე დაწვას რომ გადარჩენოდა, მან უარი თქვა თავის გამოგონებაზე.

გალილეიმ, ბუნების ყველა მოვლენა მექანიკურ კანონებზე დაიყვანა და უნივერსალური კანონზომიერება განმარტა, როგორც მექანიკური კანონზომიერება. იმ სააზროვნო საშუალებათა სიმაღლეზე, რომელშიც გალილეის საუკუნე იმყოფებოდა, ეს მექანიკურ-მათემატიკური მეთოდი პროგრესული და ბასრი იარაღი იყო რელიგიასთან და ტელეოლოგიურ-თეოლოგიურ მსოფლმხედველობასთან საბრძოლველად. სწორედ ამაშია გალილეის, როგორც ფილოსოფოსის მნიშვნელობა.

ჯორდანო ბრუნო (1548-1600 წწ.)

ჯორდანო ბრუნო გახლდათ რენესანსის ეპოქის ის პირველი გმირი, რომელმაც კამათი კი არ დაუწყო ეკლესიას, არამედ საფუძვლები შეურყია მას.

ბრუნომ კაცობრიობას დაუტოვა პოეტური ცეცხლით, რევოლუციური აღფრთოვანებითა და პრინციპული სიმტკით აღსავსე მრავალი ნაშრომი, რომელთა შორისაც აღსანიშნავია „მიზეზისა, პრინციპისა და ერთის შესახებ“. ნაშრომში გადმოცემულია აზრი იმის შესახებ, რომ ბუნების შემეცნება ავტორისათვის,

მშვენიერებისა და ჰარმონიის მხატვრულ ხილვას უდრის: „ჭეშმარიტი ფილოსოფია ამავე დროს არის მუსიკა, პოეზია და მხატვრობა“, მაგრამ ძირითადი მისთვის, არის ცოდნის საგნად გამხდარი ბუნება, რომელიც ადამიანს სარწმუნოების აბსურდისაგან გაათავისუფლებს.

ბრუნო ფიქრობს, რომ ფილოსოფიის საქმე არ არის ღმერთის შემეცნება. ფილოსოფიის მოვალეობაა ბუნების შემეცნება, მისი საიდუმლოების გაგება, მისი საფუძვლისა და მოძრაობის მიზეზის გამოკვლევა.

ბრუნოს მოძღვრება მატერიასა და სინამდვილეზე სავსებით ახალი მოტივებით არის აღსავსე. მისი აზრით, მთელი უნივერსუმი შექმნილია მატერიის მინიმალური ნაწილაკებისაგან, რომლებსაც იგი მონადებს უწოდებს. რადგან ბრუნოს აზრით, არაფრისაგან არაფრის გაჩენა არ არსებობს, ამიტომ ყველაფერი არის ისე, როგორც მარად იყო და ამ სინამდვილის ერთადერთი საფუძველი არის მატერია. მატერია საფუძველია არა მარტო სხეულისა, არამედ თვით გონებისაც.

ჯორდანო ბრუნო მოწინავე იდეებისათვის გასამართლებულ იქნა ინკვიზიციის მიერ და რომში, ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე საჯაროდ დაწვეს კოცონზე.

თომაზო კამპანელა (1568-1639 წწ.)

ახალი ეპოქის - პოგრესის მოთხოვნილება, თავს იჩენდა არა მხოლოდ პროგრესულად მოაზროვნეებში, არამედ იმ ადამიანებშიც, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობდნენ ძველის გადასარჩენად. ძველი იდეების დამცველნიც, ძალაუნებურად ემსახურებოდნენ პროგრესს და სწორედ ეს გახლავთ ახლის ე.ი. პროგრესის ძალის ერთ–ერთი ნათელი გამოხატულება.

თომაზო კამპანელა დომინიკელი ბერი გახლდათ და პაპის ძალაუფლებაზე ოცნებობდა. მან მონარქიის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისათვის,

საპყრობილეში 27 წელი გაატარა. მართალია, მის ნატურფილოსოფიაში დიდი ადგილი უკავია მისტიკასა და მაგიას, მაგრამ იგი გალილეის შეხედულებებს იცავდა და ასტროლოგობაზეც დებდა თავს. მისი დამსახურებაა ის, რომ ემპირიზმის საყოველთაო ბატონობის პერიოდში, ემპირიზმისა და სკეპტიციზმის შინაგან კავშირზე მიუთითა. კამპანელამ სკეპტიციზმის გადალახვის საფუძველი შინაგან გამოცდილებაში, ადამიანის მიერ საკუთარ სულიერ პროცესებზე დაკვირვებაში დაინახა, რითაც იგი დეკარტის წინამორბედი გახდა.

კამპანელას უტოპიური ნაწარმოები გახლავთ „მზის სახელმწიფო“, რომელიც მართალია, თომას მორისეული უტოპიის გაკათოლიკურების შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ იგი რეალურად გახლავთ, ფორმა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ გალაშქრებისა. მზის სახელმწიფო იწყება ასე: მესაზღვრეები შემთხვევით აღმოჩნდებიან კუნძულ ტაპრობანზე, სადაც უარყოფილია კერძო საკუთრება და გამეფებულია საყოველთაო შრომა, ოთხსაათიანი სამუშაო დღე და ამასთან, სახელმწიფოს მართავს მეცნიერების საფუძველზე ფილოსოფიურად მოაზროვნე სამღვდელოება. მიუხედავად კამპანელას ნაწარმოების უტოპიური ხასიათისა, იგი იმ დროის აზროვნებისათვის, მეტად პროგრესული მოვლენა იყო.

კამპანელასათვის, ბუნებაში ყველაფერი გასულიერებულია და ყველაფერს ახასიათებს გრძნობა ე.ი. ცნობიერებისა და გრძნობის ერთიანობა. აღქმა და ცოდნა ერთმანეთს ემთხვევა, მსჯელობა და დასკვნა კი აღქმის მოდიფიკაციებია.

ნიკოლა მაკიაველი (1469-1527 წწ.)

ნიკოლა მაკიაველი ფლორენციელი გახლდათ. მან თავისი ლიტერატურულ-პოლიტიკური ხასიათის ნაშრომები, ხანგრძლივი გადასახლების დროს დაწერა. მაკიაველის ნაშრომი, რომელიც დღემდე პოპულარობით სარგებლობს არის „მთავარი“.

მაკიაველის თეორიული შეხედულება ადამიანის თავისებურ გაგებას ემყარება. ადამიანი, მისი აზრით, უნდა განვიხილოთ, არა როგორც იგი უნდა იყოს, არამედ ისე, როგორც იგი არის. ადამიანი ფაქტიურად არის და იყო ეგოისტი, ავი და მტაცებელი. პოლიტიკოსმა თავისი ანგარიში სწორედ ამაზე უნდა ააგოს. ადამიანთა წინააღმდეგობის დამორჩილების უმაღლეს საშუალებად, მაკიაველს ძლიერი სახელმწიფო მიაჩნდა. სახელმწიფო საფუძველია ზნეობის, სიკეთის და ნამდვილი რელიგიისა. ამიტომ, სახელმწიფო ადამიანის უდიდესი მეგობარია, ადამიანის უდიდესი მტერი კი ეკლესიაა (მაკიაველს განსაკუთრებით სძულდა სახელმწიფოს მტერი - რომის პაპის იერარქია და მთელი თავისი ცხოვრება შეგნებულად ებრძოდა პაპის რეჟიმს). მაკიაველის აზრით, სახელმწიფო არის „პოლიტიკური სხეული“, ერთგვარი მექანიკური სისტემა, რომელიც შენდება ბუნებრივი ძალების შეგნებაზე, რომლის მასალა ადამიანია და რომლის აღდგენა შეიძლება თუ იგი დროთა მსვლელობამ და ისტორიამ დეგრადაციამდე არ მიიყვანა. ამისათვის ჰუმანისტი მაკიაველი, სახელმწიფო მმართველობის მეცნიერების შეთვისებას აუცილებელ საქმედ აცხადებს. თავისი თეორიული მოღვაწეობის აზრს კი, ამ მეცნიერების ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბებაში ხედავს.

ახალი ფილოსოფიის შესავალი

მე-17 საუკუნე დიდი გარდატეხის ეპოქა იყო ევროპის ისტორიაში. ჩამოყალიბებას იწყებს ახალი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაცია - კაპიტალიზმი და მასთან ერთად, სულიერი ცხოვრების ახალი ეპოქა - ფილოსოფიის ახალი ხანა.

კაპიტალიზმმა რევოლუციურად განაახლა ყველაფერი და ამიტომ ხელახლა იბადება ფილოსოფიაც, როგორც კაპიტალიზმის ეპოქის სააზროვნო მეთოდი. ეს ეპოქა შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ფილოსოფიის ახალი დასაბუთების მეთოდი, თუმცა პირიქით, ფილოსოფია იქცევა კაპიტალიზმის დასაბუთების მეთოდად. კაპიტალიზმის დაბადებასთან ერთად საბოლოოდ დაიბადა პიროვნება, სუბიექტი, ინდივიდუმი, რომელიც არის გაბედული, მრეწველად გადაქცეული ვაჭრის ტიპი და მასთან ერთად იბადება გათვიცნობიერებული მეობის ფილოსოფია - სუბიექტის ფილოსოფია.

შუა საუკუნეების გადმონაშთებთან ბრძოლაში, მისი ავტოროტეტებისა და იერარქიების უკუგდებით, მაშინ როცა „ადამიანთან მიმაგრებული ადამიანი“ (მარქსი) ამ სისტემიდან გათავისუფლებისათვის იბრძვის, კაპიტალისტური ეპოქის ადამიანს ყველაზე მეტად თავისუფლება სჭირდება; ეს არის, უპირველეს ყოვლისა, მოქმედების თავისუფლება - ძველის მიმართ და ვაჭრობის თავისუფლება - ახლად გაბატონებული კლასისათვის. ეს თავისუფლების დიდი ძიება და დიდი მსვლელობა, თავის სახეს აძლევს ახალგაზრდა კაპიტალიზმის მთელს ცივილიზაციას, განსაკუთრებით კი, ბურჟუაზიულ ფილოსოფიას. თავისუფლების ცნება იქცევა ბურჟუაზიული ფილოსოფიის კულტად.

მე-17 საუკუნის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ ეს არის ინგლისის საუკუნე, რადგან ინგლისელი ხალხის იდეოლოგია განახლებისა და ბრძოლის სულისკვეთებას ატარებს. სწორედ ამ ეპოქიდან იწყებს თავის მეცნიერულ ისტორიას

ბურჟუაზიული ფილოსოფია, უპირველეს ყოვლისა ინგლისიდან და შემდგომ, იმ დროსათვის, კონტინენტზე განვითარების პროცესში დაწინაურებული ქვეყნებიდან - საფრანგეთიდან და ჰოლანდიიდან.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ეპოქიდან - ეპოქაში გადასვლა დროში საკმაოდ გაჭიმული პროცესია, რა დროსაც, ძველისა და ახლის მახასიათებელი იდეები კულტურის, მეცნიერებისა და ფილოსოფიის დარგში ხშირად ერთმანეთს კვეთენ. შესაბამისად, ახალი ფილოსოფიური იდეის ფუძემდებლად, ხშირად სხვადასხვა ფილოსოფოსს ანდა ფილოსოფოსებს ასახელებენ, რაც ნაკარნახევია ქვეყნების კულტურითა და ტრადიციებისაგან. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია გამოვყოთ მოაზროვნეები, რომელთაც ფილოსოფიასა და ცოდნას პრაგმატული მნიშვნელობა მიანიჭეს და იგი საკუთარი, ახალი მეთოდით განსაზღვრეს. მგ.: „ცოდნა–ძალაა“, ეკუთვნის ახალი დროის ორ დიდ მოაზროვნეს: ფრენსის ბეკონსა და რენე დეკარტს.

ფრანსის ბეკონი (1561-1626 წწ.)

ფრანსის ბეკონისათვის მეცნიერება არის ცდისეული. მეცნიერება მდგომარეობს იმაში, რომ გრძნობად მოცემულზე გამოვიყენოთ რაციონალური მეთოდი. ინდუქცია, ანალიზი, შედარება, დაკვირვება და ექსპერიმენტირება არის ძირითადი პირობა ამ რაციონალური მეთოდისა.

შემეცნების ახალი მეთოდის მიზანია, ადამიანმა ასახოს ბუნება ისე, როგორც ის არსებობს მისგან დამოუკიდებლად. თავის მხრივ, ამისათვის საჭიროა ადამიანის გონების განწმენდა სქოლასტიკური აზროვნებისაგან, რომელსაც ბეკონი იდოლებს ანუ მოჩვენებებს უწოდებს. იდოლა ოთხი სახისაა: გვარის, გამოქვაბულის, მოედნისა და თეატრის.

<u>**გვარის იდოლა**</u> ადამიანისათვის თანდაყოლილია. ბეკონის აზრით, „მას თავის წყაროდ თვით ადამიანის ბუნება აქვს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი

ბუნების მოვლენებს განიხილავს მიზნისა და წინასწარი განზრახვის თვალსაზრისით ე.ი. ტეოლოგიურად, როცა „რატომ“–ის ნაცვლად ისმის კითხვა „რისთვის“. ბეკონის მტკიცებით, მიზნობრიობა ახასიათებს ადამიანს და არა ბუნებას, იგი უარყოფს ტელეოლოგიზმს. ბეკონი ადამიანის გონებას ადარებს მრუდ სარკეს, რომელშიც საგნები დამახინჯებულად მოჩანს.

<u>მეორე იდოლა</u> არის გამოქვაბულოის იდოლა, რომელიც ახასიათებს პიროვნებას, დამოკიდებულია მის ინდივიდუალურ თავისებურებებზე, მის ფსიქოლოგიურ ბუნებასა და აღზრდაზე. თითქოს ყველა პიროვნება გამოქვაბულიდან უყურებს ამ სამყაროს და აფასებს მას.

<u>მესამე იდოლა</u> იწოდება მოედნის იდოლად, რამდენადაც იგი წარმოიშობა მოედანზე თუ ბაზრებზე შეყრილი ადამიანების საუბრების, კამათისა და მსჯელობების პროცესში. ეს იდოლა ენის იდოლაა, რომელიც სიტყვების არასწორი გამოყენებისა და გაუგებრობის საფუძველზე წარმოიშობა. სიტყვებთან ერთად ადამიანები შეუგნებლად ითვისებენ იმ ცრურწმენებს, რომლებიც მათ წინა თაობამ დაუტოვა, მაგ.: სამოთხე, ჯოჯოხეთი, ბედი და სხვა.

<u>მეოთხე იდოლა</u> ეს არის თეატრის იდოლა. ბეკონი ფილოსოფიის ისტორიას ადარებს თეატრის სცენას, სადაც სხვადასხვა სპექტაკლი თამაშდება სხვადასხვა მსახიობის მიერ და მაყურებელს ექმნება წარმოდგენის ნამდვილობის ილუზია. სანამ ადამიანის აზროვნება ავტორიტეტული ფილოსოფოსების, კერძოდ: არისტოტელესა და პლატონის მიერ შექმნილი დოგმებისაგან არ გათავისუფლებულა, მანამ ნამდვილი მეცნიერება ვერაფერს ვერ მიაღწევს და ადამიანი ბუნებაზე ვერ გაბატონდება.

რენე დეკარტი (1596-1650 წწ.)

დეკარტის მამა მოსამართელე იყო, დედა ერთი წლის ასაკში გარდაეცვალა, მისი აღზრდა ბებიამ იკისრა. მას ზედმეტსახელად ფილოსოფოსი შეარქვეს. დეკარტი 1612 წელს იეზუისტთა სასწავლებელში შედის, სადაც უმეგობრდება ცნობილ მოაზროვნეს და მეცენატს მერსონს, რომელმაც დიდი როლი ითამაშა დეკარტის ფილოსოფიის პოპულარიზაციაში. დეკარტის ეკუთვნის ცნობილი გამოთქმა „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“ – coqito ergo sum“. დეკარტი მიმართავს მეთოდურ ეჭვს. იგი ამტკიცებს, რომ არავითარ ემპირიულ ცოდნას არა აქვს აუცილებლობა ე.ი. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ საგნისათვის ჩვენს მიერ მიწერილი რაიმე ნიშანი უდაოა და მუდმივი, მაგ.: როგორია სანთლის ცვილი? მაგარი, რბილი, თუ თხვევადი? ჩვენ ამას ემპირიულად ვერ დავადგენთ, რადგან სხვადასხვა ტემპერატურაზე იგი სხვადასხვა სახეს იღებს. მეტიც, ჩვენ ისიც კი არ ვიცით, უეჭველია თუ არა, თავად ჩვენი სხეულებრივი არსებობა. კერძოდ, ის რომ მე ახლა ბუხრის წინ ვზივარ. თითქოს სასაცილოა ამაში დაეჭვება, მაგრამ მე ხომ ხშირად დამსიზმრებია ამგვარი რამ? ზოგჯერ გამოფხიზლების შემდეგ, უცებ ძნელია გაერკვე ეს სიზმარი იყო თუ ცხადი. თუ დავაკვირდებით და გავაცნობიერებთ, დავინახავთ, რომ არ გაგვაჩნია სიზმრისა და რეალობის ერთმანეთისაგან განმასხვავებული ნათელი კრიტერიუმი. დეკარტი, იმას კი არ ამტკიცებს, რომ ემპირიული ცოდნა მუდამ ყალბია, არამედ იმას, რომ ეს ცოდნა მუდამ საეჭვოა. იგი უდაო არასოდეს არაა. დეკარტი ფიზიკურისა და ფსიქიკურის შეთანხმებული მოქმედების ფაქტს კი არ უარყოფს, არამედ იმას, რომ ეს კავშირი არც ერთით აიხსნება და არც მეორეთი. ის, რასაც თვალით ნათლად ვხედავთ, გონებისათვის მიუღებელია, რადგან გაუგებარია. ფიზიკური ფსიქიკურზე ზემოქმედებას ვერ მოახდენს და პირიქით, ჩვენ ყოველ წამს ამ ორი სფეროს ურთიერთზემოქმედებას და თანხმობად (პარალელურ) ქმედებებს ვხედავთ. დეკარტი ამტკიცებდა, რომ მოძრაობას, რომელიც მას ესმის როგორც მექანიკური ანუ სივრცეში ადგილის გადანაცვლებას, არ სჭირდება ცარიელი სივრცე, რადგან სხეულები ადგილს უთმობენ ერთმანეთს. ამდენად, სამყაროში ერთი სხეულის

ამოძრავება მთელი სამყაროს ამოძრავებას ნიშნავს. ამის გამო უნდა დავუშვათ, რომ სამყარო მუდამ მოძრაობს. მან პირველი ბიძგი იმ ერთისაგან მიიღო, შემდეგ კი ამგვარად მინიჭებული მოძრაობის რაოდენობა მუდმივი დარჩება. დეკარტეს სული - ყველაზე ადვილად შესამეცნებელი ეგონა. მისთვის ხომ „მე“ ნიშნავს გონს, როცა იგი ჩვენი „მე“–ს, ანუ სულის გაგებასთან დაკავშირებულ სიძნელეებს აღწერს, კვლევას ასე აჯამებს: „მჯერა არ არსებობს ჩემს გონზე უფრო ცხადად და იოლად შესაცნობი რამ“.

დეკარტეს ფილოსოფიას იმ დროისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი ცოდნის აუცილებლობას და იგი აღიარა ადამიანის ცნობიერების დიდ ფაქტორად, რამაც შემდგომში კაცობრიობას განუმტკიცა აზრი ცოდნის აუცილებლობის შესახებ.

თომას ჰობსი (1588- 1676 წწ.)

1640 წლიდან, მანამდე მეფის მმართველობისადმი ლოიალური, ჰობსი ინგლისს გაერიდა. ფრანგულ ემიგრაციაში მყოფი ჰობსი, გადაურჩა რევოლუციის ქაოსს და სამოქალაქო ომს. სამშობლოში ჰობსი 1651 წელს კრომველის ნებართვით დაბრუნდა. დიქტატორი მონარქი, ჩანს კმაყოფილი იყო მეტნაკლებად ნეიტრალურ ინგლისელ ინტელექტუალებთან თანამშრომლობის შესაძლებლობით. შემთხვევითი როდი იყო, რომ მან ჰობსს ჯერ სახელმწიფო მდივნის პოსტი შესთავაზა, ხოლო შემდეგ, დაავალა მოემზადებინა ბრიტანული უნივერსიტეტების რეფორმის პროექტი. 1651 წელს გამოიცა მისი ნაშრომი „ლევიათანი“. ჰობსის მატერიალიზმი მდგომარეობს იმაში, რომ სამყარო სხეულთა ერთობლიობაა, უსხეულო არაფერი არ არსებობს თვით სუბსტანციაც კი ე.ი. ჰობსი უარყოფს სულიერი სუბსტანციის არსებობას და აღიარებს მხოლოდ მატერიალურ, სხეულებრივ სუბსტანციას. ჰობსის მტკიცებით, აზროვნება მატერიისაგან მოუწყვეტელი თვისება ანუ მისი ატრიბუტია.

ამასთანავე, მატერია მოძრავ და ყოველგვარ ცვლილებათა საფუძველია, სხეულთა მოძრაობა კი მექანიკური კანონებით ხდება. ცოდნა არის სუბიექტის გრძნობის ორგანოებზე მოქმედი საგნების ასახვა, რომელიც მხოლოდ იმდენად არის ღირებული, რამდენადაც მას რეალურ საფუძვლად სხეული უძევს.

მატერიაულრი სამყარო ცალკეული ერთეული საგნებისა და მოვლენებისაგან შედგება. ჰობსი უარყოფს ზოგადის არსებობას და ნომინალიზმის პოზიციებისკენ იხრება. მისი მტკიცებით: „არ არსებობს ადამიანის გონებაში არც ერთი ცნება, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ, თავდაპირველად არ იყოს წარმოშობილი შეგრძნებების ორგნოებში“. შეგრძნებების გარეშე არ არსებობს არც წარმოდგენები, არც მეხსიერება და არც სხვა უნარი სუბიექტის ცნობიერებისა.

ბენედიქტე სპინოზა (1632-1667 წწ.)

სპინოზასათვის, ისევე როგორც დეკარტისათვის, არსი და აზრი იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ მათი ურთიერთზემოქმედების დაშვება არ შეიძლება. სპინოზასათვის გეომეტრიული - განფენილს ნიშნავს, ხოლო სუბსტანციას მისთვის, განფენილობისაგან თვისობრივად განსხვავებული უამრავი ატრიბუტი აქვს. გარდა ამისა სუბსტანცია, როგორც თავის თავის მიზეზი და საფუძველი, პრინციპულად მიუწვდომელია გეომეტრიისათვის. სპინოზასთან სისტემის დალაგების მეთოდი, წინასწარ გულისხმობს დასალაგებელის დადგენის სამუშაოს ე.ი. მასთან მისვლის მეთოდს. საკუთარი ფილოსოფიის დალაგებას სპინოზა იწყებს უმაღლესი და უმნიშვნელოვანესი ცნების განსაზღვრებით, როგორიცაა - თავის თავის მიზეზი. იგი ისეთი რამაა, რომლის არსება, თავის არსებობას თავისში შეიცავს. სუბსტანცია და მისი მოდუსები ე.ი. მისი გამოვლინებანი, ანუ დროში და სივრცეში განფენილი საგნები, ასევე ჩვენი აზრები და წარმოდგენები ერთმანეთისაგან,

თეორიულად და ლოგიკურად, მხოლოდ შემეცნების პროცესში განსხვავდებიან. თავისთავად კი ისინი ერთიან მთელს შეადგენენ. შეიძლება ითქვას, რომ სუბსტანციასა და მოდუსს შორის მთელისა და ნაწილის მიმართებაა, ამასთანავე ზოგადისა და ერთეულისაც, რადგან ნებისმიერი სიმრავლის წარმომადგენელი თავისი გააზრებისათვის, სუბსტანციასთან მისი მიმართების გააზრებას მოითხოვს. სუბსტანციის სტრუქტურას გააჩნია მოდუსები, აზროვნებისათვის ასეთებია: გონება და ნება, ხოლო განფენილობისათვის: მოძრაობა და უძრაობა. სპინოზასათვის, შემეცნება თეორიული პრობლემის ანალიზს წარმოადგენს. სულის შემეცნების მიზანია, ადამიანის მიერ საკუთარი ფსიქიკის შინაარსის მოწესრიგება და სასურველი გზით წარმართვა ე.ი. ჩვენს სულში საუკეთესო წესრიგის დადგენა, ზნეობრივი მიზნებისადმი ლტოლვების დამორჩილებას და ამდენად, ადამიანის გარდაქმნას, მის გაუმჯობესებას ნიშნავს.

ფრანგი მატერიალისტები

XVIII საუკუნეში საფრანგეთში ჩამოყალიბდა ფრანგული მატერიალიზმი, რომლის ბრწყინვალე წარმომადგენლები არიან: ჰოლბახი, ლამეტრი და დენი დიდრო.

ფრანგული მატერიალიზმი არ ცნობს რელიგიას. ფრანგი მატერიალისტები იმდროინდელ საბუნებისმეტყველო მეცნიერთა მონაცემებს ემყარებოდნენ, თავიანთ შრომებში დასცინოდნენ რელიგიას და ეძებდნენ მისი წარმოშობის რეალურ მიზეზებს. მართალია, ფრანგი მატერიალისტების ათეიზმს ისტორიული და კლასობრივი შეზღუდულობის ბეჭედი ესვა, მაგრამ რელიგიისადმი მათმა კრიტიკამ უდიდესი როლი ითამაშა ათეიზმის ისტორიაში. ათეიზმი (ღმერთის გარეშე) ეს არის მსოფლმხედველობა, რომელიც უარყოფს ღმერთის, ღვთაების და სხვა ზებუნებრივი ძალების არსებობას. მატერიალისტური ათეიზმი არ ცნობს ზებუნებრივ მოვლენებს

და მათ ამსახველ ნაწერებსა თუ მონათხრობს, ამბებს მათ შესახებ უნდობლობას უცხადებს და უგულებელყოფს. შესაბამისად, იგი უარყოფს ნებისმიერი ღვთაებისა თუ ღმერთის არსებობას.

დენი დიდრო (1713-1784 წწ.)

დენი დიდრო გახლდათ ფრანგი განმანათლებელი და ფილოსოფოსი, რომელმაც წარმატებით დაამთავრა პარიზის უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტი და დაინტერესდა სამართლით. მისი ნაშრომები ერთდროულად ქრისტიანულ-ათეისტურ ხასიათს ატარებდა. დიდრო, მორალური პრინციპებისა და რელიგიის ორგანული კავშირების შესახებ არსებული თეზისების მწვავე კრიტიკოსია და უარყოფს კავშირს რელიგიასა და ზნეობას შორის. ზნეობრივ პრინციპებს ის ადამიანის ბუნებაში ეძებს და ასკეტიზმის წინააღმდეგ გამოდის. ამ პერიოდის ნაშრომებში, დიდრო დეისტურ მსოფლმხედველობას ემხრობა.

დიდროს მსოფლმხედველობა თავისი მოღვაწეობის პერიოდში კათოლიციზმიდან - დეიზმზე ინაცვლებდა, დეიზმიდან – ათეიზმზე და ბოლოს - ფილოსოფიურ მატერიალიზმზე. დიდროს აზრით, ქრისტიანობა მორალურ ზიანს აყენებს თავის მიმდევრებს და წარმოადგენს საფრთხეს მათთვის, ვინც მას ჯერ არ იცნობს. დიდროს სწამდა, რომ კაცობრიობის მორალური პრინციპების გაუმჯობესება პირდაპირ აისახება ცივილიზაციის პროგრესზე. ეყრდნობოდა რა, განმანათლებლობის მეცნიერულ მატერიალიზმს, მისი აზრით, განმანათლებლობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ადამიანს, როგორც ინდივიდს - უნიკალურ და ერთადერთ ქმნილებას. დიდრო აკრიტიკებდა ეკლესიას იმის გამო, რომ ის ყველასათვის აწესებდა თავის სტანდარტებს. მას სწამდა, რომ განათლებამ ახალგაზრდობაში ცნობისმოყვარეობა და ინტერესი უნდა გააღვიძოს და არ იყოს მხოლოდ უმოქმედო ძალა.

პოლ–ანრი ჰოლბახი (1723-1789 წწ.)

პოლ-ანრი ჰოლბახმა განათლება მიიღო საფრანგეთში. ის დაუმეგობრდა დიდროს და აქტიურად მონაწილეობდა ენციკლოპედიის შედგენაში. მან ჩამოაყალიბა მექანისტური მატერიალიზმი. მისი აზრით, მატერიაა ყოველივე ის, რაც არსებობს და მოქმედებს ადამიანის გრძნობის ორგანოებზე. მატერია ფიზიკური რეალობაა. ის შედგება უმცირესი ატომებისა და მოლეკულებისაგან. მატერია არასოდეს არ წარმოშობილა და არსებობს მუდმივად. ასევე ის არასოდეს არ შეიძლება მოისპოს. მატერია, ბუნება ყოველთვის არსებობს გარკვეული, კონკრეტული ფორმით. მატერია საერთოდ არის აბსტრაქცია. სინამდვილეში იგი არსებობს ერთეული საგნების სახით, რომლებსაც აქვთ საერთო თვისებები. ამის გამო, ბუნება ერთეული საგნების ჯამი კი არ არის, არამედ მთლიანი, ერთიანი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული ანუ ობიექტური რეალობა. მატერია და მოძრაობა ერთმანეთისაგან განუყოფელია. „არ არის მატერია მოძრაობის გარეშე და მოძრაობა მატერიის გარეშე“. ჰოლბახის აზრით, მოძრაობა ბუნებას გარედან კი არ ეძლევა პირველი ბიძგის სახით, არამედ ეს მისი შინაგანი ბუნებისათვის არის დამახასიათებელი, იგი მატერიის არსებობაშია. ის მოძრაობს საკუთარი ენერგიით. სხეული გადაადგილდება სივრცეში.

შემეცნების წყარო შეგრძნებებია. შეგრძნებები წარმოიშობა გრძნობადობისაგან, რომელიც მთელ მატერიას ახასიათებს. ის არის აქტიური გრძნობადობის ფორმა, რასაც იწვევს ობიექტური სამყაროს ზემოქმედება. მთელი ჩვენი ცოდნა წარმოიშობა შეგრძნებებისაგან. „შევიმეცნოთ რომელიმე საგანი, ნიშნავს შევიგრძნოთ ის“. ხოლო, შევიგრძნობთ ნიშნავს იმას, რომ განვიცადოთ მისი ზემოქმედება ე.ი. როგორც არ უნდა მოქმედებდეს ჩვენზე საგანი, ჩვენ მას შევიცნობთ მხოლოდ იმ ცვლილებებით, რომლებსაც ის ჩვენში იწვევს. შეგრძნებები არის საგნის სახე, ისევე როგორც წარმოდგენები. „ყოველი შეგრძნება იმ საგნის სახეა, რომელ საგანზეც არის დამოკიდებული შეგრძნებები და აქ მას შევიცნობთ“. ცოდნა არის ობიექტური

სამყაროს ასახვა. ცნობიერების აუცილებელი პირობა არის მეხსიერება, რომელზედაც თავის მხრივ, დამყარებულია წარმოდგენა.

ლამეტრი ჟიულიენ ოფრე დე (1709-1751 წწ.)

ლამეტრი XVIII საუკუნის ფრანგული მატერიალიზმის ღირსეული წარმომადგენელია. იგი ჯერ თეოლოგიას სწავლობდა, შემდეგ ფიზიკას და მათემატიკას. ერთი წლის მანძილზე პარიზში ყოფნის დროს, იგი გაიტაცა მედიცინამ. ის, ემყარებოდა რა, რენე დეკარტის - ფიზიკასა და ლოკის - სენსუალიზმს, სამყაროს განიხილავდა როგორც მგრძნობიარე მატერიალური სუბსტანციის შინაგანად აქტიურ, განფენილ გამოვლენას, რომლის ფორმებია - არაორგანული და ცხოველური სამყაროები (უკანასკნელს ადამიანიც მიეკუთვნება). აზროვნების პროცესი, რომელიც ადამიანს ახასიათებს და რომელიც რთული ორგანიზაციის შედეგია, ლამეტრს ესმოდა, როგორც შეგრძნებებისა და მეხსიერების საფუძველზე წარმოშობილი წარმოდგენების შედარება და კომბინირება. იგი მექანისტური იდეის მიმდევარია და ევოლუციონიზმის იდეებს უახლოვდება, ისტორიული განვითარების მთავარ მიზეზებად კი მიაჩნია, განათლება და გამოჩენილი პიროვნებების მოღვაწეობა. ლამეტრი გახლდათ განათლებული აბსოლუტიზმის მომხრე ათეისტი, რისთვისაც დევნას განიცდიდა, თუმცა ამასთანავე აუცილებლად მიაჩნდა, ხალხის მასებისათვის რელიგიური რწმენის შენარჩუნება. ლამეტრის მთავარი ნაშრომებია: „ადამიანი მანქანა“ და „ეპიკურეს სისტემა“. ნაშრომში „ადამიანი მანქანა“ მან გაილაშქრა სამღვდელოების წინააღმდეგ, რისთვისაც ეკლესიამ მისი სიკვდილით დასჯა მოითხოვა, მაგრამ პრუსიის მეფემ ლამეტრი თავისთან მიიწვია და ბერლინის აკადემიის წევრად დანიშნა, სადაც დარჩენილი სიცოცხლე გაატარა.

ემანუელ კანტი (1724-1804 წწ.)

ემანუელ კანტი დაიბადა 1724 წელს კენისბერგში (დღევანდელი კალინინგრადი). მან დაამთავრა კენისბერგის უნივერსიტეტი. იგი ამავე უნივერსიტეტის პროფესორი, ხოლო შემდგომ, რექტორიც გახდა. კითხულობდა ლექციებს ფილოსოფიაში, ლოგიკაში, ანთროპოლოგიაში, თეოლოგიაში, ეთიკასა და სამართალში. მისი ძირითადი შრომებია: „წმინდა გონების კრიტიკა“, „პრაქტიკული გონების კრიტიკა“ და „ზნეობრიობის მეტაფიზიკის საფუძვლები“: კანტის სამი ფუნდამენტური კრიტიკა აფუძნებს სამ ფილოსოფიურ მეცნიერებას: 1. შემეცნების თეორიას, როგორც მოძღვრებას თეორიულ მეცნიერებათა შესაძლებლობისა და საზღვრების შესახებ. 2. ეთიკას, ანუ მოძღვრებას ადამიანის, როგორც თავისუფალი ნების მქონე საზოგადოებრივი არსების ქცევის სავალდებულო წესების შესახებ და 3. ესთეტიკას, რომელმაც უნდა დააფუძნოს ადამიანზე, ხელოვნების ფენომენთა ზემოქმედების საყოველთაო და აუცილებელი პრინციპები.

კანტის შემეცნების თეორია.

კანტამდე, როგორც წესი, ფილოსოფოსები შემეცნების ჭეშმარიტების გარანტიას, გამოცდილებაში (ემპირიაში) და გონებაში ხედავდნენ ან მხოლოდ გონებაში. ასევე როგორც წესი, ითვლებოდა, რომ ჩვენი შემეცნების ზოგადი და აუცილებელი ფორმების (ცნებების, მსჯელობების, დასკვნებისა და სხვა) წყარო მხოლოდ გონებაა. იგი ადგენს კანონებს და ამავე დროს, როგორც მასალას, იყენებს ემპირიას. ჩვენი შემეცნების გრძნობადი მხარე, რომელიც ამ გამოცდილების ფარგლებში რჩება, მხოლოდ ფაქტიურ და შემთხვევით ვითარებებს ადგენს.

კანტი, შეეცადა დაესაბუთებინა, რომ ისეთი რაციონალური მეცნიერებისათვისაც კი, როგორიცაა მათემატიკა ან გეომეტრია, არაა საკმარისი მხოლოდ გონების საშუალებებით ოპერირება. ჭეშმარიტების დასადგენად, ამ მეცნიერებათა წარმომადგენლები იძულებულნი არიან დაემყარონ იმ ვითარებას, რასაც ჩვენი შემეცნების გრძნობადი მხარე იძლევა ანუ ჩვენი გრძნობადობის უნარს

ე.ი. ჩვენს მიერ რაიმე საგნის (მაგ. ხის, მზის, სამკუთხედის და სხვა) კონკრეტულ სინამდვილეში დანახვის უნარს. ეს არის კონკრეტულ სინამდვილეში, გამოცდილებაში, საგნის არსებობასთან ჩვენი მიმართება. კანტის აზრით, მას აქვს აუცილებელი მხარეც, ესენია: ნებისმიერი რეალური საგნის არსებობისათვის აუცილებელი ფორმები - დრო და სივრცე.

ყველაფერი, რაც გამოცდილებაში არსებობს ე.ი. რაც ჩვენი შემეცნების საგანი შეიძლება გახდეს, დროსა და სივრცეში უნდა მოექცეს. კანტი მათ, გრძნობადობის აპრიორულად აუცილებელ ფორმებს უწოდებს. გრძნობადობაში აპრიორულის დანახვა, კანტს თავის დიდ დამსახურებად მიაჩნია. ჩვენზე, რომ ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული საგანი ზემოქმედებას ახდენს (კანტი მას თავისთავად ნივთს უწოდებს), ამის შედეგია ჩვენი წარმოდგენა ამ ნივთის შესახებ. ჩვენი შემეცნების საგნები ანუ თავისთავადი ნივთის შესახებ ჩვენი წარმოდგენები, რომ არსებულად ჩავთვალოთ, აუცილებელია დრო და სივრცე. დრო და სივრცე ჩვენი აპრიორული უნარებია. დრო და სივრცე არაა საკმარისი, თუნდაც მხოლოდ გამოცდილების, მით უმეტეს, მასზე მეცნიერების შექმნისათვის. ურთიერთშორის გვერდით (სივრცეში) და ერთიმეორის შემდეგ (დროში) განლაგებული მასალა, რა აუცილებლობასაც არ უნდა ფლობდეს ის, ჯერ კიდევ არ არის გამოცდილება. დროსა და სივრცეში განლაგებული გრძნობადი მასალა, ისევე არაა კონკრეტული საგანი ან კონკრეტულ საგანთა ერთიანობა, როგორც მაგ.: გეომეტრიული სივრცე, ჯერ კიდევ არაა სამკუთხედი, ოთხკუთხედი და ა.შ. როგორც ერთეულთა უსასრულო მწკრივი არ არის რაიმე რიცხვი.

დროისა და სივრცის კატეგორიებს, კანტი ასევე ტრანსცედენტალურს უწოდებს. ტანსცენდენტალური იმგვარი აპრიორულია, რომელიც საერთო გამოცდილების საგნების აპრიორულ შემეცნებას უდევს საფუძვლად. ყოველი ტრანსცედენტალური აპრიორულია, მაგრამ არა პირიქით. ტრანსცენდენტალური იმგვარი აპრიორულია, რომელიც სხვა აპრიორთა შესაძლებლობას განაპირობებს.

კანტი, ტრანსცედენტალურისაგან განასხვავებს ტრანსცენდენტურს, რომელიც აღნიშნავს საერთოდ, გამოცდილებისაგან და ჩვენი აზროვნებისაგან დამოუკიდებლად არსებულს. აღნიშნული დამოუკიდებლობის გამო ტრანსცენდენტური ჩვენთვის შეუმეცნებადია, ასეთებია მაგ.: ღმერთი, სამყარო და თავისუფლება.

ყოველი ნორმალური ადამიანი, სულერთია განათლებული თუ გაუნათლებელი, დაკვირვებია იმ ვითარებას, რომ იგი ხშირად გრძნობს რაღაც იძულებას, რაღაც ვალდებულებას გააკეთოს ის, რაც ეწინააღმდეგება იმ დროს მის სურვილს, ან საერთოდ პირადი ბედნიერებისაკენ მის მიდრეკიდებას. მართალია, ადამიანი, ხშირად და შეიძლება ითქვას უმრავლეს შემთხვევაში, ვერ ახერხებს ამ ვალდებულების მიხედვით იმოქმედოს, მაგრამ მას რჩება იმის ცნობიერება, რომ არ გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა. იმას გრძნობს, რომ მის მიერ მიღებული თვითნებური გადაწყვეტილების თანახმად მოქმედება, სულაც არაა ნამდვილი თავისუფლება. კანტის აზრით, ადამიანი თავისუფალი მხოლოდ მაშინაა, როცა ამ ვალდებულების მიხედვით მოქმედებს. როცა ადამიანი სურვილებსა და მიდრეკილებებს ემორჩილება, ის არ შეიძლება თავისუფალი იყოს. ვალდებულების არსებობის უარყოფა შეუძლებელია. ზოგადად ყველა ადამიანმა იცის, რომ როცა იმას აკეთებს, რაც ადამიანში როგორც სასრულო გონიერ არსებაშია, ცხადია, მარტო ზნეობრივი შინაგანი იძულება არ მოქმედებს. ადამიანის გადაწყვეტილებებზე გავლენა რომ არ ჰქონდეს ვნებებს, ინსტიქტებს და პირად ემპირიულ ინტერესებს, მაშინ საჭიროც არ იქნებოდა ბრძოლა ზნეობრიობისათვის ე.ი. ისეთი მოქმედების შესაძლებლობის დასაბუთებისათვის, რომლებიც აუცილებელია რათა ადამიანი ზნეობრივი არსების სახელს ამართლებდეს. მისი განხორციელება მხოლოდ ჩვენს თავისუფალ გადაწყვეტილებას შეუძლია.

ესთეტიკა

ესთეტიკის განხილვისას კანტი ამბობს: იმას, რასაც ჩვენ მშვენიერს ვუწოდებთ, ჩვენში სიამოვნებას იწვევს, რადგან ჰარმონიაშია ჩვენს ესთეტიკურ გრძნობასთან. ესთეტიკური ჩვენ მოგვწონს, ჩვენი რაიმე სხვა ინტერესისა და ცნების გარეშე. პირველი - ამ ესთეტიკურს პრაქტიკულად აქცევდა, მეორე – თეორიულად. ესთეტიკურის ეს განსხვავებული ხასიათი, ყველაზე უკეთ, ჩვენს მიმართებაში, ჩანს ვიტრაჟებზე დახატული ყვავილის მიერ აღძრული სპეციფიკური სიამოვნების განცდაში. ამ განცდას, კანტი, თამაშის მდგომარეობას უწოდებს. ამ მდგომარეობის ყველა უნარი სრულ ჰარმონიაშია. გენიოსი, რომელიც მხოლოდ ხელოვნებაში არსებობს, კანტის აზრით, თავისუფლად ქმნის ახალ სინამდვილეს. მისი მოქმედების შედეგიც, აუცილებლობის სამეფოში თავისუფლების თავისებური განხორციელებაა. მას, ღვთის წყალობა შეიძლება ეწოდოს. განსხვავებით მეცნიერისაგან, გენიოსი არ შეიძლება დაიგეგმოს და გამოიზარდოს. შესაძლებელია აღზარდო ნიუტონი, მაგრამ გოეთე უნდა დაიბადოს. კანტის აზრით, ხელოვნება ადამიანის შინაგანი აქტივობის ყველაზე ღრმა ფენას ააშკარავებს. აქ არის ადამიანი ნამდვილად აქტიური. მხოლოდ აქ არ ჰყოფს ადამიანი სინამდვილეს ფენომენებად.

ეთიკა

ადამიანი, მხოლოდ საზოგადოებაში არსებობს და მხოლოდ მასში გაიგება. საზოგადოების, ისევე როგორც, ხელოვნების გასაგებად აუცილებელია, მათი არსებითი მიზნის გაგება. კანტისათვის, მთავარი იყო ტელეოლოგიის ასპექტით გაეგო ყოველი ცოცხალი: ბუნებაც და საზოგადოებაც. მისთვის ბუნების განვითარების საბოლოო მიზანი ადამიანია, ხელოვნების იდეალიც ადამიანის სახეა. ადამიანი მიზანია, როგორც მორალური ანუ თავისუფალი არსება. მისი საკუთარი მიზანი შეიძლება იყოს მხოლოდ საკუთარი არსების განხორციელება ე.ი. თავისუფლების უზრუნველყოფა. რამდენადაც ეს, მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი, საზოგადოების განვითარების გაგებას და სასურველი წყობის

ჩამოყალიბებას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ეს განვითარება მაშინაა, თუ არსებობს პროგრესი თავისუფლების განხორციელებაში.

კანტი, არც რომელიმე რეალურ სახელმწიფოს აიდეალებს და არც ადამიანის ბუნებას. ეს მოძრაობა შესაძლებლობას იძლევა, პიროვნებაში არსებული დაპირისპირებული საწყისები პროგრესად იქნას მიჩნეული. საზოგადოებაში ანტაგონიზმის სახით პიროვნების გამოვლენა, მარადიული მოვლენაა. მას, როგორც მარადიული განვითარების აუცილებლობას, მაშინ ექნება ადგილი, როცა კაცობრიობა მიაღწევს საბოლოო მიზანს – „საყოველთაო“ სამოქალაქო საზოგადოებას.

საუკეთესო სახელმწიფო წყობილებად, კანტი რესპუბლიკას მიიჩნევს. მაგრამ ამგვარი რამ ერთ სახელმწიფოში ვერ განხორციელდება, რადგან სახელმწიფოები პიროვნებებივით უპირისპირდებიან ერთმანეთს. ამიტომ, მიზნისათვის აუცილებელია სახელმწიფოთა კავშირი (და არა ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება), სადაც შენარჩუნებული იქნება ნაციონალური ენები და გარანტირებული იქნება რწმენის თავისუფლება. ამგვარად წარმოუდგენია კანტს მარადიული მშვიდობა, როგორც მარადიული დაპირისპირება. მორალსა და პოლიტიკას შორის, მუდამ იქნება ფაქტიური წინააღმდეგობა, მაგრამ არა შეურიგებელი ბრძოლა, რადგან ორივეს საერთო მიზანი აქვს. კანტი მოითხოვს ყველას ღირსების აღიარებას, ვინც კი, ღვთის ხატად და მსგავსად შეიძლება ჩაითვალოს. ეს შეიძლება იყოს არასრულწლოვანი ავადმყოფი ან ხანდაზმული, რომელიც არ არის პასუხისმგებელი თავისი ქმედებისათვის. მისთვის ყველა პიროვნება ადამიანია, მაგრამ ყველა ადამიანი არ არის პიროვნება. იგი ადამიანის ღირსებას იცავს. საწინააღმდეგო შემთხვევაში კი, როგორც სამართალში ასევე ზოგადად მრავალფეროვან სოციალურ ცხოვრებაშიც, სავალალო შედეგებამდე შეიძლება მივიდეთ.

გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი (1770-1831 წწ.)

ჰეგელი – გერმანული კლასიკური ფილოსოფიის წარმომადგენელია, მისი მთავარი ნაშრომებია: „გონის ფენომენოლოგია“, „ბუნების ფილოსოფია“ და „ლოგიკა“.

ჰეგელისათვის აზროვნება, გონება, მხოლოდ სუბიექტის უნარი კი არ არის, არამედ სამყაროს საფუძველში მდებარე აბსოლუტია - ღმერთია.

ჰეგელისათვის გონება არ არის ისე უძლური, რომ მხოლოდ არსის სფეროთი იფარგლებოდეს, ის ღვთაებაა, აბსოლუტური ძლიერებაა და მაშასადამე სინამდვილის სფეროცაა. ჰეგელმა შექმნა დიალექტიკური მეთოდი, რომელიც მისი აზრით, ფილოსოფიური დასაბუთების ერთადერთი საშუალებაა. ეს მეთოდი მასალად იყენებს ცნებებს. რადგან სამყაროს წვდომის აზრი ცნებაა, მისი წვდომის იარაღიც ცნება უნდა იყოს. ფილოსოფია, ჰეგელის აზრით, სწორედ ცნებათა სისტემაა, რომელიც ცნებათა განვითარების საფუძველზე აღგვიწერს გონების, იდეის მიერ საკუთარი თავის რეალიზაციისა და შემეცნების პროცესს. ამ განვითარების ამოსავალია უმარტივესი, უღარიბესი, ყველაზე აბსტრაქტული ცნება. დიალექტიკის თანახმად, სისტემა ამ თავდაპირველი ცნების განვითარებაა, მისი უშუალობის, დაუსაბუთებლობის, არასრულყოფილების მოხსნაა. ცნებათა განვითარება განპირობებულია იმით, რომ ყოველი მათგანი უარყოფის მომენტის შემცველია. აზრი, პირველი - უმარტივესი ცნებიდან, აუცილებლობით გადადის საპირისპირო ცნებაზე, თეზისიდან – ანტითეზისზე. ეს დაპირისპირება ცნებებს შორის არ სპობს მათ: აღმოჩნდება, რომ ურთიერთსაპირისპირო ცნებები არ უარყოფენ, არამედ მოითხოვენ კიდეც ერთმანეთს, როგორც მესამე - უფრო მაღალი ცნების მომენტები. ეს მესამე საფეხური უარყოფის უარყოფაა, თეზისისა და ანტითეზისურის გაერთიანებაა სინთეზის საფუძველზე. მისით მთავრდება ცნების მოძრაობის ერთი ციკლი და დასაბამი ეძლევა ახალ ციკლს. ახალი ცნებები დიალექტიკურად ხსნიან ძველებს ე.ი. უარყოფენ მათ პრეტენზიას უნივერსალურობაზე, ამავე დროს, ინახავენ და ამაღლებენ მათ – მომენტის სახით შეჰყავთ ისინი საკუთარ შინაარსში. აზრის

მოძრაობა ფილოსოფიურ სისტემაში, საწყისი ცნების გამდიდრებაა, აბსტრაქტულიდან - კონკრეტულისაკენ სვლაა, საწყისიდან მოშორებაა, მაგრამ ის, როგორც საფუძვლისაკენ სვლა - საწყისის დასაბუთებაა და ამ აზრით, საწყისთან უკან დაბრუნებაცაა. საწყისი ცნება, სისტემის ბოლოს წარმოდგება როგორც გამართლებული, იმ აუცილებელი კავშირებით, რომლებიც მყარდება მასსა და ყველა ცნებას შორის. ფილოსოფიური სისტემა, ჰეგელის თვალსაზრისით არის წრე, რომელშიც მოძრაობა უკან დაბრუნებაა, ხოლო საწყისი ამავე დროს დასასრულიცაა.

გონის ფენომენოლოგიაში ჰეგელი, გვიხასიათებს მიმართებებს: სუბიექტსა და ობიექტს, ცნობიერებასა და მის საგანს შორის. თავდაპირველად, საგანი ევლინება აზრს როგორც უცხო, მისგან არსებითად განსხვავებული რამ. ცნობიერების დიალექტიკური განვითარების პროცესი, ამ გაუცხოების მოხსნაა. ეს გზა იწყება ცნობიერების უმარტივესი ფორმით – „გრძნობადი უეჭველობით, რომლის შინაგანი წინააღმდეგობების გამოაშკარავებით, ცნობიერება გადადის სულ უფრო რთულ ფორმებზე“. ინდივიდუალური ცნობიერების განვითარების ეტაპების ანალიზის შემდეგ, ჰეგელი ახასიათებს კაცობრიობის ისტორიის ძირითად ეტაპებს და აბსოლუტური გონის წინსვლის ძირითად საფეხურებს, ავლენს იმ ღრმა კავშირს, რომელიც არსებობს ინდივიდუალურ ცნობიერებასა და კაცობრიობის ისტორიას შორის. ინდივიდი თავისი განვითარების პროცესში მოკლედ გადის იმ გზას, რომელიც კაცობრიობამ გაიარა.

აზროვნებას, მისი წმინდა სახით - ლოგიკა სწავლობს. ლოგიკას ეკისრება ონტოლოგიის ფუნქციები. მისი ნაშრომი „ლოგიკა“ სამი ნაწილისაგან შედგება, მოძღვრება - არსზე, არსებაზე და ცნებაზე. ჰეგელი შეეცადა კატეგორიათა გადასვლები ლოგიკის სფეროში დაეკავშირებინა ფილოსოფიური აზრის ისტორიის განვითარების პროცესთან. ლოგიკის კატეგორიები თავისებურად გამოხატავენ ისტორიულად არსებული ფილოსოფიური სისტემის ძირითად პრინციპებს. ლოგიკა ჰეგელის თანახმად, ფილოსოფიური სისტემის პირველი ნაწილია. ლოგიკა შეიძლება

წარმოვადგინოთ როგორც გეგმა, პროექტი, რომელიც ხორციელდება ბუნებისა და გონის სფეროებში.

ჰეგელის ფილოსოფიური სისტემის მეორე ნაწილი - „ბუნების ფილოსოფია“, იკვლევს გონის რეალიზაციას არაორგანული და ორგანული ბუნების სფეროში. ბუნება ჰეგელისათვის ღვთის არასრულყოფილი, არაადეკვატური გამოვლენაა. გონება, ღმერთი თავისთავად არ არის ისეთი, როგორც ჩანს ბუნებაში: ღმერთი თავისუფლებაა, ბუნებაში კი აუცილებლობასა და შემთხვევითობას ვხედავთ. ბუნება, ჰეგელის აზრით, იდეის „სხვადყოფნაა“, „გაუცხოებაა“. ბუნების შინაგანი და დაფარული არსება - იდეაა. ბუნებაში ვლინდება იდეის მისწრაფება თავისი თავის შემეცნებისაკენ, ამიტომ ბუნება ჰეგელის მიერ გაგებულია როგორც გარკვეული ტელეოლოგიური სისტემა, რომლის მიზანია გონი. ბუნების სფეროში იდეა გადის სამ ძირითად საფეხურს (მექანიკის, ფიზიკისა და ორგანიკის) და მაღლდება გონის საფეხურამდე. ამ წერტილიდან იწყება თავისთავად ახალი სამყარო - გონის სამყარო. სწორედ, ამ გონის სამყაროს იკვლევს ჰეგელის ფილოსოფიური სისტემის მესამე ნაწილი. თუ „ბუნების ფილოსოფია“ იდეის „სხვადყოფნას“ გაუცხოებას იკვლევდა, „გონის ფილოსოფია“ სწავლობს იმას, თუ როგორ უბრუნდება თავის თავს იდეა, როგორ იხსნება თანდათან გაუცხოების პროცესი. რადგან იდეის არსება თავისუფლებაა, იდეის დაბრუნება თავის თავთან ჰეგელის მიერ გაგებულია, როგორც თავისუფლების რეალიზაციის პროცესი. ეს რთული პროცესი, ჰეგელის აზრით მაშინაა, როდესაც ასპარეზზე გონით დაჯილდოვებული ადამიანი გამოდის. თავისუფლება ხორცს ისხამს ადამიანში და ადამიანის მოქმედებაში. სწორედ ამიტომ, ადამიანი „გონის ფილოსოფიის“ ცენტრალური ფიგურაა. „გონის ფილოსოფიის“ პირველი ნაწილი - „სუბიექტი გონი“, თავისუფლების თანდათანობით რეალიზაციას ადამიანის „სუბიექტურობის“ ფარგლებში აღწევს. ის გვიჩვენებს, თუ როგორ აღწევს ადამიანი თავის ბუნებრივი საწყისების ბატონობას და ხდება თავისი თავის უფალი. „გონის ფილოსოფიის“ ეს მონაკვეთი, რომელიც შეიცავს სამ ნაწილს: „ანთროპოლოგიას“, „ფენომენოლოგიას“ და „ფსიქოლოგიას“ გვაძლევს უღრმეს

ცოდნას ადამიანის არსებაზე, უნარზე და სტრუქტურაზე. „გონის ფილოსოფიის“ მეორე ნაწილი - „ობიექტური გონი“ ეხება, ადამიანის თავისუფალი ნების მოქმედებით შექმნილ სამყაროს, „გასაგნებულ“ გონს. ობიექტურ გონს არსებობის სრულიად თავისებური წესი აქვს, ის არც ფსიქიკურია და არც ფიზიკური. ეს სფერო ადამიანის მოღვაწეობის შედეგია, მაგრამ სინამდვილის ფორმის მქონეა და ინდივიდს უპირისპირდება როგორც საწვდომი, შესამეცნებელი. ობიექტური გონის ძირითადი სახეებია: სამართალი, მორალი და ზნეობა.

ობიექტური გონის განვითარება დროში, წარმოადგენს მსოფლიო ისტორიას, რომელიც ჰეგელს ესახება როგორც პროგრესი თავისუფლების გაცნობიერების გზაზე.

„გონის ფილოსოფიის“ ბოლო ნაწილი - „აბსოლუტური გონი“ აღწერს, იმ საფეხურებს, რომელიც მთავრდება თავისუფლების რეალიზაციით, იდეის დაბრუნებით თავის თავთან ე.ი. ღვთის თვითშემეცნებისა და თვითგანხორციელების პროცესს. ეს საფეხურებია ხელოვნება, რელიგია და ფილოსოფია. ფილოსოფიაა სწორედ ღვთაების შემეცნების ყველაზე ადეკვატური ფორმა. ამ სფეროში პოულობს ღმერთი თავის თავს, აქ იქცევა აზროვნება თავისივე საგნად. შესაბამისად, ადამიანის გონის განვითარება სრულდება ფილოსოფიურ საფეხურზე.

ჰეგელის ფილოსოფიამ ღრმა კვალი დატოვა ფილოსოფიური აზროვნების განვითარების საქმეში. მისი დამსახურებაა გონის აბოლუტიზმის აღიარება და ფილოსოფიისათვის, როგორც შემეცნების სფეროსათვის, საპატიო ადგილის მინიჭება სამყაროში.

კარლ მარქსი (1818-1883 წწ.)

ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, საზოგადო მოღვაწე და რევოლუციონერი კარლ მარქსი მე-19 საუკუნის ყველაზე გავლენიანი მოაზროვნეა. იგი დაიბადა გერმანიაში. 17 წლის ასაკში ჩაირიცხა ბონის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. მისი

შრომებია: „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, „პოლიტიკური ეკონომიკა“ და „კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“, რომელიც ენგელსთან ერთად გამოსცა.

მისი ნაშრომი „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ იწყება ფრაზით: აჩრდილი დადის ევროპაში – აჩრდილი კომუნიზმისა. სწორედ, ამ ნაშრომში გადმოგვცემს მარქსი საზოგადოების უთანასწორობასა და კლასთა დაპირისპირებას. მაგალითისთვის, იგი იხილავს ძველი რომის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ-ეკონომიურ ფორმაციებს, რომელიც განვლო კაცობრიობამ ჩამოყალიბებიდან - იმ ეპოქამდე, რომელ პერიოდშიაც მას მოუწია მოღვაწეობა ანუ ბურჟუაზიულ საზოგადოების ფორმაციას.

თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებას, რომელიც დაღუპული ფეოდალური საზოგადოების წიაღიდან გამოვიდა, როდი მოუსპია კლასობრივი წინააღმდეგობანი. მან ძველის ადგილას, მხოლოდ ახალი კლასები, ჩაგვრის ახალი პირობები და ბრძოლის ახალი ფორმები შექმნა. ბურჟუაზიის ეპოქა, იმით განსხვავდება, რომ მან გაამარტივა კლასობრივი წინააღმდეგობანი, მთელი საზოგადოება სულ უფრო და უფრო გაყო ორ მტრულ ბანაკად, ორ დიდ ერთიმეორისადმი უშუალოდ დაპირისპირებულ კლასად – ბურჟუაზიად და პროლეტარიატად. მრეწველობის მანამდე არსებულ ფეოდალურ ან ამქრულ წარმოების წესს, უკვე აღარ შეეძლო დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა, რომელიც ახალ ბაზრებთან ერთად იზრდებოდა. მისი ადგილი მანუფაქტურამ დაიჭირა. შრომის დანაწილება სხვადასხვა კორპორაციებს შორის გაქრა, მან ადგილი დაუთმო შრომის დანაწილებას თვით ცალკეულ სახელოსნოებში. ბაზრები განუწყვეტლივ ფართოვდებოდნენ, მოთხოვნა სულ იზრდებოდა, მანუფაქტურაც უკვე აღარ კმაროდა. მაშინ ორთქლმა და მანქანამ მოახდინეს სამრეწველო რევოლუცია სამრეწველო წარმოებაში. მანუფაქტურის ადგილი დაიჭირა თანამედროვე მსხვილმა მრეწველობამ. შემდგომში, მსხვილმა მრეწველობამ შექმნა მსოფლიო ბაზარი, რომელსაც ნიადაგი მოუმზადა ამერიკის აღმოჩენამ. მსოფლიო ბაზარმა უაღრესად

განავითარა ვაჭრობა, ნაოსნობა და სახმელეთო მიმოსვლის საშუალებები. ამან, თავის მხრივ, გავლენა იქონია მრეწველობის გაფართოებაზე. რამდენადაც იზრდებოდა მრეწველობა, ვაჭრობა, ნაოსნობა, რკინიგზები, იმდენად ვითარდებოდა ბურჟუაზიაც და იგი ადიდებდა თავის კაპიტალს.

ბურჟუაზიას არ შეუძლია არსებობა თუ არ გამოიწვია განუწყვეტელი რევოლუციური გარდაქმნა წარმოებითი სამუშაო იარაღებისა. მაშასადამე, იქმნება წარმოებითი ურთიერთობა, რომელიც საწინდარია – მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობისა. განუწყვეტელ გადატრიალებას წარმოებაში, თან მოყვება განუწყვეტელი რყევა ყველა საზოგადოებრივი ურთიერობისა და სწორედ, ეს მუდმივი მერყეობა და მოძრაობა განასხვავებს ბურჟუაზიულ ეპოქას ყველა წინანდელი ეპოქისაგან. მოთხოვნილება, რომ მეტი პროდუქტი გაასაღოს, აიძულებს ბურჟუაზიას მთელი დედამიწის ზურგს მოედოს. ბურჟუაზია წარმოების იარაღის სწრაფი გაუმჯობესებით და უსასრულოდ გაადვილებული მიმოსვლის შემწეობით, ცივილიზაციისაკენ მიაქანებს ყველა ერს. ბურჟუაზია სულ უფრო და უფრო სპობს წარმოების საშუალებების, ქონებისა და მოსახლეობის დაქუცმაცებას. მან შეამჭიდროვა მოსახლეობა, მოახდინა წარმოების საშუალებათა ცენტრალიზაცია და საკუთრების კონცენტრაცია მცირეოდენთა ხელში.

თავისი კლასობრივი ბატონობის ერთ საუკუნეზე ნაკლები პერიოდის განმავლობაში, ბურჟუაზიამ უფრო მრავალრიცხოვანი და უფრო უზარმაზარი საწარმოო ძალები შექმნა, ვიდრე ერთად აღებულმა ყველა წარსულმა საზოგადოებამ. საშუალო წოდების დაბალი ფენები: წვრილი მრეწველები, ვაჭრები, ხელოსნები, გლეხები – ყველა ეს კლასი პროლეტარიატის რიგებში ებმებიან. ნაწილობრივ იმის გამო, რომ მათი პატარა კაპიტალი საკმაო არ არის მსხვილი სამრეწველო წარმოებისათვის და იგი ვერ უძლებს უფრო მსხვილი კაპიტალისტების კონკურენციას, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ მათ ხელმარჯვეობას ფასი ეკარგება წარმოების ახალი წესების მეოხებით. ასე გროვდება პროლეტარიატი მოსახლეობის ყველა კლასიდან.

პროლეტარიატი გადის განვითარების სხვადასხვა საფეხურს. პროლეტარიატის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, პროლეტარიატის არსებობის დღიდანვე იწყება. თავდაპირველად, ბრძოლას ეწევიან ცალკეული მუშები; მერე - ერთი ფაბრიკის მუშები; შემდეგ - შრომის ერთი დარგის მუშები ერთ განსაზღვრულ ადგილას, ცალკეული ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც მათ უშუალოდ უწევს ექსპლოატაციას. ისინი შეტევას აწარმოებენ არა მარტო ბურჟუაზიულ წარმოებით ურთიერთობათა წინააღმდეგ, არამედ თვით წარმოების იარაღების წინააღმდეგაც. ისინი სპობენ უცხოურ საქონელს, რომელიც მათ კონკურენციას უწევს, ამტვრევენ მანქანებს, ცეცხლს უკიდებენ ფაბრიკებს. ამ საფეხურზე მუშები წარმოადგენენ მთელ ქვეყანაში გაფანტულ და კონკურენციის გამო დაქუცმაცებულ მასას. მაგრამ თანდათან, მრეწველობის განვითარებასთან ერთად, არა მარტო რიცხობრივად მატულობს პროლეტარიატი, არამედ იგი უფრო დიდ მასად ერთიანდება, მისი ძალა იზრდება და ამ ძალას იგი უფრო და უფრო გრძნობს. მზარდი კონკურენცია ბურჟუებს შორის და სავაჭრო კრიზისები, ბურჟუებს აიძულებთ გასცენ დაბალი ხელფასები, რაც მუშებს უბიძგებს აჯანყებისაკენ. ხდება შეჯახებანი ცალკეულ მუშასა და ბურჟუაზიას შორის, რომელიც ორი ურთიერთსაპირისპირო კლასის წინააღმდეგობრივ ხასიათში აისახება. მუშები დროდადრო იმარჯვებენ, მაგრამ ეს გამარჯვებები მხოლოდ წარმავალია. მათი ბრძოლის ნამდვილ შედეგს წარმოადგენს არა უშუალო წარმატება, არამედ მუშების გაერთიანება, რომელიც სულ უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდება. ამას ხელს უწყობს სულ უფრო და უფრო მზარდი მიმოსვლის საშუალებანი, რომელთაც მსხვილი მრეწველობა ქმნის და რომელნიც ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა ადგილის მუშებს. მხოლოდ ეს დაკაშირებაა საჭირო, რომ მრავალი ადგილობრივი ბრძოლა, რომელსაც ყველგან ერთნაირი ხასიათი აქვს, ცენტრალიზებულ იქნას ერთ ეროვნულ, ერთ კლასობრივ ბრძოლად. ხოლო ყოველი კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკური ბრძოლაა.

პროლეტარების ამ ორგანიზაციის - კლასად და ამით - პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბება ძალზედ მნიშვნელოვანია შემდგომი ბრძოლისათვის, რადგან თვით

მუშებს შორის არ არსებობს ერთიანობა და ხშირად ადგილი აქვს განხეთქილებას. მაგრამ იგი ისევ აღმოცენდება ხოლმე და ყოველთვის უფრო ძლიერად. მუშათა კლასი სარგებლობს ბურჟუაზიის შიგნით არსებული განხეთქილებით, რადგან კონკურენციის გამო ისინიც უპირისპირდებიან ერთმანეთს. ამ დროს, მუშები აიძულებენ ბურჟუაზიას, რომ კანონმდებლობის წესით იქნას აღიარებული მუშათა ცალკეული ინტერესები. ასე წარმოიშვა, მაგალითად, 8 საათიანი სამუშაო დღე ინგლისში.

ყველა იმ კლასიდან, რომელიც ამჟამად ბურჟუაზიას უპირსიპირდება, მხოლოდ პროლეტარიატია ნამდვილად რევოლუციური კლასი. პროლეტარული მოძრაობა არის თავისთავადი მოძრაობა დიდძალი უმრავლეობისა - დიდძალი უმრავლესობის სასარგებლოდ.

ბურჟუაზიული კლასის არსებობისა და ბატონობის ძირითად პირობას წარმოადგენს სიმდიდრის დაგროვება კერძო პირების ხელში, კაპიტალის შექმნა და გადიდება. კაპიტალის არსებობის აუცილებელ პირობას შეადგენს მუშების კონკურენცია ერთმანეთს შორის. მრეწველობის პროგრესი (რისი ძალაუნებური მატარებელიც არის ბურჟუაზია და რომელიც უძლურია წინააღმდეგობა გაუწიოს ამ პროგრესს), მუშების განცალკევების ნაცვლად (რასაც მათი კონკურენცია იწვევს), ქმნის მუშების რევოლუციურ გაერთიანებას ასოციაციის საშუალებით. მაშასადამე, მსხვილი მრეწველობის განვითარებასთან ერთად, ბურჟუაზიას ფეხქვეშ ეცლება თვით ის საფუძველი, რომელზეც იგი პროდუქტებს აწარმოებს და ისაკუთრებს. იგი უწინარეს ყოვლისა, თავის საკუთარ მესაფლავეებს წარმოშობს, ბურჟუაზიის დამხობა და პროლეტარიატის გამარჯვება თანაბრად გარდაუვალია.

დიდია მარქსის დამსახურება, მან არა მარტო განავითარა ფილოსოფიის სოციალური მიმართულება, არამედ მასვე ეკუთვნის პოლიტ-ეკონომიკაში ზედმეტი ღირებულების თეორიის აღმოჩენა. სწორედ ამ თეორიის აღმოჩენის გამო, მარქსი ითვლება უდიდეს ეკონომისტად მსოფლიო მასშტაბით.

ფრიდრიხ ენგელსი (1820-1895 წწ.)

ფრიდრიხ ენგელსი გერმანელი პოლიტიკოსი, მეწარმე, ფილოსოფოსი და სამხედრო ისტორიკოსი გახლდათ. იგი კარლ მარქსთან ერთად იყო მარქსიზმის ფუძემდებელი. მისი მთავარი შრომებია: „ბუნების დიალექტიკა“, „ანტი დიურინგი“, „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“. ეს უკანასკნელი ფრიდრიხ ენგელსის შრომაა და აღიარებულია პირველ ფუნდამენტურ გამოკვლევად, რომელშიც ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზი გავრცელებულია ოჯახის სფეროზეც. ნაშრომში ოჯახი გაგებულია, როგორც ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვანი რგოლი და შესაბამისად, პატრიარქატი და ქალთა ჩაგვრაც პოლიტ-ეკონომიკის ჭრილშია გაანალიზებული.

ენგელსი ანთროპოლოგ ლუის მორგანზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ კერძო საკუთრების წარმოშობამ აუცილებლობით განაპირობა საზოგადოებრივი მმართველობის ახალ წესზე გადასვლა. უკლასო საზოგადოებაში მმართველობა საზოგადოებრივი იყო და არსებითად, თვითმმართველობას წარმოადგენდა. ადამიანები ერთად შრომობდნენ და სადავო საკითხებსაც ერთად - „წარმოებისაგან მოუწყვეტლად“ „შეთანხმებულად“ წყვეტდნენ, დაუწერელი კანონების მიხედვით. ახლა კი, ისინი „ერთად“ აღარ არიან. მათი ცხოვრების წესი კონფრონტაციაა. გაბატონებული კლასი ახალ წესებს აყალიბებს და მათ დასაცავად ქმნის საგანგებო მაიძულებელ დაწესებულებას - სახელმწიფოს. მიმოიხილავს სექსუალური და რეპროდუქციული პრაქტიკების ისტორიულ მრავალფეროვნებას და ავითარებს ისტორიულ ჰეტეროსექსუალ წყვილზე დაფუძნებული ოჯახის წარმოშობა-განვითარების საკითხს, რაც განაპირობა კერძო საკუთრებისა და მონობის აღმოცენებამ. კაპიტალისტურ საზოგადოებაში არსებულ ნუკლეარულ ოჯახს, ენგელსი ხედავს, როგორც უფრო ფართოსოციალურ სტრუქტურუს ანარეკლს, სადაც ქმარს - ბურჟუას როლი აქვს, ხოლო ცოლს - პროლეტარისა. მისი მოსაზრებით, ქალებმა უარი უნდა თქვან კერძო სივრცით შემოფარგვლაზე და საჯარო,

კოლექტიური პასუხისმგებლობა უნდა იკისრონ. ენგელსის და ზოგადად, მარქსისტული თეორიის მიხედვით, ქალები კაპიტალისტურ სისტემაში იმიტომ იჩაგრებიან, რომ შრომა დანაწილებულია სქესის მიხედვით, რაც თავის მხრივ, კაცების ინტერესებს ემსახურება. ქალები პასუხისმგებელნი არიან ბავშვების აღზრდაზე, სადილის მომზადებაზე, საოჯახო საქმეებსა და ავადმყოფთა მოვლაზე. მაშინ, როდესაც კაცი ანაზღაურებად სამსახურშია, თავისუფალია, რათა თავი მიუძღვნას საკუთარ საქმიანობას.

მარქსი და ენგელსი თავიდანვე გაემიჯნენ გერმანელი იდეალისტების პოლიტიკურ ფილოსოფიას. არავითარი ზნეობრივი საწყისი სახელმწიფოში არ დევს. ტიპიური „იდეოლოგიური ილუზიაა“ „ხელშეკრულების თეორიაც“, რომლის თანახმადაც, თითქოს სახელმწიფო მოიფიქრეს „საყოველთაო ინტერესების“ დასაცავად. უბრალოდ, გაბატონებულ კლასს თავისი ინტერესები „საყოველთაო ინტერესებად“ ეჩვენება და თუ ამ „საყოველთაოში“ კარგად ჩავიხედავთ, „კერძოს“ დავინახავთ. შესაბამისად, სახელმწიფოს „ზნეობრივი ფუნქცია“, რის შესახებაც გერმანელი იდეალისტები ლაპარაკობდნენ, თავის თავში სასტიკ კლასობრივ დათრგუნვის მალავს.

კერძო საკუთრება ისტორიულად მონათმფლობელობის სახით წარმოიშვა. მონა გათანაბრებულია ნივთთან, კერძოდ, “წარმოების იარაღთან“, ის „მოლაპარაკე ნივთია“ .

ცხოვრება კი წინ მიდის, პირველ რიგში, რა თქმა უნდა წარმოების მხრივ. ამის ყველაზე მკაფიო მაჩვენებლად, მარქსსა და ენგელსს მიაჩნდათ, ერთის მხრივ - იარაღების სრულყოფა, ხოლო მეორეს მხრივ - შრომის დანაწილება. მრავლდება შრომის სახეობანი. ხდება ადამიანთა გაწაფვა და დახელოვნება რაღაც ერთ სახეობაში, ხელოვნებაში. შრომის სრულიად ახლებური, ისტორიულად უმაგალითო დანაწილება გახლდათ, ფიზიკურ და გონებრივ შრომათა განსხვავება და დაპირისპირება.

მონობამ წარმოშვა მოცალეობა, რამაც შესაძლებელი გახადა ღრმა დაფიქრება და უანგარო, თავისუფალი წმინდა აზროვნება. მარქსი და ენგელსი, სწორედ ამ წმინდა აზროვნებაში ხედავდნენ კაცობრიობის ხსნას.

ეგზისტენციალიზმი

ეგზისტენციალიზმი – ფილოსოფიური და ლიტერატურული მიმდინარეობაა. ეგზისტენციალიზმი სათავეს იღებს მე-19 საუკუნის გვიანდელი პერიოდისა და მე-20 საუკუნის ფილოსოფოსთა ნაშრომებიდან. მიუხედავად ძირეული დოგმატური განსხვავებებისა, ეგზისტენციალიზმის მიმდინარეობები იზიარებენ საერთო შეხედულებას იმასთან დაკავშირებით, რომ ფილოსოფიური აზროვნების საწყისი ადამიანიდან მომდინარეობს. ადამიანი როგორც სუბიექტი, ინდივიდუალური აზროვნების, ქმედების, გრძნობისა და არსებობის ეგზისტენციალური ფილოსოფიის ღერძს წარმოადგენს. ეგზისტენციალიზმში ინდივიდის საწყისი წერტილი უკავშირდება „ეგზისტენციალურ მდგომარეობას“, როდესაც ადამიანი კარგავს ორიენტირების უნარს სამყაროში, სადაც ყველაფერი უაზრო და აბსურდულია. გამოჩენილი ეგზისტენციალისტები იყვნენ: სორენ კირკეგორი, კამეუ, სარტრი და ნიცშე.

სორენ კირკეგორი (1813-1855 წწ.)

სორენ კირკეგორი მიჩნეულია პირველ ეგზისტენციალისტ ფილოსოფოსად, თუმცა მას არასოდეს გამოუყენებია ტერმინი ეგზისტენციალიზმი. კირკეგორის მიხედვით, სინამდვილე უნდა განიხილოს სუბიექტურად ე.ი. მხოლოდ იმგვარად,

როგორც ის გადაწყდა მის ინდივიდუალურ არსებობაში, ემოციურ ცხოვრებაში. შეუზღუდავი სუბიექტურობა, ადამიანური არსებობის ძირითადი განსაზღვრებაა, მაშინ როცა ობიექტური აზროვნება, გულგრილია მოაზროვნე სუბიექტისა და მისი ექსისტენციისადმი, წერდა კირკეგორი. ,,სუბიექტური მოაზროვნე..... არსებითად არის დაინტერესებული თავისი აზროვნებით: ეს უკანასკნელი მასში არსებობს".

კირკეგორი მიიჩნევდა, რომ ყოველი ინდივიდი (არა საზოგადოება და რელიგია) ვალდებულია, გარკვეული მნიშვნელობა მიანიჭოს საკუთარ ცხოვრებას და ის მტკიცედ და ჭეშმარიტად განვლოს. სამყაროს შემეცნებისაკენ მიმართული გონება, ააშენებს მეცნიერულ სისტემას, იმორჩილებს ყველაფერს რაც მის წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ ეს გონება ვერ გაიგებს მეორე ადამიანს და საკუთარ თავს, ეს ცოდნის სფეროს სცილდება. სხვაგვარად შეუძლებელია ახსნა მოეძებნოს რაციონალური ცოდნის მწვერვალზე მყოფი ადამიანური გონების მოქმედებებს, რომელიც XX საუკუნეს რევოლუციებით, ნგრევითა და სისხლით იწყებს. ნიცშე იტყვის: „ღმერთი მოკვდა", ეს ღირებულებების სიკვდილს ნიშნავდა, ძალაუფლების ნებას.

ჟან პოლ სარტრი (1905-1980 წწ.)

ჟან პოლ სარტრი პარიზში დაიბადა, მის შემოქმედებაში მთავარი ფილოსოფიაა - ეგზისტენციალიზმი, რომლის დედა აზრიც სარტრთან ერთ ფრაზაშია მოქცეული „არსებობა წინ უსწრებს არსს". ესე იგი, ადამიანი ჯერ არსებობს და შემდეგ განსაზღვრავს თავის თავს. არ არსებობს არანაირი წინასწარ განსაზღვრული ადამიანური ბუნება და ბედი. ადამიანი მარტოა სამყაროში და არანაირი დახმარების იმედი არ უნდა ჰქონდეს. თუ რად იქცევა იგი, მხოლოდ მასზევეა დამოკიდებული, რადგან აბსოლიტურად თავისუფალია არჩევანში. იგი „განწირულია თავისუფლებისათვის". ადამიანი ნებისიმერ შემთხვევაში აკეთებს არჩევანს, რადგან

„არჩევანის არ გაკეთებაც“ - არჩევანია. არჩევანის გაკეთებას სარტრთან, ანგაჟირება ეწოდება. სანამ ადამიანი არჩევანს გააკეთებს, იგი მხოლოდ არსებობს (ადამიანი - არსებობა) ანუ en-soi, ხოლო როცა იწყებს მოქმედებას, ხდება pour-soi, მაგრამ ეს უკანასკნელი ანუ თავისივე შექმნილი სამყარო საფრთხეში ვარდება, როცა იგი გადაიქცევა სხვათა დაკვირვების ობიექტად. აქედან გამომდინარეობს სარტრის ცნობილი ფრაზა: ,,ჯოჯოხეთი სხვებია“. ამდენად, ადამიანი მუდმივ საფრთხეშია, ჩაკეტილია საკუთარ თავში იმის შიშით, რომ სხვები მას დაანგრევენ. აქედან გამომდინარე, არსებობა სრული აბსურდია. ადამიანი არ არის არსება, რომელიც მიისწრავის მომავლისაკენ და აცნობიერებს, რომ ის ახდენს საკუთარი თავის პროექციას მომავალში. ადამიანი უპირველეს ყოვლისა არის პროექტი, რომელიც განიცდის სუბიექტურად. ადამიანი გახდება ისეთი, როგორიც არის მისი ყოფნის პროექტი და არა ისეთი, როგორსაც ის მოისურვებს. სურვილში ჩვენ ვგულისხმობთ შეგნებულ გადაწყვეტილებას, რომელიც ადამიანთა უმრავლესობას უჩნდება მას შემდეგ, რაც თავისი თავიდან რაღაცას შექმნის. მე მაქვს სურვილი შევიდე პარტიაში, დავწერო წიგნი, ვიქორწინო... თუმცა, ეს ყველაფერი არის მხოლოდ პირველდაწყებითის გამოვლინება, უფრო სპონტანური არჩევანი ვიდრე ის, რასაც ნებას უწოდებენ. თუ არსებობა ნამდვილად წინ უსწრებს არსებას, მაშინ ადამიანი პასუხს აგებს იმაზე, თუ რატომაა იგი ამგვარი.

ეგზისტენციალიზმი, პირველ რიგში აყენებს ყოველი ადამიანის მიერ თავისი ყოფნის ფლობას და აკისრებს მას სრულ პასუხისმგებლობას არსებობისათვის. როცა ვამბობთ, რომ ადამიანი პასუხისმგებელია, ეს ნიშნავს, რომ ის პასუხს აგებს მხოლოდ თავის ინდივიდუალურობაზე, მაგრამ ის პასუხს აგებს ასევე ყველა ადამიანზე. ის რასაც ჩვენ ვირჩევთ ყოველთვის სიკეთეა. სიკეთე ჩვენთვის არ შეიძლება იყოს ის, რაც არ არის სიკეთე სხვებისათვისაც. მაგ.: თუ მე ვარ მუშა და გადავწყვიტე შევიდე ქრისტიანულ პროფკავშირში და არა დემოკრატიულ პარტიაში და ამ საქმით მინდა ვაჩვენო, რომ ბედისადმი მორჩილება ადამიანისათვის უფრო მისაღები გადაწყვეტილებაა და რომ ადამიანი არ არის მეუფე მიწაზე – ეს არა მარტო ჩემი

პირადი საქმეა, არამედ საზოგადოებისაც. მე მინდა ვიყო მორჩილი ყველას სასიკეთოდ და შესაბამისად, ჩემი საქციელი ეძღვნება მთელ კაცობრიობას. ამგვარად, მე პასუხისმგებელი ვარ საკუთარ თავზე და ყველაზე; მე ვქმნი ადამიანის გარკვეულ ხატს, რომელსაც ვირჩევ. ვირჩევ რა საკუთარ თავს, მე ვირჩევ ადამიანს, საერთოდ. ზემოთქმული, საშუალებას გვაძლევს გავიგოთ თუ რა იმალება ისეთ მაღალფარდოვან სიტყვებში, როგორიცაა „შიში“, „სასოწარკვეთა“. პირველ ყოფლისა რა იგულისხმება „შიშში“. ეგზისტენციალისტი სიამოვნებით განაცხადებს, რომ ადამიანი – ეს შიშია. ეს კი ნიშნავს, რომ ადამიანი, რომელიც რაღაცას გადაწყვეტს და შეიმეცნებს, ირჩევს თავის თავს და მთელ კაცობრიობას, მას არ შეუძლია გაექცეს პასუხისმგებლობას. შიში მაინც არის, მაშინაც კი როცა მას მალავენ. ეს ის შიშია, რომელსაც კირკეგორი უწოდებდა აბრაამის შიშს. ეგზისტენციალისტები წუხან ღმერთის არ არსებობის გამო, რადგან ღმერთთან ერთად იკარგება რაიმე ღირებულის პოვნის ყოველგვარი შესაძლებლობა სამყაროში. შეუძლებელია რაიმე აპრიორის არსებობა, რადგან არ არსებობს უსასრულო და სრულყოფილი გონება, რომელიც მას მოიაზრებდა. არსად წერია, რომ სიკეთე არსებობს, რომ საჭიროა იყო პატიოსანი, რომ არ შეიძლება იცრუო. ეს იმიტომ, რომ ჩვენ ვიმყოფებით პროექციაში, სადაც მხოლოდ ადამიანები ცხოვრობენ.

დოსტოევსკი წერდა: „თუ არ არის ღმერთი, მაშინ ყველაფერი ნებადართულია“. ეს არ არის ეგზისტენციალიზმის ამოსავალი პრინციპი. თუ ღმერთი არ არსებობს, მართლაც ყველაფერი ნებადართულია. ამიტომაა ადამიანი გადაგდებული, მას არაფერი არა აქვს საყრდენად არც თავის თავში და არც გარეთ.

ფრიდრიხ ნიცშე (1844- 1900 წწ.)

„მე ვიცი ჩემი ხვედრი. მე ვიცი, რომ ჩემ სახელთან დაკავშირებული იქნება საშინელი რამ, უშველებელი კრიზისი, რომლის მსგავსი მიწას არ

ენახოს. მე უარვყოფ ისე, როგორც არავინ, მიუხედავად ამისა, მე კონტრასტი ვარ უარმყოფელი სულისა.“

ნიცშეს ძირითადი თხზულებებია: „ასე ამბობდა ზარატუსტრა“, „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“, „ძალაუფლების ნება“. მე-20 საუკუნის ფილოსოფიური აზროვნება წარმოუდგენელია სიცოცხლის ფილოსოფიის გარეშე. სიცოცხლის ფილოსოფიამ უდიდესი გავლენა მოახდინა გასული საუკუნის სხვადასხვა ფილოსოფიურ მიმდინარეობებზე, რაც უპირველეს ყოვლისა, ფრიდრიხ ნიცშეს დამსახურებაა.

სიცოცხლის ფილოსოფიის ერთ-ერთი ამოსავალი პრინციპი ე.წ. პარადიგმატული დებულებაა: ადამიანის სიცოცხლის საზრისი მის თავისუფალ აქტივობასა და შემოქმედებაშია. ამდენად, ის თავისუფლების ფილოსოფიაა.

კლასიკური ფილოსოფიური კატეგორიების - როგორებიცაა „მატერია“ და „სული“ - ადგილზე, ნიცშე აყენებს „სიცოცხლეს,“ როგორც „ძალაუფლების ნებას“. ძალა, ძლიერება, ნება, ნიცშეს თანახმად, მოვლენის მნიშვნელობის კრიტერიუმია: „რა არის კარგი? - ყველაფერი, რაც განამტკიცებს ძალაუფლების შეგნებას, ძალაუფლების სურვილს და თვით ადამიანის ძალაუფლებას. რა არის ცუდი?- ყველაფერი, რაც სისუსტიდან გამომდინარეობს“. ამ თვალსაზრისით, შემეცნების შეფასებისას ნიცშე ამტკიცებს, რომ ნება ნამდვილია მხოლოდ როგორც „ძალაუფლების იარაღი“. მეცნიერების კანონებში იგი ხედავს სუბიექტურ, „სასარგებლო ფიქციებს“, ხოლო ჭეშმარიტებაში - ,,სასარგებლო შეცდომას“. გნოსეოლოგიურ რელატივიზმს თან სდევს „ყოველნაირ ღირებულებათა გადაფასება“ ეთიკაში, რაც მთავრდება „ზეადამიანის“ იდეასთან დაკავშირებულ „ბატონობის მორალთან“. მორალური „მონური მორალის“ დაპირისპირებით, ნიცშე უარყოფს სოციალისტურ იდეალს და ის მიაჩნია „მორალში მონების აჯანყებად“. უარყოფს, ადამიანთა თანასწორობას - იდეასა და თვითდამდაბლებისათვის, რაც „ძალაუფლების ნებას“ კლავს და ქრისტიანობას უკუაგდებს ღმერთის წინაშე.

რელიგიურ მითოლოგიას, ნიცშე ცვლის „ღმერთის სიკვდილის“ და „მარადიული დაბრუნების“ - როგორც სულის უკვდავების სუროგატის შესახებ მითს.

ნისცშეს ფილოსოფიას თავისი მიმდევრები ჰყავდა და ჰყავს ახლაც, განსაკუთრებით ზეკაცის ფილოსოფიის თვალსაზრისით, რის გამოც იგი ჰიტლერმა თავის იდეოლოგიურ წყაროდ აღიარა. ნიცშეს ფილოსოფია გამორჩეულია იმ თვალსაზრისით, რომ იგი თავის აზრს აყალიბებს ადამიანის ნების არჩევანში ე.ი. აღიარებს ადამიანის არჩევანის ნების თავისუფლებას.

ლექსიკონი

<u>აგნოსტიზმი</u> **–(ბერძნული ანოსის –ცნობა) –** მოძღვრება, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ უარყოფს სამყაროს შემეცნების შესაძლებლობას.

<u>ათეიზმი</u> – (ბერძ. უარყოფა) შეხედულებათა სისტემა, რომელიც უარყოფს რწმენას ანუ ყოველგვარი რელიგიის უარყოფა.

<u>ანთროპოგენეზი</u> (ბერ. ადამიანი და წარმოშობა) – ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი არსების წარმოშობისა და განვითარების პროცესი.

<u>ანთროპორმორფიზმი</u> (ბერძ. ადამიანი ფორმა) – ადამიანის თვისებებისა და თავისებურებების ბუნების გარეგან ძალებზე გადატანა და მათი მიწერა გამოგონილი მითიური არსებებისათვის.

<u>ანტაგომიზმი</u> (ბერძ. a - უარყოფა, gnoses - ცოდნა) -მოძღვრება, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ უარყოფს სამყაროს შემეცნების შესაძლებლობას.

<u>ანტიკური ფილოსოფია</u> – ფილოსოფიურ მოძღვრებათა ერთობლიობა, რომელიც ვითარდება ძველ ბერძნულ მონათმფლობელურ საზოგადოებაში ძვ. წ. მე-7ს. ძვ.წ. მე-2ს.

<u>აპოლოგეტიკა</u> (ბერძ–დამცველი) – თეოლოგიის დარგი. მისი მიზანია რწმენის დაცვა და გამართლება გონებიდან გამომდინარე არგუმენტებით.

<u>არეოპაგიტიკა</u> – შინაარსის მიხედვით იგი წარმოადგენს სისტემატური სახით გააზრებულ შუასაუკუნეობრივ ქრისტიანულ მოძღვრებას.

<u>არსება</u> (არსი) - მოცემული ნივთის საზრისის, რაც განასხვავებს სხვა ნივთებისაგან. მისი ცვალებადობა, გამოწვეული გარემოებით.

<u>გამოცხადება</u> – თეოლოგიისა და რელიგიურ–იდეალისტური ფილოსოფიის ფუნდამენტური ცნება. გამოხატავს ზებუნებრივი რეალობის ზეგრძნობად შემეცნებას მისტიკური განსხივოსნების დარგში.

<u>განვითარება</u> – არსებითი, აუცილებელი მოძრაობა ცვალებადობა დროში.

<u>განზოგადება</u> – ერთეულიდან ზოგადზე გადასვლის ლოგიკური პროცესი.

<u>განმანათლებლობა</u> – საზოგადოებრივ–პოლიტიკური მიმდინარეობა, რომლის წარმომადგენლებიც ცდილობდნენ აღმოეფხვრათ არსებული საზოგადოების ნაკლოვანებანი.

<u>გენეზისი</u> (ბერძ. წარმოშობა წარმოქმნა) – ძველის წიაღში ახლის წინამძღვრების წარმოქმნა და მათ საფუძველზე ახალი საგნის ჩამოყალიბება.

<u>დეიზმი</u> (ლათ. ღმერთი) მოძღვრება, რომელიც აღიარებს, რომ ღმერთი არსებობს, მხოლოდ როგორც უპიროვნო პირველმიზეზი სამყაროსი, რომელიც შემდგომ ვითარდება საკუთარი კანონებით.

<u>დემოკრატია</u> (ბერძ. ხალხი, ძალაუფლება) – მმართველობის ერთ–ერთი ფორმა მოქალაქეთა თავისუფლება და თანასწორობის აღიარება.

<u>დიალექტიკა</u> (ბერძ. ვსაუბრობ, ვმსჯელობ) მეცნიერება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების უზოგადესი კანონების შესახებ.

<u>დოგმატიზმი</u> (ბერძ. აზრი, მოძღვრება, გადაწყვეტილება) – ეს არის აზროვნების წესი, რომელიც შემოქმედებითი განვითარებისა და ჭეშმარიტების კონკრეტულობის პრინციპის იგნორირებას ახდენს.

<u>დუალიზმი</u> (ლათ–ორი) – მონიზმის საპირისპირო ფილოსოფიური მოძღვრება. მატერიალისტურ და სულიერ სუბსტანციებს განიხილავს თანაბარ მნიშვნელოვან საწყისებად.

ეგზისტენციალიზმი (ლათ. არსებობა) – ირაციონალისტური მიმართულება ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში.

ეკლექტიკა –(ბერძ. ვირჩევ) – განსხვავებული, ხშირად საწინააღმდეგო თვალსაზრისების, ფილოსოფიური შეხედულებების, თეორიული წანამძღვრების, პოლიტიკური შეფასებებისა და ა.შ. აღრევა.

ერესები – განსაკუთრებული სარწმუნოება. რომელიმე რელიგიის ოფიციალური სარწმუნოებიდან სხვადასხვა გადახრა, ოპოზიციური ან მტრული.

თეოლოგია (ბერძ. ღმერთი, მოძღვრება) ანუ ღვთისმეტყველება – მოცემული რელიგიის, სარწმუნოების სისტემატიზაცია.

თეოსოფია (ბერძ. ღმერთი და სიბრძნე, ცოდნა, ღმერთის შემეცნება) ცნება, რომელსაც ხანდახან აიგივებენ თეოლოგიასთან.

იდეოლოგია – სისტემა პოლიტიკური, სამართლებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, რელიგიური, ფილოსოფიური შეხედულებებისა და იდეებისა.

იდეალიზმი - ფილოსოფიური მიმდინარეობა, რომელიც ამოდის სულიერის, არამატერიალურის პირველადობიდან და მატერიაულრის მეორადობიდან.

იმანენტური (ლათ. ნიშანდობლივი, დამახასიათებელი) – „არსებობს მხოლოდ ის, რაც მოაზრებადია“, ყოფიერება ცნობიერების იმანენტურია.

ინდუქცია (ლათ. მინიშნება) – დასკვნის ერთ–ერთი სახე და კვლევის მეთოდი.

ირაციონალიზმი (ლათ. არაგონიერი) – შემეცნების ძირითად სახედ ცნობს ინტუიციას, გრძნობას, ინსტიქტს.

კათოლიციზმი (ბერძ. მსოფლიო) ქრისტიანობის სახესხვაობა, გავრცელებული დასავ. ევროპაში და ლათ. ქვეყნებში.

კოსმოლოგია (ბერძ. სამყაროზე მოძღვრება) მეცნიერება სამყაროზე, როგორც ერთიან შეკავშირებულ მთელზე.

კრეაციონიზმი (ლათ. შექმნა) – იდეალისტური მოძღვრება მსოფლიოს, ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ერთიანი შემოქმედებითი აქტით შექმნის შესახებ.

ლოგოსი (ბერძ. აზრი, გონება, კანონი) სამყაროს საფუძველს, მის წესრიგსა და ჰარმონიას აღნიშნავდა.

მატერია - ობიექტური რეალობა, რაც არსებობს ადამიანის ცნობიერების გარეთ და მისგან დამოუკიდებლად.

მატერიალიზმი (ლათ. ნივთიერი) – ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, ადამიანის სტიქიური რწმენა გარე სამყაროს ობიექტურად არსებობის შესახებ.

მეთოდი (ბერძ. „გზა რაიმესკენ“) მოწესრიგებული ქმედება, მიზნის მისაღწევად.

მეთოდოლოგია კვლევის საშუალებათა ერთობლიობა, მიღებული რომელიმე მეცნიერებისათვის.

მისტიციზმი, მისტიკა (ბერძ. საიდუმლო) - ზებუნებრივი ძალების რწმენა.

მონიზმი (ბერძ. ერთი, ერთადერთი) - ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც ყოველი არსებულის საფუძვლად იღებს ერთ საწყისს.

მსჯელობა - აზრი, გამოხატული წინადადების სახით.

ნეოპლატონიზმი - რეაქციული მისტიკური ფილოსოფია, (III – VI ს ს) მათი მოძღვრება გულისხმობს, რომ უმაღლესი საფეხური მიიღწევა არა ცდითა და გონებით , არამედ მისტიკური ექსტაზის გზით.

ონტოლოგია (ბერძ. არსებული) მოძღვრება ყოფიერების შესახებ.

<u>პანთეიზმი</u> (ბერძ. ყველაფერი და ღმერთი) ფილოსოფიური მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ღმერთი წარმოადგენს უპიროვნო საწყისს, რაც ბუნების მიღმა კი არ არსებობს, არამედ მასთან იგივეობრივია.

<u>პრედიკატი</u> (ლათ.) ტრადიციულ ლოგიკაში მსჯელობის ერთ-ერთი ტერმინი.

<u>სუბსტანცია</u> (ლათ. არსება) - ობიექტური რეალობა მისი თვითგანვითარების ყველა ფორმის შინაგანი ერთობლიობის ასპექტში, ბუნებისა და ისტორიის მოვლენათა მთელი მრავალგვარობის, ადამიანისა და მისი ცნობიერების ჩათვლით და ამიტომ მეცნიერული შემეცნების, კონკრეტული თეორიული ასახვის ფუნდამენტური კატეგორია.

<u>სუფიზმი</u> (არაბ. მატყლის ლაბადის მატარებელი) - აღიარებდა რეალურად მხოლოდ ღმერთის არსებობას, ხოლო გარემომცველი ნივთები და მოვლენები, მის ემინაციად მიაჩნდა. სულის მისტიკური შეერთება ღმერთთან.

<u>სქოლასტიკა</u> (ბერძ. სკოლა) - მისი წარმომადგენლები ცდილობდნენ ქრისტიანული რწმენისათვის რაციონალური დასაბუთება მიეცათ და მოეხდინათ მისი სისტემატიზაცია.

<u>ტრანსცენდენტალური</u> (ლათ. გადაბიჯება) სქოლასტიკაში აღნიშნავს ზეკატეგორიალურს.

<u>ტრანსცენდეტური</u> (ლათ.) ტერმინი, რომელიც იმანენტურის საპირისპიროდ, აღნიშნავს იმას, რაც ცნობიერებისა და შემეცნების საზღვრებს მიღმაა.

<u>ტელეოლოგია</u> (ბერძ. მიზანი) - რელიგიურ - ფილოსოფიური მოძღვრება სამყაროში ობიექტური ადამიანის გარეთ არსებული მიზნებისა და მიზანშეწონილობის არსებობის შესახებ.

<u>ფენომენოლოგია</u>-- ცნობიერების მიმართულება ობიექტზე გამიზნულია.

ფილოსოფია (ბერძ. მიყვარს სიბრძნე) მეცნიერება უზოგადესი კანონზომიერების შესახებ.

ფილოსოფიური ანთროპოლოგია (ბერძ. ადამიანი და მოძღვრება) ბოლო წლებში ფართოდ გავრცელებული მოძღვრება ადამიანზე.

ყოფიერება - ფილოსოფიური ცნება, რომელიც აღნიშნავს ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებულ ობიექტურ სამყაროს, მატერიას.

შემეცნება - ადამიანთა ზემოქმედებითი მოღვაწეობის საზოგადოებრივ-ისტორიული პროცესი, რომელიც მათი ცოდნის ფორმირებას ახდენს და რომლის საფუძველზეც წარმოიშობა ადამიანის მოქმედებათა მიზნები და მოტივები.

შემეცნების თეორია ანუ გნოსეოლოგია - ფილოსოფიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობას შემეცნებითი მოღვაწეობის პროცესში, ცოდნის მიმართულებას სინამდვილესთან.

ცნება - სამყაროს ასახვის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც დაკავშირებულია ენის გამოყენებასთან, საგნებისა და მოვლენების განზოგადებასთან.

წანამძღვარი (ლათ.) ლოგიკაში - მსჯელობები, რომლებისაგანაც დასკვნაში მიიღება ახალი მსჯელობა (დანასკვი).

ჭეშმარიტება - აზრის სინამდვილის სწორი, მართებული ასახვა, რომლის კრიტერიუმიც საბოლოო ანგარიშით არის პრაქტიკა.

ჰუმანიზმი (ლათ. ადამიანური) - შეხედულებათა ერთობლიობაა, რომელიც გამოხატავს ადამიანის ღირსებისა და უფლებებისადმი პატივისცემას. იგი არის, როგორც პიროვნების ღირებულება, რომელიც ზრუნავს ადამიათა კეთილდღეობისა და მათი ყოველმხრივი განვითარებისათვის, ადამიანისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად.

რეზიუმე

მოცემულ ნაშრომში „ფილოსოფია დამწყებთათვის“ განხილულია ფილოსოფიის ადგილი და მნიშვნელობა მეცნიერებათა სისტემაში. განმარტებულია თავად ფილოსოფიის არსი და დანიშნულებ,. რომ იგი არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის სამყაროს უზოგადეს კანონზომიერებებს, ბუნების შემეცნების და ადამიანის ცხოვრების საზრისს, აღწერილიათუ რა გზა განვლო კაცობრიობამ თავისი განვითარების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში და რა ზეგავლენა იქონია ფილოსოფიამ ადამიანის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

წიგნში, ქრონოლოგიურად არის დალაგებული ფილოსოფიის განვითარების ეტაპები, რომელიც ოთხ დიდ პერიოდად იყოფა: ბერძნული ფილოსოფია, შუა საუკუნეების ფილოსოფია, აღორძინების ხანის ფილოსოფია და ახალი დროის ფილოსოფია.

ნაშრომში ხაზგასმულია, ბერძნული ფილოსოფიის ჩასახვისა და განვითარების საინტერესო პერიოდი, რომელიც იწყება თალესით. ეს პერიოდი სტიქიური მატერიალიზმისა და გულუბრყვილო დიალექტიკის ხასიათს ატარებს. რომელიც პირველი ცდაა სამყაროს პირველსაწყისის შესახებ ხოლო შემდგომში იგი შეცვალა სხვა ფილოსოფიურმა სისტემებმა: ერთმხრივ დემოკრიტეს მატერიალიზმი და მეორე მხრი- სოკრატე-პლატონის იდეალიზმი. უმაღლესი მწვერვალი ბერძნული ფილოსოფიის განვითარებისა კი იყო არისტოტელეს ფილოსოფია, რომლის შედეგადაც ჩამოყალიბდა სხვადასხვა ფილოსოფიური სკოლები.

წიგნში „ფილოსორფია დამწყებთათვის“ საუბარია, იმის შესახებ თუ რა ზეგავლენა იქონია შუა საუკუნეების ფილოსოფიამ კაცობრიობის კულტურის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე რთულ და საინტერესო მონაკვეთზე. რწმენისა და ცოდნის მიმართების საკითხი, მწვავედ დადგა შუა საუკუნეების ფილოსოფოსთა

ნააზრევში. იოანე დამასკელი იწყებს ახალ ეტაპს -სკოლასტიკის ეტაპს, რომელიც გულისხმობს, რომ „ფილოსოფია არის თეოლოგიის მსახური“.

ასევე ხაზგასმულია აზრი, ფილოსოფიის შემდგომი ეტაპის განვითარების შესახებ, რომელიც რენესანსის ანუ აღორძინების ეპოქას უკავშირდება. აღორძინების მთლი ეპოქა ორმაგი ჭეშმარიტების ნიშნის ქვეშ ვითარდებოდა: 1.) რომ გონებას სრული დამოუკიდებლობა მიანიჭოს, რაც შეუზღებელია რწმენაზე მისი გავლენის აღიარების გარეშე. 2.) ფილოსოფია რელიგიური რწმენისაგან მხოლოდ მაშინ შეძლებს გათავისუფლებას, როცა სამყაროს ამოხსნის ჭეშმარიტი თეორია,როცა გონება თავად შეძლებს მეცნიერულად დაასაბუთოს რწმენის მნიშვნელობა და საზღვრები.

ყურადღება გამახვილებულია ფილოსოფიის განვითარების შემდგომ ეტაპზე, რომელიც ახალი დროის ფილოსოფიით არის ცნობილი და ფრანსის ბეკონის სახელს უკავშირდებასაინტერესოდევიზი: „ცოდნა არის ძალა“. აზროვნების ეს ხაზი თან სდევდა დეკარტეს, ჰობსის, სპინოზას ფილოსოფიას.

წიგნში ხაზგასმულია, გერმანული კლასიკური ფილოსოფიის დამსახურება ფილოსოფიური აზროვნების განვითარების საქმეში, რომელიც კანტისა და ჰეგელის სახელს უკავშირდება. ნაშრომში ასევე მოხსენიებულია მარქსისა და ენგელსის დამსახურებების შესახებ ფილოსოფიური აზროვნების განვითარების საქმეში.

წიგნში „ფილოსოფია ყველასათვის“, გრძელდება აზრი ყურადღებას იპყრობს ქართული ფილოსოფიური აზროვნების წარსული, რომელიც კოლხეთის ფილოსოფიურ აკადემიას უკავშირდება ის ჯერ კიდევ IV საუკუნეში ფუნქციონირებდა. სწორედ, ეს გახლდათ საფუძველი საქართველოს შემდგომი კულტურული ღირებულებებისა, რომელიც გელათისა და იყალთოს აკადემიების სახით, XI საუკუნეს განეკუთვნება. ამ აკადემიების არსებობას უკავშირდება იოანე პეტრიწისა და არსენ იყალთოელის სახელი. იოანე პეტრიწის სახელთან არის

დაკავშირებული ის სერიოზული ტრაქტატები, რომელმაც დიდი ზეგავლენა იქონია ქართული კულტურის მთელ რიგ ასპექტებზე და რომლებმაც შემდგომში ნიადაგი მოუმზადა შოთა რუსთაველის ეპოქას.

ნაშრომს, ასრულებს თანამედროვეობის მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა ეგზისტენციალიზმი.

ნაშრომს, თან ერთვის უცხო სიტყვებისა და ცნებების მოკლე განმარტებითი ლექსიკონი.

Summary

The work "Philosophy for Beginners" discusses the place and importance of philosophy in the system of sciences. It explains the essence and purpose of philosophy itself. It is the science that studies the laws of the universe and the meaning of cognition, the nature and human life, describes what way has passed mankind during the development of centuries-old history and how philosophy had a significant impact on human worldview formation.

In the book the stages of development philosophy are chronologically arranged which is divided into four major periods: the Greek philosophy, the medieval philosophy, Renaissance philosophy and modern philosophy.

The work emphasizes the origin and development of interesting period of Greek philosophy which begins with Thales. This period is a natural dialectic materialism and naive nature. Which is the first attempt on the origins of the universe and then it was replaced by other philosophical systems: on the one hand in Democritus materialism and in the other hand in Socrates-Plato's. The highest peak in the development of Greek philosophy was the philosophy of Aristotle, which resulted in the formation of different philosophical schools.

The book "Philosophy for Beginners" talks about the impact on the history of medieval philosophy on human culture being one of the most difficult and interesting sections. The issue of faith and knowledge has come onto forefront of the medieval philosophers thinking. John of Damascus starts a new - scholastic stage which means that "Philosophy is the servant of Theology."

This book also emphasizes the next stage of the development of philosophy, which is connected to a revival of the Renaissance age. The entire revival era was developing under a

sign of double truth: 1) giving the full independence to mind which is impossible without recognizing the influence of faith. 2) The philosophy will be able to release from religious belief only when the true theory explains the world, when the mind is able to scientifically prove the importance of faith and bounds.

The attention is drawn to the next stage of the development of philosophy that is known as the new time philosophy and Francis Bacon's name is associated with the interesting slogan: "Knowledge is power". This line of reasoning was followed by Descartes, Hobbes, Spinoza's philosophy.

The book emphasizes the contribution of German classical philosophy in the development of philosophical thought, which is associated with the name of Kant and Hegel. In the paper is also mentioned the merits of Marx and Engels in the development of philosophical thought.

The book "Philosophy for All", continues the opinion and the attention is drawn to the past of Georgian philosophical thinking which is still associated with the Academy of Colchis philosophical which was functioned in the IV century. It was Just the foundation of the cultural values, which are represented by Gelati and Ikalto Academies belonging to the XI century. In academies associated with the presence of Ioane Petritsi and Arsen Ikaltoeli name. The existence of these Academies is associated with Ioane Petritsi and Arsen Ikaltoeli's names. The serious treatises are connected with Ioane Petritsi which had a great influence on a number of aspects of Georgian culture and who have prepared the ground for Shota Rustaveli epoch.

The work is ended with the most important task of modern times, such as existentialism. At the end of the book there is a short explanatory dictionary of foreign words and concepts.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალექსიძე ა. ბერძნული სარაინდო რომანის სამყარო თბ. 1976წ.
2. ანგია ბოჭორიშვილი ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საფუძვლები, თბ. 1976წ.
3. აკაკი ბაქრაძე რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი 6ტ. თბ. 1968-1972წ.
4. მოსე გოგიბერიძე რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი ტ I-IV თბ. 1968-1977წ.
5. ოთარ გაბიძაშვილი რელიგიის სოციოლოგიური და გნოსეოლოგიური ფესვები თბ. 1987წ.
6. დავით გეგეშიძე „ათეიზმი რელიგია და თანამედროვეობა“ თბ. 1989წ
7. დავით გეგეშიძე მართმადიდებლობის იდეოლოგიური კრიტიკა თბ. 1988წ.
8. სერგი დანელია ანტიკური ფილოსოფია, თბ. 1995წ.
9. გურამ თევზაძე ანტიკური ფილოსოფი თბ. მეცნიერება 1995წ.
10. გურამ თევზაძე აღორძინების ეპოქის ფილოსოფია თბ. 2008წ.
11. გურამ თევზაძე შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია თბ. 1996წ
12. .ნაპო კვარაცხელია ადამიანი და მეტაფიზიკა თბ.2005 წ.
13. ნესტან ლომაია ქრისტიანობისა და კულტურის გენეზისი ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში თბ. 2009 წ.
14. მიხეილ მახარაძე წერილები ქართულ ფილოსოფიაზე თბ. 1988 წ
15. მიხეილ მახარაძე „არეოპაგიტიკის ფილოსოფიური პრობლემები“ თბ. 1986 წ.
16. მიხეილ მახარაძე „ფილოსოფია, პოლიტიკა, მცირე პროზა“ ბათუმი 2004წ.
17. შალვა ნუცუბიძე შრომები 9 ტომად თბ. 1973-1985
18. შალვა ნუცუბიძე პეტრე ივერი და ანტიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობა თბ. 1963წ.
19. შალვა ნუცუბიძე რუსთაველი და აღმოსავლეთის რენესანსი თბ. 1947წ.
20. შალვა ნუცუბიძე ჰეგელი ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები თბ. 1963წ.
21. ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა ტფ. 1914

22. ფილოსოფიური ლექსიკონი თბ. 1987წ.
23. ქართული ფილოსოფიური აზრის ნარკვევები თბ. 1669წ.
24. კახა ქეცბაია ფრიდრიხ ნიცშე და კონსტანტინე გამსახურდია თბ. 2010წ
25. სიმონ ყაუხჩიშვილი ბერძნული ლიტერატურის ისტორია ტ.2 თბ. 1949წ.
26. სიმონ ყაუხჩიშვილი ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია თბ. 1973წ.
27. სიმონ ყაურჩიშვილი „გეორგიკა“ ტ.II თბ.1936
28. სიმონ ყაუხჩიწვილი გეორგიკა ტ. III თბ. 1936
29. შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორიის პრობლემები ნაწილი I თბ. 1981წ
30. საველე წერეთელი ანტიკური ფილოსოფია, თბ. 1973წ.
31. მერი ჭელიძე ანტიკურობა და დაუწერელი „ფილოსოფიის პრობლემა, თბ.1986წ.
32. მერი ჭელიძე ელინიზმის ფილოსოფია თბ. 1992წ.
33. მერი ჭელიძე ფილოსოფიის შესავალი თბ.2009წ
34. შალვა ხიდაშელი იოანე პეტრიწი. თბ. 1956 წ.
35. ზურაბ ხასაია ძველი მსოფლიოს ფილოსოფია თბ. 2014 წ.
36. ზურაბ ხასაია გერმანელი ფილოსოფოსები ისტორიის შესახებ თბ. 2014წ
37. ზურაბ ხასაია ფილოსოფიის ძირითადი ცნებები და პრობლემები თბ. 2014წ.
38. ელგუჯა ხინთიბიძე ნარკვევები ბიზანტიურ–ქართული ლიტერატურული ურთიერთობებიდან თბ. 1968წ.
39. ივანე ჯავახიშვილი – ქართველი ერის ისტორია ტ. II თბ. 1948

ЛИТЕРАТУРА

40. Аверинцев С. Порядок космоса и порядок истории в произведениях раннего средневековья М.1975г.
41. .Антология мировой философии Т.Iч.2 1969г.
42. Бычко В.В.Эстетика поздней античности. Киев 1981 г
43. Богомолов А.С.Античная философия Москва1985г.
44. Виндельбанд В.История древней философии М.1911 г.

45. Гегель Г.Сочинения Т. IX-XI Москва-Ленинград 1930-35 г.

46. Культура Византии IV-VII в.в.Москва 1934г.

47. Конрад Н.Запад и Восток М.1966г.

48. Лосев А.Ф.История Ангтичной эстетики Т I-VII Москва 1963-1988г.

49. Лосев А.Ф.Эленистическая-римская эстетика МГУ 1979 г.

50. Лосев А Ф Эстетика возрождения М Мысль 1982 г.

51. Панцхава И.Д.Петриций М.1982 г.

52. Соколов В. Средневековая философия М.1979г.

53. . Тевзадзе Г.Рассмотрение платоновской философии и прокла Диадоха М.1981г.

54. Философская энциклопедия Т.I-5 М.1960-1470г.

55. Хидашели Ш. Вопросы грузинского ренессанса Тбилиси 1984г.

56. Хидашели Ш. Осноные мировоззренические направления в феодальной Грузии (IV – XIII вв) Тб. АНГ 1962г.

57. Хонигман Э. Петр Ивер и сочинения Псевдо-Дионисия Ареопагита Тбилиси.1955г.

58. Целлер Э.Очерки истории греческой философии М.1996г.

59. Чавчавадзе И.Культура ценности Тбилиси.1984г.

60. Энгельс Ф.Диалектика природы 1987г .

სარჩევი

შესავალი ფილოსოფიაში, მისი როლი და მნიშვნელობა

ძველი ბერძნული ფილოსოფია

ნეოპლატონიზმი და ქართული ფილოსოფიური აზროვნება

შუა საუკუნეების ფილოსოფიის ზოგადი დახასიათება

აღორძინების ხანის ფილოსოფია

ახალი დროის ფილოსოფია

ფრანგი მატერიალისტები

გერმანული ფილოსოფია

ეგზისტენციალიზმი

განმარტებითი ლექსიკონი

რეზიუმე

The rezume

ლიტერატურა